

რომან სამხარაძე

მონაცემთა ბაზები

(ტესტების კრებული)

„ტექნიკური უნივერსიტეტი“

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

რომან სამხარაძე

მონაცემთა ბაზები

(ტესტების კრებული)

რეგისტრირებულია სტუ-ს
სარედაქციო-საგამომცემლო
საბჭოს მიერ.17.03.2010, ოქმი №2

თბილისი
2010

უაკ 681.3.06(075)

კრებულში წარმოდგენილია SQL სერვერისთვის შემუშავებული ტესტები. ტესტებში ასახულია SQL სერვერთან მუშაობის საფუძვლები, მონაცემთა ბაზებისა და ცხრილების მართვის საკითხები, ფუნქციებთან, შენახულ პროცედურებთან, ინდექსებთან, წარმოდგენებთან, კურსორებსა და ტრიგერებთან მუშაობის პრინციპები.

განკუთვნილია კომპიუტერული სისტემებისა და ქსელების სპეციალობის სტუდენტებისათვის (შიფრი - 2201).

რეცენზენტი პედაგოგიკის მეცნიერებათა დოქტორი,
სრული პროფესორი გ. ჩაჩანიძე

© საგამომცემლო სახლი "ტექნიკური უნივერსიტეტი", 2010

ISBN 978-9941-14-809-5

<http://gtu.ge/publishinghouse/>

ყველა უფლება დაცულია. ამ წიგნის არც ერთი ნაწილი (იქნება ეს ტექსტი, ფოტო, ილუსტრაცია თუ სხვა) არანაირი ფორმით და საშუალებით (იქნება ეს ელექტრონული თუ მექანიკური), არ შეიძლება გამოყენებულ იქნას გამომცემლის წერილობითი ნებართვის გარეშე.

საავტორო უფლების დარღვევა ისჯება კანონით.

სარჩევი

თავი 1. მონაცემთა ბაზების თეორიული საფუძვლები 9

- საინფორმაციო სისტემები..... 9
- მონაცემთა ბაზები 9
- მონაცემთა ბაზების მოდელები11
- მონაცემთა რელაციური ბაზები14
- ცხრილების ნორმალიზება.....14
- ცხრილებს შორის არსებული კავშირები16
- "ერთი-ერთთან" კავშირი19
- "ერთი-ბევრთან" კავშირი19
- "ბევრი-ბევრთან" კავშირი.....20

თავი 2. მონაცემთა ბაზები21

- მონაცემთა ბაზების არქიტექტურა.....21
- მონაცემთა ბაზების ობიექტები21
- ცხრილები.....21
- მომხმარებლების ტიპები.....24
- წარმოდგენები.....24
- შენახული პროცედურები25
- ტრიგერები25
- ინდექსები.....26
- მთლიანობის შეზღუდვა26
- ნაგულისხმევი მნიშვნელობები.....30
- ფუნქციები.....30
- სისტემური მონაცემთა ბაზები31
- Master სისტემური მონაცემთა ბაზა31
- Tempdb სისტემური მონაცემთა ბაზა32
- Model სისტემური მონაცემთა ბაზა32
- Msdb სისტემური მონაცემთა ბაზა.....32
- ფაილები და ფაილების ჯგუფები33
- მონაცემთა ბაზის ფიზიკური სტრუქტურა35
- მონაცემთა ბაზების შექმნა, წაშლა და სახელის შეცვლა.....37
- მონაცემთა ბაზის შექმნა37
- მონაცემთა ბაზის წაშლა42
- მონაცემთა ბაზის სახელი შეცვლა.....42
- მონაცემთა ბაზის მიერთება და გამორთვა.....42
- მონაცემთა ბაზების მართვა44
- ფლობის უფლების გადაცემა44
- მონაცემთა ბაზის შეკუმშვა45
- მონაცემთა ბაზის თვისებების მართვა.....50
- მონაცემთა ბაზის საკონფიგურაციო პარამეტრებთან მუშაობის სხვა საშუალებები56
- მონაცემთა მომხმარებლის ტიპის შექმნა59

თავი 3. ცხრილები.....	62
ცხრილების დაპროექტება.....	62
ცხრილის პირველადი გასაღები.....	62
ცხრილის გარე გასაღები.....	63
სვეტის უნიკალურობის განსაზღვრა.....	64
შემმოწმებელი შეზღუდვების განსაზღვრა.....	64
ნაგულისხმევი მნიშვნელობის განსაზღვრა.....	65
სვეტ-მთველის განსაზღვრა.....	66
ცხრილის შექმნა.....	69
ცხრილის წაშლა.....	77
ცხრილის შეცვლა.....	77
ცხრილების მართვა.....	78
ცხრილისათვის სახელის შეცვლა.....	78
ინფორმაციის მიღება ცხრილების შესახებ.....	79
ინფორმაციის მიღება ცხრილზე დამოკიდებული ობიექტების შესახებ.....	79
ცხრილებს შორის კავშირის შესახებ ინფორმაციის მიღება.....	80
დიაგრამები.....	81
თავი 4. მონაცემების მართვა.....	82
ცხრილში მონაცემების ჩამატება.....	82
INSERT ბრძანება.....	82
SELECT...INTO ბრძანება.....	84
ცხრილიდან მონაცემების ამორჩევა.....	85
SELECT ბრძანება.....	85
SELECT განყოფილება.....	85
FROM განყოფილება.....	88
WHERE განყოფილება.....	90
ჩადგმული მოთხოვნები.....	91
ბმული მოთხოვნები.....	92
GROUP BY განყოფილება.....	92
HAVING განყოფილება.....	93
UNION განყოფილება.....	93
ORDER BY განყოფილება.....	94
COMPUTE განყოფილება.....	95
აგრეგირების ფუნქციები.....	95
ცხრილის მონაცემების ცვლილება.....	97
UPDATE ბრძანება.....	97
ცხრილიდან მონაცემების წაშლა.....	98
DELETE ბრძანება.....	98
მონაცემების მასობრივი გადაწერა.....	99
თავი 5. Transact SQL-ის საფუძვლები.....	100
შესავალი.....	100

გამოსახულებები	101
ოპერატორები	102
იდენტიფიკატორები.....	104
ცვლადები	108
მმართველი კონსტრუქციები.....	109
BEGIN...END	109
IF...ELSE.....	110
CASEEND	110
COALESCE	111
WHILE...BREAK & CONTINUE	111
ლოგიკის ოპერატორები	112
ALL ოპერატორი	112
SOME და ANY ოპერატორები	112
BETWEEN ოპერატორი	113
EXISTS ოპერატორი	113
IN ოპერატორი	113
LIKE ოპერატორი	114
თავი 6. ფუნქციები.....	115
მომხმარებლის ფუნქციები.....	115
Scalar ტიპის ფუნქციები.....	116
Inline ტიპის ფუნქციები	118
Multi-statement ფუნქციები.....	119
ფუნქციის შეცვლა	119
ფუნქციის წაშლა.....	120
ჩადგმული ფუნქციები	120
მათემატიკის ფუნქციები	120
სტრიქონებთან სამუშაო ფუნქციები	123
თარიღებთან სამუშაო ფუნქციები.....	126
კონფიგურირების ფუნქციები.....	127
სისტემური ფუნქციები.....	129
უსაფრთხოების სისტემის ფუნქციები	132
მეტამონაცემების მართვის ფუნქციები.....	133
სტატისტიკის ფუნქციები	136
თავი 7. შენახული პროცედურები	138
შესავალი	138
შენახული პროცედურების ტიპები.....	139
შენახული პროცედურის შექმნა	141
შენახული პროცედურების მართვა.....	146
შენახული პროცედურის შეცვლა	146
შენახული პროცედურის შესახებ ინფორმაციის მიღება	146
შენახული პროცედურის სახელის შეცვლა	146
შენახული პროცედურის წაშლა.....	146
შენახული პროცედურის ავტომატურად შესრულების მართვა	146

თავი 8. ინდექსები.....	148
შესავალი	148
ინდექსების გამოყენების დაგეგმვა	148
არაკლასტერული ინდექსი.....	149
კლასტერული ინდექსი.....	149
უნიკალური ინდექსი.....	151
შევსების ფაქტორი.....	152
ინდექსის შექმნა	153
ინდექსების მართვა.....	158
ინდექსის შეცვლა	158
ინდექსისთვის სახელის შეცვლა	158
ინდექსის წაშლა.....	158
ინდექსების გადაწყობა	159
ინდექსის შესახებ ინფორმაციის მიღება.....	160
თავი 9. წარმოდგენები.....	162
შესავალი	162
წარმოდგენები და უსაფრთხოება.....	165
წარმოდგენის შექმნა	165
წარმოდგენების მართვა.....	166
წარმოდგენის შეცვლა	166
წარმოდგენის სახელის შეცვლა	166
წარმოდგენის წაშლა.....	166
წარმოდგენის შესახებ ინფორმაციის მიღება.....	167
წარმოდგენის დამოკიდებულებების ნახვა	167
თავი 10. კურსორები.....	168
შესავალი	168
კურსორების რეალიზება.....	168
კურსორის ტიპები.....	169
სტატიკური კურსორები	169
დინამიკური კურსორები.....	170
მიმდევრობითი კურსორები	170
საგასაღებო კურსორები	171
კურსორების მართვა.....	172
კურსორის შექმნა.....	173
კურსორის გახსნა.....	176
მონაცემების წაკითხვა	177
მონაცემების შეცვლა	179
მონაცემების წაშლა.....	180
კურსორის დახურვა.....	180
კურსორის გათავისუფლება.....	180
თავი 11. ტრანზაქცია და დაბლოკვა.....	181
შესავალი	181
ტრანზაქციების მართვა.....	186

აშკარა ტრანზაქციები.....	187
ავტომატური ტრანზაქციები.....	189
არააშკარა ტრანზაქციები.....	189
განაწილებული ტრანზაქციები.....	190
ჩადგმული ტრანზაქციები.....	190
თავი 12. ტრიგერები	193
შესავალი	193
ტრიგერის შექმნა.....	195
ტრიგერის შეცვლა.....	198
ტრიგერის წაშლა	198
ტრიგერების დაპროგრამება.....	199
ტრიგერების მართვა	202
ტრიგერის სახელის შეცვლა	202
ტრიგერების შექმნის დროს არსებული შეზღუდვები	202
ტრიგერის შესახებ ინფორმაციის მიღება	202
დანართი. ტესტების პასუხები	204
ლიტერატურა	223

თავი 1. მონაცემთა ბაზების თეორიული საფუძვლები

საინფორმაციო სისტემები

1.1.1.1.1. საინფორმაციო სისტემა არის:

- ა. სტრუქტურირებული მონაცემებისა და აპარატურულ-პროგრამული საშუალებების ერთობლიობა
- ბ. მხოლოდ აპარატურულ-პროგრამული საშუალებების ერთობლიობა
- გ. მხოლოდ სტრუქტურირებული მონაცემების ერთობლიობა

1.1.1.1.2. არსებობს საინფორმაციო სისტემების:

- ა. 3 კლასი
- ბ. 2 კლასი
- გ. 1 კლასი

1.1.1.1.3. საინფორმაციო-სამეზნი სისტემები ორიენტირებულია:

- ა. მონაცემების ჩამატებაზე
- ბ. მონაცემების ცვლილებაზე
- გ. მონაცემების ძებნასა და მიღებაზე

1.1.1.1.4. მონაცემების დამუშავების სისტემები ორიენტირებულია:

- ა. მონაცემების ძებნაზე
- ბ. მონაცემების დამუშავებასა და დამუშავებული მონაცემების მიღებაზე
- გ. მონაცემების მიღებაზე

მონაცემთა ბაზები

1.2.1.1.1. მონაცემთა ბაზა არის გარკვეული საგნობრივი სფეროს ობიექტების შესახებ:

- ა. მონაცემების მოწესრიგებული ერთობლიობა
- ბ. მონაცემების დახარისხებული ერთობლიობა
- გ. მონაცემების მოუწესრიგებელი ერთობლიობა

1.2.1.1.2. მონაცემთა ბაზასთან მუშაობა შეიძლება:

- ა. ნებისმიერი პროგრამის საშუალებით
- ბ. მონაცემთა ბაზის მართვის სისტემის საშუალებით
- გ. საფაილო სისტემის საშუალებით

1.2.1.1.3. მონაცემთა ბაზის მართვის სისტემა არის:

- ა. პროგრამული საშუალებების ერთობლიობა, რომელიც გამოიყენება პროგრამების დასაპროექტებლად
- ბ. პროგრამული საშუალებების ერთობლიობა, რომელიც გამოიყენება მონაცემების გარდასაქმნელად
- გ. პროგრამული საშუალებების ერთობლიობა, რომელიც საჭიროა მონაცემთა ბაზის შესაქმნელად და მასში მოთავსებულ ობიექტებზე მანიპულირებისათვის

1.2.1.1.4. მონაცემთა ბაზა შეიძლება იყოს:

- ა. განაწილებული ან ცენტრალიზებული
- ბ. მხოლოდ განაწილებული
- გ. მხოლოდ ცენტრალიზებული

1.2.1.1.5. მონაცემთა განაწილებული ბაზის ნაწილები განთავსებულია:

- ა. მხოლოდ ერთ კომპიუტერზე
- ბ. არსად არ არის განლაგებული
- გ. სხვადასხვა კომპიუტერზე

1.2.1.1.6. მონაცემთა ცენტრალიზებული ბაზა მოთავსებულია:

- ა. ერთ კომპიუტერზე
- ბ. რამდენიმე კომპიუტერზე
- გ. არსად არ არის მოთავსებული

1.2.1.1.7. არქიტექტურის მიხედვით, მონაცემთა ცენტრალიზებული ბაზა შეიძლება იყოს:

- ა. მხოლოდ ფაილ-სერვერი
- ბ. ფაილ-სერვერი ან კლიენტ-სერვერი
- გ. მხოლოდ კლიენტ-სერვერი

1.2.1.1.8. ფაილ-სერვერული არქიტექტურის შემთხვევაში:

- ა. მონაცემების დამუშავება სერვერზე სრულდება
- ბ. მონაცემების დამუშავება ლოკალურ კომპიუტერზე სრულდება
- გ. მონაცემების დამუშავება არ სრულდება

1.2.1.1.9. ფაილ-სერვერული მონაცემთა ბაზის მართვის სისტემებია:

- ა. Microsoft Access და Paradox for Windows
- ბ. Microsoft SQL Server და Microsoft Access
- გ. Microsoft SQL Server და Oracle

1.2.1.1.10. კლიენტ-სერვერული არქიტექტურის შემთხვევაში მონაცემთა ბაზა მოთავსებულია:

- ა. ლოკალურ კომპიუტერზე
- ბ. არსად არ არის მოთავსებული
- გ. სერვერზე

1.2.1.1.11. სისტემა, რომელიც იყენებს კლიენტ-სერვერულ ტექნოლოგიას, შედგება:

- ა. მხოლოდ კლიენტის ნაწილისგან
- ბ. მხოლოდ სერვერის ნაწილისგან
- გ. კლიენტის და სერვერის ნაწილებისგან

1.2.1.1.12. კლიენტ-სერვერულ ტექნოლოგიაში:

- ა. კლიენტის ნაწილი არ უზრუნველყოფს გრაფიკულ ინტერფეისს და არ იმყოფება მომხმარებლის კომპიუტერზე
- ბ. კლიენტის ნაწილი უზრუნველყოფს გრაფიკულ ინტერფეისს და იმყოფება მომხმარებლის კომპიუტერზე

გ. კლიენტის ნაწილი უზრუნველყოფს გრაფიკულ ინტერფეისს და არ იმყოფება მომხმარებლის კომპიუტერზე

1.2.1.1.13. კლიენტ-სერვერულ ტექნოლოგიაში:

- ა. სერვერის ნაწილი მოთავსებულია სერვერზე და უზრუნველყოფს მონაცემების მართვას, დანაწილებას, ადმინისტრირებასა და უსაფრთხოებას
- ბ. სერვერის ნაწილი მოთავსებული არ არის სერვერზე და უზრუნველყოფს მონაცემების მართვას, დანაწილებას, ადმინისტრირებასა და უსაფრთხოებას
- გ. სერვერის ნაწილი მოთავსებული არ არის სერვერზე და არ უზრუნველყოფს მონაცემების მართვას, დანაწილებას, ადმინისტრირებასა და უსაფრთხოებას

1.2.1.1.14. კლიენტ-სერვერული მონაცემთა ბაზის მართვის სისტემებია:

- ა. Microsoft SQL Server და Microsoft Access
- ბ. Microsoft SQL Server და Oracle
- გ. Microsoft Access და Microsoft Visual FoxPro

1.2.1.1.15. კლიენტ-სერვერული ტექნოლოგიისათვის:

- ა. არ არის დამახასიათებელი SQL ენის გამოყენება
- ბ. დამახასიათებელია C# ენის გამოყენება
- გ. დამახასიათებელია SQL ენის გამოყენება

მონაცემთა ბაზების მოდელები

1.3.1.1.1. მონაცემების მოდელი:

- ა. არის მონაცემების სტრუქტურისა და მათი დამუშავების ოპერაციების ერთობლიობა
- ბ. არ არის მონაცემების სტრუქტურისა და მათი დამუშავების ოპერაციების ერთობლიობა
- გ. არის ცხრილებისა და ინდექსების ერთობლიობა

1.3.1.1.2. მონაცემების მოდელის მიხედვით:

- ა. შეუძლებელია ობიექტების სტრუქტურისა და მათ შორის არსებული კავშირების წარმოდგენა
- ბ. შესაძლებელია მხოლოდ ობიექტების სტრუქტურის წარმოდგენა
- გ. შესაძლებელია ობიექტების სტრუქტურისა და მათ შორის არსებული კავშირების წარმოდგენა

1.3.1.1.3. არსებობს მონაცემების:

- ა. მხოლოდ რელაციური მოდელი
- ბ. იერარქიული, ქსელური და რელაციური მოდელები
- გ. მხოლოდ ქსელური მოდელი

1.3.1.1.4. მონაცემთა ბაზა შეიძლება იყოს:

- ა. მხოლოდ რელაციური
- ბ. იერარქიული, ქსელური და რელაციური
- გ. მხოლოდ ქსელური

1.3.1.1.5. მონაცემების იერარქიული მოდელის თითოეული ელემენტი:

- ა. სხვა ელემენტებს წარმოქმნის
- ბ. სხვა ელემენტებს არ წარმოქმნის
- გ. ინდექსებს წარმოქმნის

1.3.1.1.6. მონაცემების იერარქიული მოდელის ნებისმიერ წარმოქმნილ ელემენტს აქვს:

- ა. მხოლოდ ერთი წარმომქმნელი ელემენტი
- ბ. რამდენიმე წარმომქმნელი ელემენტი
- გ. მხოლოდ ორი წარმომქმნელი ელემენტი

1.3.1.1.7. მონაცემების იერარქიული მოდელის ნაკლია ის, რომ:

- ა. ხანდახან შესაძლებელია იერარქიის შეცვლა
- ბ. შესაძლებელია შემუშავებული იერარქიის შეცვლა
- გ. შეუძლებელია შემუშავებული იერარქიის შეცვლა

1.3.1.1.8. ქსელური მოდელის წარმოქმნილ ელემენტს:

- ა. არ შეიძლება ჰქონდეს ერთზე მეტი წარმომქმნელი ელემენტი
- ბ. შეიძლება ჰქონდეს ერთზე მეტი წარმომქმნელი ელემენტი
- გ. შეიძლება ჰქონდეს ერთი წარმომქმნელი ელემენტი

1.3.1.1.9. ქსელურ მოდელის ნაკლია:

- ა. იმისათვის, რომ მონაცემები დავამუშაოთ, არ უნდა ვიცოდეთ მონაცემთა ბაზის სტრუქტურა
- ბ. იმისათვის, რომ მონაცემები დავამუშაოთ, უნდა ვიცოდეთ ტრიგერის სტრუქტურა
- გ. იმისათვის, რომ მონაცემები დავამუშაოთ, უნდა ვიცოდეთ მონაცემთა ბაზის სტრუქტურა

1.3.1.1.10. მონაცემების რელაციური მოდელის შემთხვევაში:

- ა. მონაცემების წარმოდგენა ხდება ორგანზომილებიანი ცხრილის სახით
- ბ. მონაცემების წარმოდგენა ხდება სამგანზომილებიანი მასივის სახით
- გ. მონაცემების წარმოდგენა ხდება ერთგანზომილებიანი მასივის სახით

1.3.1.1.11. მარტივ შემთხვევაში, რელაციური მოდელი აღწერს:

- ა. ერთ ერთგანზომილებიან ცხრილს
- ბ. ერთ ორგანზომილებიან ცხრილს
- გ. ერთ სამგანზომილებიან ცხრილს

1.3.1.1.12. ხშირ შემთხვევაში, რელაციური მოდელი:

- ა. არ აღწერს არაფერს
- ბ. აღწერს ერთი ცხრილის სტრუქტურასა და მის შორის კავშირს
- გ. აღწერს რამდენიმე ცხრილის სტრუქტურასა და მათ შორის კავშირს

1.3.1.1.13. რელაციური არის მონაცემთა ისეთი ბაზა, რომელშიც მონაცემები წარმოდგენილია:

- ა. სწორკუთხა ორგანზომილებიანი ცხრილის სახით
- ბ. სამკუთხა ორგანზომილებიანი ცხრილის სახით
- გ. ორკუთხა ორგანზომილებიანი ცხრილის სახით

1.3.1.1.14. მონაცემთა ბაზის შიგნით ცხრილის სახელი:

- ა. შეიძლება გამოვრდეს
- ბ. არ არის უნიკალური
- გ. უნიკალურია

1.3.1.1.15. ცხრილი შედგება:

- ა. მხოლოდ სტრიქონებისაგან
- ბ. სტრიქონებისა და სვეტებისაგან
- გ. მხოლოდ სვეტებისაგან

1.3.1.1.16. ცხრილი შეიცავს ინფორმაციას:

- ა. ორტიპური ობიექტის შესახებ
- ბ. მრავალტიპური ობიექტის შესახებ
- გ. ერთტიპური ობიექტის შესახებ

1.3.1.1.17. ცხრილის სტრიქონი შეიცავს ინფორმაციას:

- ა. კონკრეტული ობიექტის შესახებ
- ბ. არაკონკრეტული ობიექტის შესახებ
- გ. სხვადასხვა ობიექტის შესახებ

1.3.1.1.18. ცხრილის თითოეული სვეტი:

- ა. არის ობიექტების კონკრეტული ატრიბუტის მნიშვნელობების ერთობლიობა
- ბ. არ არის ობიექტების კონკრეტული ატრიბუტის მნიშვნელობების ერთობლიობა
- გ. არის ობიექტების არაკონკრეტული ატრიბუტის მნიშვნელობების ერთობლიობა

1.3.1.1.19. თითოეულ სვეტს აქვს:

- ა. მხოლოდ სახელი
- ბ. სახელი და ტიპი
- გ. მხოლოდ ტიპი

1.3.1.1.20. ერთი ცხრილის სვეტებს:

- ა. ერთნაირი სახელი უნდა ჰქონდეს
- ბ. სხვადასხვა სახელი არ უნდა ჰქონდეს
- გ. სხვადასხვა სახელი უნდა ჰქონდეს

1.3.1.1.21. სხვადასხვა ცხრილს:

- ა. არ შეიძლება ერთნაირი სახელის მქონე სვეტები ჰქონდეს
- ბ. აუცილებლად უნდა ჰქონდეს სხვადასხვა სახელი
- *გ. შეიძლება ერთნაირი სახელის მქონე სვეტები ჰქონდეს

1.3.1.1.22. ცხრილის სტრიქონებს სახელები:

- ა. არ აქვს
- ბ. აქვს
- გ. ხანდახან აქვს

მონაცემთა რელაციური ბაზები

1.4.1.1.1. მონაცემთა რელაციური ბაზა:

- ა. არის ერთმანეთთან ლოგიკურად დაკავშირებული ცხრილების ერთობლიობა
- ბ. არ არის ერთმანეთთან ლოგიკურად დაკავშირებული ცხრილების ერთობლიობა
- გ. არის ერთმანეთთან ლოგიკურად დაუკავშირებელი ცხრილების ერთობლიობა

1.4.1.1.2. მონაცემთა ბაზაში თითოეულ ცხრილს:

- ა. არ უნდა ჰქონდეს უნიკალური სახელი და უნდა შედგებოდეს ერთტიპური სტრიქონებისგან
- ბ. უნდა ჰქონდეს უნიკალური სახელი და უნდა შედგებოდეს ერთტიპური სტრიქონებისგან
- გ. უნდა ჰქონდეს უნიკალური სახელი და არ უნდა შედგებოდეს ერთტიპური სტრიქონებისგან

1.4.1.1.3. სტრიქონის ერთ სვეტში მოთავსებული უნდა იყოს:

- ა. მხოლოდ ორი მნიშვნელობა
- ბ. მხოლოდ ერთი მნიშვნელობა
- გ. მხოლოდ სამი მნიშვნელობა

1.4.1.1.4. ცხრილში:

- ა. უნდა იყოს ზუსტად ერთნაირი ორი სტრიქონი
- ბ. უნდა იყოს ზუსტად ერთნაირი სამი სტრიქონი
- გ. არ უნდა იყოს ზუსტად ერთნაირი ორი სტრიქონი

1.4.1.1.5. სტრიქონები უნდა განსხვავდებოდეს:

- ა. სამი სვეტის მნიშვნელობით მაინც
- ბ. ორი სვეტის მნიშვნელობით მაინც
- გ. ერთი სვეტის მნიშვნელობით მაინც

ცხრილების ნორმალიზება

1.5.1.1.1. მონაცემთა ბაზის დაპროექტების მიზანია:

- ა. მონაცემების სიჭარბის არგამორიცხვა
- ბ. ცხრილების რაოდენობის მაქსიმუმამდე დაყვანა
- გ. მონაცემთა ბაზაში საჭირო მონაცემების შენახვის უზრუნველყოფა, მონაცემების სიჭარბის გამორიცხვა და ცხრილების რაოდენობის მინიმუმამდე დაყვანა

1.5.1.1.2. ცხრილების ნორმალიზება არის:

- ა. მონაცემების წარმოდგენის პროცესი მარტივი ორგანოზომილებიანი ცხრილის სახით
- ბ. მონაცემების წარმოდგენის პროცესი მარტივი სამგანოზომილებიანი ცხრილის სახით
- გ. მონაცემების წარმოდგენის პროცესი მარტივი ერთგანოზომილებიანი ცხრილის სახით

1.5.1.1.3. ნორმალიზების მიზანია:

- ა. ცხრილების რაოდენობის მაქსიმუმამდე დაყვანა

- ბ. მონაცემების სიჭარბის გამორიცხვა
- გ. ცხრილების გადაწერა

1.5.1.1.4. ნორმალიზების მიზანია:

- ა. მონაცემების წინააღმდეგობრიობის გამორიცხვა
- ბ. მონაცემების არაწინააღმდეგობრიობის გამორიცხვა
- გ. მონაცემების წინააღმდეგობრიობის არგამორიცხვა

1.5.1.1.5. არსებობს ცხრილის ნორმალიზების:

- ა. სამი ფორმა
- ბ. ექვსი ფორმა
- გ. შვიდი ფორმა

1.5.1.1.6. ცხრილი იმყოფება პირველ ნორმალურ ფორმაში მაშინ, როცა ის:

- ა. არ შეიცავს გამეორებად სვეტებს და სვეტების შედგენილ მნიშვნელობებს
- ბ. შეიცავს გამეორებად სვეტებს და სვეტების შედგენილ მნიშვნელობებს
- გ. შეიცავს გამეორებად სვეტებს და სვეტების შეუდგენელ მნიშვნელობებს

1.5.1.1.7. პირველ ნორმალურ ფორმაში მყოფ ცხრილს:

- ა. უნივერსალურ ცხრილს არ უწოდებენ
- ბ. ფიზიკურ ცხრილს უწოდებენ
- გ. უნივერსალურ ცხრილს უწოდებენ

1.5.1.1.8. ცხრილი იმყოფება მეორე ნორმალურ ფორმაში მაშინ, როცა ის:

- ა. აკმაყოფილებს პირველი ნორმალური ფორმის მოთხოვნებს, შეიცავს ერთ ან მეტ სვეტს, რომლებიც ქმნიან პირველად გასაღებს თითოეული სტრიქონისათვის და ყველა ის სვეტი, რომელიც შედის პირველად გასაღებში, მასთან დაკავშირებულია სრული ფუნქციური დამოკიდებულებით
- ბ. არ აკმაყოფილებს პირველი ნორმალური ფორმის მოთხოვნებს
- გ. აკმაყოფილებს პირველი ნორმალური ფორმის მოთხოვნებს, შეიცავს ერთ ან მეტ სვეტს, რომლებიც ქმნიან პირველად გასაღებს თითოეული სტრიქონისათვის და ყველა ის სვეტი, რომელიც არ შედის პირველად გასაღებში, მასთან დაკავშირებულია სრული ფუნქციური დამოკიდებულებით

1.5.1.1.9. თუ ცხრილს აქვს მარტივი პირველადი გასაღები, რომელიც მხოლოდ ერთი სვეტისაგან შედგება, მაშინ ის:

- ა. ავტომატურად იმყოფება პირველ ნორმალურ ფორმაში
- ბ. ავტომატურად იმყოფება მეორე ნორმალურ ფორმაში
- გ. ავტომატურად არ იმყოფება მეორე ნორმალურ ფორმაში

1.5.1.1.10. ცხრილი იმყოფება მესამე ნორმალურ ფორმაში მაშინ, როცა ის:

- ა. აკმაყოფილებს მეორე ნორმალური ფორმის მოთხოვნებს და მისი არც ერთი არასაგასაღებო სვეტი ფუნქციურად არ არის დამოკიდებული სხვა ნებისმიერ არასაგასაღებო სვეტზე
- ბ. არ აკმაყოფილებს მეორე ნორმალური ფორმის მოთხოვნებს
- გ. აკმაყოფილებს მეორე ნორმალური ფორმის მოთხოვნებს და მისი ყველა არასაგასაღებო სვეტი ფუნქციურად არ არის დამოკიდებული სხვა ნებისმიერ არასაგასაღებო სვეტზე

1.5.1.1.11. მესამე ნორმალური ფორმის მოთხოვნა დაიყვანება იმაზე, რომ:

- ა. ყველა არასაგასაღებო სვეტი დამოკიდებული იყოს მხოლოდ პირველად გასაღებზე და იყოს დამოკიდებული ერთმანეთზე
- ბ. ყველა არასაგასაღებო სვეტი დამოკიდებული არ იყოს მხოლოდ პირველად გასაღებზე
- გ. ყველა არასაგასაღებო სვეტი დამოკიდებული იყოს მხოლოდ პირველად გასაღებზე და არ იყოს დამოკიდებული ერთმანეთზე

ცხრილებს შორის არსებული კავშირები

პირველადი და გარე გასაღებები

1.6.1.1.1. ორ ცხრილს შორის კავშირის დამყარების დროს:

- ა. ორივე მთავარია
- ბ. ერთი მთავარია (მშობელი), მეორე - დამოკიდებული (შვილობილი)
- გ. ორივე დამოკიდებულია

1.6.1.1.2. ორ ცხრილს შორის კავშირის დასამყარებლად:

- ა. მთავარი ცხრილის პირველადი გასაღები უკავშირდება დამოკიდებული ცხრილის გარე გასაღებს
- ბ. დამოკიდებული ცხრილის პირველადი გასაღები უკავშირდება მთავარი ცხრილის გარე გასაღებს
- გ. დამოკიდებული ცხრილის პირველადი გასაღები უკავშირდება დამოკიდებული ცხრილის გარე გასაღებს

1.6.1.1.3. პირველადი გასაღები:

- ა. ცალსახად არ განსაზღვრავს თითოეულ სტრიქონს ცხრილში
- ბ. ცალსახად განსაზღვრავს თითოეულ სტრიქონს ცხრილში
- გ. ცალსახად განსაზღვრავს თითოეულ სვეტს ცხრილში

1.6.1.1.4. პირველადი გასაღები უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ მოთხოვნებს:

- ა. უნიკალურობა და მინიმალურობა
- ბ. მხოლოდ უნიკალურობა
- გ. მხოლოდ მინიმალურობა

1.6.1.1.5. უნიკალურობა ნიშნავს, რომ:

- ა. ცხრილში უნდა იყოს ორი ისეთი სტრიქონი, რომლებსაც პირველადი გასაღების ერთნაირი მნიშვნელობები ექნება
- ბ. ცხრილში არ უნდა იყოს სამი ისეთი სტრიქონი, რომლებსაც პირველადი გასაღების ერთნაირი მნიშვნელობები ექნება
- გ. ცხრილში არ უნდა იყოს ორი ისეთი სტრიქონი, რომლებსაც პირველადი გასაღების ერთნაირი მნიშვნელობები ექნება

1.6.1.1.6. მინიმალურობა ნიშნავს, რომ:

- ა. პირველად გასაღებში შემავალი სვეტებიდან ნებისმიერის გამოკლება არ უნდა იწვევდეს გასაღების უნიკალურობის დარღვევას
- ბ. პირველად გასაღებში შემავალი სვეტებიდან ნებისმიერის გამოკლება უნდა იწვევდეს

გასაღების უნიკალურობის დარღვევას

გ. პირველად გასაღებში შემავალი სვეტებიდან ნებისმიერის გამოკლება უნდა იწვევდეს გასაღების უნიკალურობის დაურღვევლობას

1.6.1.1.7. პირველადი გასაღები არ უნდა შეიცავდეს ისეთ სვეტს, რომლის მოცილების შემდეგ გასაღები:

- ა. ისევ უნიკალური დარჩება
- ბ. ისევ უნიკალური არ დარჩება
- გ. ისევ არაუნიკალური დარჩება

1.6.1.1.8. პირველადი გასაღები:

- ა. უნდა შეიცავდეს ცხრილის მხოლოდ ერთ სვეტს
- ბ. არ შეიძლება შეიცავდეს ცხრილის ერთ ან მეტ სვეტს
- გ. შეიძლება შეიცავდეს ცხრილის ერთ ან მეტ სვეტს

1.6.1.1.9. პირველად გასაღებში შემავალმა:

- ა. არც ერთმა სვეტმა არ უნდა მიიღოს განუსაზღვრელი მნიშვნელობა
- ბ. ყველა სვეტმა უნდა მიიღოს განუსაზღვრელი მნიშვნელობა
- გ. არც ერთმა სვეტმა არ უნდა მიიღოს განსაზღვრული მნიშვნელობა

1.6.1.1.10. გარე გასაღები (FOREIGN KEY) იქმნება:

- ა. მთავარ ცხრილში
- ბ. დამოკიდებულ ცხრილში
- გ. როგორც მთავარ, ისე დამოკიდებულ ცხრილში

1.6.1.1.11. გარე გასაღები შეიძლება შედგებოდეს:

- ა. მხოლოდ ერთი სვეტისგან
- ბ. არც ერთი სვეტისგან
- გ. ერთი ან მეტი სვეტისაგან

1.6.1.1.12. გარე გასაღების მნიშვნელობა:

- ა. ყოველთვის უნდა არსებობდეს მთავარ ცხრილში ან არ უნდა იყოს განუსაზღვრელი
- ბ. ყოველთვის არ უნდა არსებობდეს მთავარ ცხრილში ან უნდა იყოს განუსაზღვრელი
- გ. ყოველთვის უნდა არსებობდეს მთავარ ცხრილში ან უნდა იყოს განუსაზღვრელი

1.6.1.1.13. მთავარი ცხრილის რომელიმე სტრიქონის პირველადი გასაღების მნიშვნელობა:

- ა. შეიძლება იყოს დაკავშირებული დამოკიდებულებული ცხრილის ყველა სტრიქონთან
- ბ. შეიძლება იყოს დაკავშირებული დამოკიდებულებული ცხრილის არც ერთ სტრიქონთან
- გ. შეიძლება არ იყოს დაკავშირებული დამოკიდებულებული ცხრილის არც ერთ სტრიქონთან

1.6.1.1.14. მთავარ ცხრილში პირველადი გასაღების მნიშვნელობის შეცვლისას არსებობს:

- ა. დამოკიდებულებული ცხრილის ქცევის სამი ვარიანტი
- ბ. დამოკიდებულებული ცხრილის ქცევის ორი ვარიანტი
- გ. დამოკიდებულებული ცხრილის ქცევის ერთი ვარიანტი

1.6.1.1.15. მთავარ ცხრილში პირველადი გასაღების მნიშვნელობის შეცვლისას არსებობს დამოკიდებულებული ცხრილის ქცევის შემდეგი ვარიანტები:

- ა. მხოლოდ კასკადირება
- ბ. კასკადირება, შეზღუდვა და დაყენება
- გ. მხოლოდ შეზღუდვა

1.6.1.1.16. კასკადირების დროს:

- ა. მთავარ ცხრილში პირველადი გასაღების მნიშვნელობების შეცვლისას სრულდება დამოკიდებული ცხრილის გარე გასაღების შესაბამისი მნიშვნელობების ცვლილება. ხდება ყველა არსებული კავშირების შენარჩუნება
- ბ. მთავარ ცხრილში პირველადი გასაღების მნიშვნელობების შეცვლისას არ სრულდება დამოკიდებული ცხრილის გარე გასაღების შესაბამისი მნიშვნელობების ცვლილება
- გ. არ ხდება ყველა არსებული კავშირების შენარჩუნება

1.6.1.1.17. შეზღუდვის დროს:

- ა. დაუშვებელია პირველადი გასაღების იმ მნიშვნელობების შეცვლა, რომლებიც არ არის დაკავშირებული დამოკიდებული ცხრილის სტრიქონებთან
- ბ. დასაშვებია პირველადი გასაღების იმ მნიშვნელობების შეცვლა, რომლებიც დაკავშირებულია დამოკიდებული ცხრილის სტრიქონებთან
- გ. დაუშვებელია პირველადი გასაღების იმ მნიშვნელობების შეცვლა, რომლებიც დაკავშირებულია დამოკიდებული ცხრილის სტრიქონებთან. დასაშვებია პირველადი გასაღების იმ მნიშვნელობების შეცვლა, რომლებიც არ არიან დაკავშირებული დამოკიდებული ცხრილის სტრიქონებთან

1.6.1.1.18. დაყენების დროს:

- ა. ინფორმაცია დამოკიდებული ცხრილის სტრიქონების კავშირის შესახებ არ იკარგება
- ბ. პირველადი გასაღების მნიშვნელობის შეცვლის დროს გარე გასაღები იღებს განსაზღვრულ მნიშვნელობას
- გ. პირველადი გასაღების მნიშვნელობის შეცვლის დროს გარე გასაღები იღებს განუსაზღვრელ მნიშვნელობას (NULL). ინფორმაცია დამოკიდებული ცხრილის სტრიქონების კავშირის შესახებ იკარგება

1.6.1.1.19. მთავარი ცხრილის სტრიქონის წაშლისას არსებობს დამოკიდებული ცხრილის ქცევის შემდეგი ვარიანტები:

- ა. მხოლოდ კასკადირება
- ბ. კასკადირება, შეზღუდვა და დაყენება
- გ. მხოლოდ დაყენება

1.6.1.1.20. კასკადირების დროს:

- ა. დამოკიდებულ ცხრილში სტრიქონების წაშლისას სრულდება მთავარი ცხრილის შესაბამისი სტრიქონების წაშლა
- ბ. მთავარ ცხრილში სტრიქონების წაშლისას არ სრულდება დამოკიდებული ცხრილის შესაბამისი სტრიქონების წაშლა
- გ. მთავარ ცხრილში სტრიქონების წაშლისას სრულდება დამოკიდებული ცხრილის შესაბამისი სტრიქონების წაშლა

1.6.1.1.21. შეზღუდვის დროს:

- ა. დასაშვებია მთავარი ცხრილის მხოლოდ იმ სტრიქონების წაშლა, რომლებსაც არ აქვთ ბმული სტრიქონები დამოკიდებულ ცხრილში. წინააღმდეგ შემთხვევაში, წაშლის ოპერაცია არ

შესრულდება

ბ. დაუშვებელია მთავარი ცხრილის მხოლოდ იმ სტრიქონების წაშლა, რომლებსაც არ აქვთ ბმული სტრიქონები დამოკიდებულ ცხრილში

გ. დასაშვებია მთავარი ცხრილის მხოლოდ იმ სტრიქონების წაშლა, რომლებსაც აქვთ ბმული სტრიქონები დამოკიდებულ ცხრილში

1.6.1.1.22. დაყენების დროს:

ა. მთავარი ცხრილიდან სტრიქონის წაშლის დროს დამოკიდებულ ცხრილში შესაბამისი გარე გასაღები არ იღებს განუსაზღვრელ მნიშვნელობას

ბ. მთავარი ცხრილიდან სტრიქონის წაშლის დროს დამოკიდებულ ცხრილში შესაბამისი გარე გასაღები იღებს განსაზღვრულ მნიშვნელობას

გ. მთავარი ცხრილიდან სტრიქონის წაშლის დროს დამოკიდებულ ცხრილში შესაბამისი გარე გასაღები იღებს განუსაზღვრელ მნიშვნელობას (NULL)

"ერთი-ერთთან" კავშირი

1.6.2.1.1. ორ ცხრილს შორის დამყარებულია „ერთი-ერთთან“ კავშირი:

ა. თუ პირველი (მთავარი) ცხრილის კონკრეტული სტრიქონი დროის ნებისმიერ მომენტში დაკავშირებული არ არის მეორე (დამოკიდებული) ცხრილის ნულ (არც ერთ) ან ერთ სტრიქონთან

ბ. თუ პირველი (მთავარი) ცხრილის კონკრეტული სტრიქონი დროის ნებისმიერ მომენტში დაკავშირებულია მეორე (დამოკიდებული) ცხრილის ნულ (არც ერთ) ან ერთ სტრიქონთან

გ. თუ პირველი (მთავარი) ცხრილის კონკრეტული სტრიქონი დროის ნებისმიერ მომენტში დაკავშირებულია მეორე (დამოკიდებული) ცხრილის ნულ (არც ერთ) ან რამდენიმე სტრიქონთან

1.6.2.1.2. „ერთი-ერთთან“ კავშირი იქმნება იმ შემთხვევაში, როცა:

ა. ორივე სვეტი არის პირველადი გასაღები ან ორივე სვეტს აქვს უნიკალურობის შეზღუდვა

ბ. ორივე სვეტი არ არის პირველადი გასაღები

გ. ორივე სვეტს არ აქვს უნიკალურობის შეზღუდვა

1.6.2.1.3. „ერთი-ერთთან“ კავშირი იქმნება იმ შემთხვევაში, როცა:

ა. არ გვინდა ბევრი სვეტის მქონე ცხრილის დაყოფა

ბ. არ გვინდა ცხრილის ნაწილის იზოლირება უსაფრთხოების მოსაზრებიდან გამომდინარე

გ. გვინდა ბევრი სვეტის მქონე ცხრილის დაყოფა, ცხრილის ნაწილის იზოლირება უსაფრთხოების მოსაზრებიდან გამომდინარე და ა.შ.

"ერთი-ბევრთან" კავშირი

1.6.3.1.1. „ერთი-ბევრთან“ კავშირი იქმნება იმ შემთხვევაში:

ა. თუ პირველი (მთავარი) ცხრილის კონკრეტული სტრიქონი დროის ნებისმიერ მომენტში დაკავშირებულია მეორე (დამოკიდებული) ცხრილის ნულ, ერთ ან მეტ სტრიქონთან და მეორე ცხრილის ნებისმიერი სტრიქონი დაკავშირებულია პირველის ცხრილის მხოლოდ ერთ სტრიქონთან

- ბ. თუ პირველი (მთავარი) ცხრილის კონკრეტული სტრიქონი დროის ნებისმიერ მომენტში დაკავშირებულია მეორე (დამოკიდებული) ცხრილის ნულ, ერთ ან მეტ სტრიქონთან და მეორე ცხრილის ნებისმიერი სტრიქონი დაკავშირებულია პირველის ცხრილის რამდენიმე სტრიქონთან
- გ. თუ პირველი (მთავარი) ცხრილის კონკრეტული სტრიქონი დროის ნებისმიერ მომენტში დაკავშირებული არ არის მეორე (დამოკიდებული) ცხრილის ნულ, ერთ ან მეტ სტრიქონთან

"ბევრი-ბევრთან" კავშირი

1.6.4.1.1. „ბევრი-ბევრთან“ კავშირი იქმნება იმ შემთხვევაში:

- ა. თუ პირველი (მთავარი) ცხრილის კონკრეტული სტრიქონი დროის ნებისმიერ მომენტში დაკავშირებულია მეორე (დამოკიდებული) ცხრილის ნულ, ერთ ან მეტ სტრიქონთან და მეორე ცხრილის ნებისმიერი სტრიქონი დაკავშირებულია პირველის ცხრილის მხოლოდ ერთ სტრიქონთან
- ბ. თუ პირველი (მთავარი) ცხრილის კონკრეტული სტრიქონი დროის ნებისმიერ მომენტში დაკავშირებულია მეორე (დამოკიდებული) ცხრილის ნულ, ერთ ან მეტ სტრიქონთან და პირიქით
- გ. თუ პირველი (მთავარი) ცხრილის კონკრეტული სტრიქონი დროის ნებისმიერ მომენტში დაკავშირებულია მეორე (დამოკიდებული) ცხრილის ნულ (არც ერთ) ან ერთ სტრიქონთან

თავი 2. მონაცემთა ბაზები

მონაცემთა ბაზების არქიტექტურა

2.1.0.1.1. მონაცემთა ბაზის სტრუქტურა შეიძლება იყოს:

- ა. მხოლოდ ლოგიკური
- ბ. მხოლოდ ფიზიკური
- გ. ლოგიკური და ფიზიკური

2.1.0.1.2. მონაცემთა ბაზის ლოგიკური სტრუქტურა მოიცავს:

- ა. მხოლოდ ცხრილების სტრუქტურას
- ბ. ცხრილების სტრუქტურას, მათ შორის კავშირებს, მომხმარებლებების სიას, შენახულ პროცედურებს და მონაცემთა ბაზის სხვა ობიექტებს
- გ. მხოლოდ ცხრილებს შორის კავშირებს

2.1.0.1.3. მონაცემთა ბაზის ფიზიკური სტრუქტურა:

- ა. მოიცავს მონაცემთა ბაზის ფაილებისა და ტრანზაქციების ჟურნალის აღწერას, მათ საწყის ზომას, ნაზარდის ზომას, მაქსიმალურ ზომას, კონფიგურირების პარამეტრებს და ა.შ.
- ბ. არ მოიცავს მონაცემთა ბაზის ფაილებისა და ტრანზაქციების ჟურნალის აღწერას, მათ საწყის ზომას, ნაზარდის ზომას, მაქსიმალურ ზომას, კონფიგურირების პარამეტრებს და ა.შ.
- გ. მოიცავს მონაცემთა ბაზის ლოგიკურ სტრუქტურას

მონაცემთა ბაზების ობიექტები

2.1.1.1.1. მონაცემთა ბაზების ობიექტებია:

- ა. მხოლოდ ცხრილები
- ბ. ცხრილები, შენახული პროცედურები, ტრიგერები, წარმოდგენები, ინდექსები, მომხმარებლების ტიპები, მომხმარებლების ფუნქციები
- გ. მხოლოდ ცხრილები და ინდექსები

ცხრილები

2.1.2.1.1. მონაცემთა ბაზის ობიექტებიდან საკუთრივ მონაცემებს შეიცავს მხოლოდ:

- ა. ცხრილი
- ბ. ტრიგერი
- გ. წარმოდგენა

2.1.2.1.2. ცხრილის ზოგიერთი სვეტი შეიძლება იყოს:

- ა. გამოთვლადი
- ბ. წარმოდგენა
- გ. პირობითი

2.1.2.1.3. გამოთვლად სვეტებში მიეთითება:

- ა. წარმოდგენა

- ბ. ფორმულა
- გ. პირობა

2.1.2.1.4. სისტემური ცხრილები შეიცავს:

- ა. ინფორმაციას მხოლოდ ტრიგერებისა და ინდექსების შესახებ
- ბ. სერვერის მუშაობისათვის არასაჭირო ინფორმაციას
- გ. სერვერის მუშაობისათვის საჭირო ინფორმაციას

2.1.2.1.5. დროებითი ცხრილები განკუთვნილია:

- ა. მონაცემების გლობალურად შესანახად
- ბ. მონაცემების ხანგრძლივად შესანახად
- გ. მონაცემების დროებით შესანახად

2.1.2.1.6. დროებითი ცხრილები მოთავსებულია:

- ა. model სისტემურ მონაცემთა ბაზაში
- ბ. tempdb სისტემურ მონაცემთა ბაზაში
- გ. master სისტემურ მონაცემთა ბაზაში

2.1.2.1.7. თუ დროებითი ცხრილის შექმნის დროს აშკარად მივუთითებთ მონაცემთა ბაზის სახელს, რომელშიც ის უნდა შეიქმნას, მაშინ:

- ა. ცხრილი tempdb სისტემურ მონაცემთა ბაზაში შეიქმნება
- ბ. ცხრილი master სისტემურ მონაცემთა ბაზაში შეიქმნება
- გ. ცხრილი მომხმარებლის მონაცემთა ბაზაში შეიქმნება

2.1.2.1.8. დროებითი ცხრილი:

- ა. არ არის ლოკალური და გლობალური
- ბ. არის მხოლოდ ლოკალური
- გ. არის ლოკალური და გლობალური

2.1.2.1.9. დროებითი ცხრილები ავტომატურად:

- ა. არ იშლება შეერთების დახურვის დროს
- ბ. იშლება შეერთების დახურვის დროს
- გ. იშლება შეერთების გახსნის დროს

2.1.2.1.10. ლოკალური დროებითი ცხრილის სახელი:

- ა. ერთი # სიმბოლოთი იწყება
- ბ. ორი # სიმბოლოთი იწყება
- გ. # სიმბოლოთი არ იწყება

2.1.2.1.11. ლოკალური დროებითი ცხრილები:

- ა. ხილულია, მხოლოდ იმ შეერთების შიგნით, რომელშიც ისინი არ შეიქმნა
- ბ. უხილავია, მხოლოდ იმ შეერთების შიგნით, რომელშიც ისინი შეიქმნა
- გ. ხილულია, მხოლოდ იმ შეერთების შიგნით, რომელშიც ისინი შეიქმნა

2.1.2.1.12. შეერთების დახურვის დროს:

- ა. ლოკალური დროებითი ცხრილი ავტომატურად იშლება

- ბ. ლოკალური დროებითი ცხრილი ავტომატურად არ იშლება
- გ. ლოკალური დროებითი ცხრილი ხანდახან ავტომატურად არ იშლება

2.1.2.1.13. თუ ლოკალური დროებითი ცხრილი შეიქმნა შენახული პროცედურის მუშაობის დროს, მაშინ ამ პროცედურიდან გამოსვლის შემდეგ:

- ა. ცხრილი ავტომატურად არ წაიშლება
- ბ. ცხრილი ავტომატურად წაიშლება
- გ. ცხრილი არავტომატურად წაიშლება

2.1.2.1.14. გლობალური დროებითი ცხრილის სახელი:

- ა. # სიმბოლოებით არ იწყება
- ბ. ## სიმბოლოებით არ იწყება
- გ. ## სიმბოლოებით იწყება

2.1.2.1.15. გლობალური დროებითი ცხრილის შესაქმნელად:

- ა. საკმარისია ცხრილის სახელის წინ ## სიმბოლოების მითითება
- ბ. არ არის საკმარისი ცხრილის სახელის წინ ## სიმბოლოების მითითება
- გ. საკმარისია ცხრილის სახელის წინ # სიმბოლოს მითითება

2.1.2.1.16. გლობალურ ცხრილზე მიმართვა:

- ა. არ შეგვიძლია ნებისმიერი შერთებიდან
- ბ. შეგვიძლია ნებისმიერი შერთებიდან
- გ. დაუშვებელია ნებისმიერი შერთებიდან

2.1.2.1.17. დროებითი გლობალური ცხრილები:

- ა. არ არის განკუთვნილი მონაცემების გასაცვლელად სხვადასხვა პროგრამას შორის
- ბ. განკუთვნილია მონაცემების გასაცვლელად სხვადასხვა პროგრამას შორის
- გ. განკუთვნილია მხოლოდ ტრიგერებთან სამუშაოდ

2.1.2.1.18. გლობალური დროებითი ცხრილი:

- ა. არის იმ შეერთების დამთავრებამდე, რომელშიც ეს ცხრილი შეიქმნა
- ბ. არ არის იმ შეერთების დამთავრებამდე, რომელშიც ეს ცხრილი შეიქმნა
- გ. არის იმ შეერთების დამთავრებამდე, რომელშიც ეს ცხრილი არ შეიქმნა

2.1.2.1.19. გლობალური დროებითი ცხრილის წაშლა და შეცვლა:

- ა. არ შეგვიძლია სხვადასხვა შეერთებიდან
- ბ. შეუძლებელია
- გ. შეგვიძლია სხვადასხვა შეერთებიდან

2.1.2.1.20. დროებითი ცხრილი ყოველთვის იქმნება:

- ა. მიმდინარე სერვერზე tempdb მონაცემთა ბაზაში
- ბ. სხვა სერვერზე tempdb მონაცემთა ბაზაში
- გ. მიმდინარე სერვერზე model მონაცემთა ბაზაში

2.1.2.1.21. სერვერის გაჩერების შემთხვევაში:

- ა. ავტომატურად იშლება მხოლოდ ლოკალური ცხრილი

- ბ. ავტომატურად იშლება მხოლოდ გლობალური ცხრილი
- გ. ლოკალური და გლობალური დროებითი ცხრილები ავტომატურად იშლება

მომხმარებლების ტიპები

2.1.3.1.1. მონაცემთა მომხმარებლის ტიპები:

- ა. არ იქმნება მონაცემების სისტემური ტიპების საფუძველზე
- ბ. იქმნება მონაცემების სისტემური ტიპების საფუძველზე
- გ. იქმნება მონაცემების არასისტემური ტიპების საფუძველზე

2.1.3.1.2. მომხმარებლის ტიპის სახელი უნიკალური:

- ა. არ უნდა იყოს მფლობელის ფარგლებში
- ბ. უნდა იყოს მფლობელის ფარგლებში
- გ. უნდა იყოს არამფლობელის ფარგლებში

2.1.3.1.3. სხვადასხვა მფლობელებს:

- ა. შეუძლიათ შექმნან ერთნაირი სახელის მქონე მომხმარებლის ტიპები
- ბ. არ შეუძლიათ შექმნან ერთნაირი სახელის მქონე მომხმარებლის ტიპები
- გ. არ შეუძლიათ შექმნან სხვადასხვა სახელის მქონე მომხმარებლის ტიპები

წარმოდგენები

2.1.4.1.1. წარმოდგენა არის ვირტუალური ცხრილი, რომლის შემცველობა განისაზღვრება:

- ა. UPDATE მოთხოვნით
- ბ. DELETE მოთხოვნით
- გ. SELECT მოთხოვნით

2.1.4.1.2. წარმოდგენა შედგება:

- ა. მხოლოდ სვეტებისაგან
- ბ. სვეტებისა და სტრიქონებისაგან
- გ. მხოლოდ სტრიქონებისაგან

2.1.4.1.3. წარმოდგენა მონაცემებს:

- ა. არ შეიცავს
- ბ. შეიცავს
- გ. ხანდახან შეიცავს

2.1.4.1.4. უმარტივესი წარმოდგენა:

- ა. შექმნილია რამდენიმე ცხრილის ბაზაზე და არ შეიცავს ფილტრებს
- ბ. შექმნილია ერთი ცხრილის ბაზაზე და არ შეიცავს ფილტრებს
- გ. შექმნილია ერთი ცხრილის ბაზაზე და შეიცავს ფილტრებს

2.1.4.1.5. რთული წარმოდგენა შეიცავს:

- ა. ერთი ცხრილის გაუფილტრავ ინფორმაციას

- ბ. მხოლოდ ერთ ცხრილს
- გ. რამდენიმე ცხრილის გაფილტრულ ინფორმაციას

შენახული პროცედურები

2.1.5.1.1. შენახული პროცედურა არის:

- ა. ერთ მოდულში გაერთიანებული ბრძანებების ჯგუფი, რომელსაც სახელი აქვს
- ბ. ერთ მოდულში გაერთიანებული ბრძანებების ჯგუფი, რომელსაც სახელი არ აქვს
- გ. რამდენიმე მოდულში გაერთიანებული ბრძანებების ჯგუფი, რომელსაც სახელი არ აქვს

2.1.5.1.2. სისტემური შენახული პროცედურების სახელები:

- ა. არ იწყება sp_ პრეფიქსით
- ბ. იწყება sp_ პრეფიქსით
- გ. იწყება sys_ პრეფიქსით

2.1.5.1.3. საკუთარი შენახული პროცედურების შექმნა:

- ა. შესაძლებელია
- ბ. შეუძლებელია
- გ. ხანდახან შესაძლებელია

2.1.5.1.4. როცა შენახული პროცედურა პირველად სრულდება, მაშინ სერვერი:

- ა. არ ქმნის მისი შესრულების გეგმას
- ბ. ქმნის მისი შესრულების გეგმას
- გ. ქმნის მისი შეუსრულებლობის გეგმას

2.1.5.1.5. შენახული პროცედურის განმეორებით შესრულებისას, სერვერი:

- ა. არ იყენებს მეხსიერებაში მოთავსებულ გეგმას
- ბ. იყენებს სხვა სერვერზე მოთავსებულ გეგმას
- გ. იყენებს მეხსიერებაში მოთავსებულ გეგმას

ტრიგერები

2.1.6.1.1. ტრიგერები არის შენახული პროცედურის სპეციალური კლასი, რომლებიც ავტომატურად:

- ა. გაიშვება ცხრილებში მონაცემების დამატების, შეცვლის ან წაშლის დროს
- ბ. არ გაიშვება ცხრილებში მონაცემების დამატების, შეცვლის ან წაშლის დროს
- გ. გაიშვება ცხრილებში მონაცემების მხოლოდ ამორჩევის დროს

2.1.6.1.2. ტრიგერები სამ კატეგორიად იყოფა:

- ა. ამორჩევის, ჩამატებისა და წაშლის ტრიგერები
- ბ. შეცვლის, ჩამატებისა და წაშლის ტრიგერები
- გ. შეცვლის, ჩამატებისა და ამორჩევის ტრიგერები

2.1.6.1.3. ერთი ცხრილისთვის:

- ა. არ შეიძლება განსაზღვრულ იქნეს თითოეული ტიპის რამდენიმე ტრიგერი

- ბ. შეიძლება განსაზღვრულ იქნეს თითოეული ტიპის რამდენიმე ტრიგერი
- გ. შეიძლება განსაზღვრულ იქნეს თითოეული ტიპის ერთი ტრიგერი

2.1.6.1.4. ერთი ტრიგერიდან:

- ა. შეგვიძლია სხვა ტრიგერები გამოვიძახოთ
- ბ. არ შეგვიძლია სხვა ტრიგერები გამოვიძახოთ
- გ. სხვა ტრიგერები აუცილებლად უნდა გამოვიძახოთ

ინდექსები

2.1.7.1.1. ინდექსი განკუთვნილია შესაბამის ცხრილში ან წარმოდგენაში ინფორმაციის:

- ა. ძებნის შესანელებლად
- ბ. შესაცვლელად
- გ. ძებნის დასაჩქარებლად

2.1.7.1.2. ინდექსი განისაზღვრება:

- ა. მხოლოდ ერთი სვეტისთვის
- ბ. ერთი ან მეტი სვეტისთვის
- გ. არც ერთი სვეტისთვის

2.1.7.1.3. ინდექსი:

- ა. არ შეიცავს ინდექსირებული სვეტის ან სვეტების დახარისხებულ მნიშვნელობებს საწყისი ცხრილის ან წარმოდგენის შესაბამის სტრიქონზე მიმართებთან ერთად
- ბ. შეიცავს ინდექსირებული სვეტის ან სვეტების დახარისხებულ მნიშვნელობებს საწყისი ცხრილის ან წარმოდგენის შესაბამის სტრიქონზე მიმართებთან ერთად
- გ. შეიცავს მხოლოდ წარმოდგენის შესაბამის სტრიქონზე მიმართებებს

მთლიანობის შეზღუდვა

2.1.8.1.1. მთლიანობის შეზღუდვა:

- ა. გამოიყენება მონაცემების მთლიანობის უზრუნველსაყოფად ლოგიკურ დონეზე
- ბ. გამოიყენება მონაცემების მთლიანობის უზრუნველსაყოფად ფიზიკურ დონეზე
- გ. არ გამოიყენება მონაცემების მთლიანობის უზრუნველსაყოფად ლოგიკურ დონეზე

2.1.8.1.2. მთლიანობის შეზღუდვა ესაა მექანიზმი, რომელიც:

- ა. უზრუნველყოფს ჩვენ მიერ განსაზღვრულ პირობებთან (ან შეზღუდვებთან) მონაცემების შესაბამისობის არავტომატურ კონტროლს
- ბ. არ უზრუნველყოფს ჩვენ მიერ განსაზღვრულ პირობებთან (ან შეზღუდვებთან) მონაცემების შესაბამისობის ავტომატურ კონტროლს
- გ. უზრუნველყოფს ჩვენ მიერ განსაზღვრულ პირობებთან (ან შეზღუდვებთან) მონაცემების შესაბამისობის ავტომატურ კონტროლს

2.1.8.1.3. მთლიანობის შეზღუდვა:

- ა. შეიძლება გამოიყენებულ იქნეს სვეტის ან ცხრილის დონეზე

- ბ. არ შეიძლება გამოყენებულ იქნეს სვეტის ან ცხრილის დონეზე
- გ. შეიძლება გამოყენებულ იქნეს მხოლოდ სვეტის დონეზე

2.1.8.1.4. მთლიანობის შეზღუდვა, რომელიც სვეტის დონეზე გამოიყენება:

- ა. მოქმედებს მხოლოდ ამ სვეტში შესატან მონაცემებზე
- ბ. არ მოქმედებს ამ სვეტში შესატან მონაცემებზე
- გ. მოქმედებს სხვა სვეტში შესატან მონაცემებზე

2.1.8.1.5. თუ მთლიანობის შეზღუდვა გამოიყენება რამდენიმე სვეტის მიმართ, მაშინ შეზღუდვა:

- ა. მუშაობს მონაცემთა ბაზის დონეზე
- ბ. არ მუშაობს ცხრილის დონეზე
- გ. მუშაობს ცხრილის დონეზე

2.1.8.1.6. არსებობს მთლიანობის შეზღუდვის:

- ა. ორი ტიპი
- ბ. სამი ტიპი
- გ. ხუთი ტიპი

2.1.8.1.7. NULL მთლიანობის შეზღუდვა მოქმედებს:

- ა. მხოლოდ სვეტის დონეზე
- ბ. სვეტისა და მომხმარებლის ტიპის დონეზე
- გ. მონაცემთა ბაზის დონეზე

2.1.8.1.8. სვეტისა და მომხმარებლის ტიპისთვის:

- ა. შეგვიძლია განვსაზღვროთ მხოლოდ NULL შეზღუდვა
- ბ. შეგვიძლია განვსაზღვროთ NULL ან NOT NULL მთლიანობის შეზღუდვა
- გ. არ შეგვიძლია განვსაზღვროთ NULL ან NOT NULL მთლიანობის შეზღუდვა

2.1.8.1.9. თუ სვეტისთვის განსაზღვრულია NULL მთლიანობის შეზღუდვა, მაშინ:

- ა. სვეტში ნებადართულია NULL მნიშვნელობის შენახვა
- ბ. სვეტში არ არის ნებადართული NULL მნიშვნელობის შენახვა
- გ. ტრიგერში ნებადართულია NULL მნიშვნელობის შენახვა

2.1.8.1.10. თუ სვეტისთვის განსაზღვრულია NOT NULL მთლიანობის შეზღუდვა, მაშინ:

- ა. სვეტში არ არის ნებადართული NULL მნიშვნელობის შენახვა
- ბ. სვეტში ნებადართულია NULL მნიშვნელობის შენახვა
- გ. ტრიგერში ნებადართულია NULL მნიშვნელობის შენახვა

2.1.8.1.11. NULL არის სპეციალური მნიშვნელობა, რომელიც აღნიშნავს:

- ა. ტრიგერის არსებობას
- ბ. მნიშვნელობის ყოფნას
- გ. მნიშვნელობის არყოფნას

2.1.8.1.12. NULL არ არის იგივე, რაც:

- ა. მნიშვნელობის არყოფნა

- ბ. ინტერვალის სიმბოლო, ნული ან ნულოვანი სიგრძის სტრიქონი
- გ. ტრიგერის არარსებობა

2.1.8.1.13. NULL მნიშვნელობა შეიძლება შეფასდეს, როგორც:

- ა. UNKNOWN (უცნობი)
- ბ. TRUE
- გ. FALSE

2.1.8.1.14. CHECK მთლიანობის შეზღუდვა მოქმედებს:

- ა. ცხრილის დონეზე და არ ზღუდავს სვეტში შესანახი მნიშვნელობების დიაპაზონს
- ბ. ცხრილის დონეზე
- გ. სვეტის დონეზე და ზღუდავს სვეტში შესანახი მნიშვნელობების დიაპაზონს

2.1.8.1.15. თუ CHECK მთლიანობის შეზღუდვის შემოწმების შედეგია TRUE, მაშინ მონაცემების შეცვლა:

- ა. ნებადართული იქნება
- ბ. ნებადართული არ იქნება
- გ. აკრძალება ყველა მომხმარებელს

2.1.8.1.16. თუ CHECK მთლიანობის შეზღუდვის შემოწმების შედეგია FALSE, მაშინ ცვლილებები:

- ა. აკრძალება და შეტყობინება გაიცემა შეცდომის შესახებ
- ბ. არ აკრძალება და შეტყობინება გაიცემა შეცდომის შესახებ
- გ. არ აკრძალება და შეტყობინება არ გაიცემა შეცდომის შესახებ

2.1.8.1.17. ერთი სვეტისთვის შეგვიძლია შევქმნათ:

- ა. არც ერთი CHECK შეზღუდვა
- ბ. ერთი CHECK შეზღუდვა
- გ. რამდენიმე CHECK შეზღუდვა

2.1.8.1.18. UNIQUE მთლიანობის შეზღუდვა მოქმედებს:

- ა. ცხრილის დონეზე და იძლევა სვეტში მნიშვნელობების უნიკალურობის გარანტიას
- ბ. სვეტის დონეზე და იძლევა სვეტში მნიშვნელობების უნიკალურობის გარანტიას
- გ. ცხრილის დონეზე და არ იძლევა სვეტში მნიშვნელობების უნიკალურობის გარანტიას

2.1.8.1.19. UNIQUE მთლიანობის შეზღუდვა:

- ა. ხანდახან უშვებს NULL მნიშვნელობის არსებობას
- ბ. არ უშვებს NULL მნიშვნელობის არსებობას
- გ. უშვებს NULL მნიშვნელობის არსებობას

2.1.8.1.20. PRIMARY KEY შეზღუდვა მოქმედებს:

- ა. მხოლოდ სვეტის დონეზე
- ბ. სვეტის ან ცხრილის დონეზე
- გ. მხოლოდ ცხრილის დონეზე

2.1.8.1.21. პირველადი გასაღები:

- ა. შეიძლება შედგებოდეს ერთი ან მეტი სვეტისაგან და არის სტრიქონის უნიკალური იდენტიფიკატორი ცხრილის ფარგლებში
- ბ. არ შეიძლება შედგებოდეს ერთი ან მეტი სვეტისაგან და არის სტრიქონის უნიკალური იდენტიფიკატორი ცხრილის ფარგლებში
- გ. არ შეიძლება შედგებოდეს ერთი ან მეტი სვეტისაგან და არ არის სტრიქონის უნიკალური იდენტიფიკატორი ცხრილის ფარგლებში

2.1.8.1.22. თუ პირველადი გასაღები ერთი სვეტისაგან შედგება, მაშინ ამ სვეტისთვის:

- ა. უნდა იყოს დაყენებული UNIQUE შეზღუდვა
- ბ. არ უნდა იყოს დაყენებული UNIQUE შეზღუდვა
- გ. უნდა იყოს დაყენებული DEFAULT შეზღუდვა

2.1.8.1.23. თუ პირველადი გასაღები რამდენიმე სვეტისაგან შედგება, მაშინ თითოეულ სვეტში მნიშვნელობები:

- ა. არ შეიძლება გამეორდეს
- ბ. შეიძლება გამეორდეს
- გ. არ უნდა გამეორდეს

2.1.8.1.24. თუ პირველადი გასაღები რამდენიმე სვეტისაგან შედგება, მაშინ:

- ა. უნიკალური უნდა იყოს ამ სვეტების მნიშვნელობების კომბინაცია თითოეული სვეტისათვის
- ბ. უნიკალური არ უნდა იყოს ამ სვეტების მნიშვნელობების კომბინაცია თითოეული სტრიქონისათვის
- გ. უნიკალური უნდა იყოს ამ სვეტების მნიშვნელობების კომბინაცია თითოეული სტრიქონისათვის

2.1.8.1.25. პირველად გასაღებში შემავალი:

- ა. არც ერთი სვეტისათვის არ უნდა იყოს დაყენებული NULL შეზღუდვა
- ბ. ყველა სვეტისათვის არ უნდა იყოს დაყენებული NULL შეზღუდვა
- გ. ყველა სვეტისათვის უნდა იყოს დაყენებული NULL შეზღუდვა

2.1.8.1.26. ცხრილში შეგვიძლია შევქმნათ მხოლოდ:

- ა. ერთი პირველადი გასაღები
- ბ. ორი პირველადი გასაღები
- გ. სამი პირველადი გასაღები

2.1.8.1.27. FOREIGN KEY შეზღუდვა იქმნება:

- ა. სვეტის დონეზე
- *ბ. ცხრილის დონეზე
- გ. სტრიქონის დონეზე

2.1.8.1.28. დამოკიდებული ცხრილის გარე გასაღები უკავშირდება:

- ა. დამოკიდებული ცხრილის პირველად გასაღებს
- ბ. მთავარი ცხრილის გარე გასაღებს
- გ. მთავარი ცხრილის პირველად გასაღებს

- 2.1.8.1.29. მთავარი ცხრილიდან შეუძლებელია სტრიქონის წაშლა, თუ მასთან:
- ა. დაკავშირებულია თუნდაც ერთი სტრიქონი დამოკიდებულ ცხრილში
 - ბ. არ არის დაკავშირებული თუნდაც ერთი სტრიქონი დამოკიდებულ ცხრილში
 - გ. დაკავშირებული არ არის არც ერთი სტრიქონი დამოკიდებულ ცხრილში

- 2.1.8.1.30. მთავარი ცხრილიდან სტრიქონის წაშლის წინ:
- ა. არ არის აუცილებელი წინასწარ წავშალოთ დამოკიდებული ცხრილის ყველა სტრიქონი
 - ბ. აუცილებელია წინასწარ წავშალოთ დამოკიდებული ცხრილის ყველა სტრიქონი
 - გ. აუცილებელია წინასწარ წავშალოთ მთავარი ცხრილის ყველა სტრიქონი

ნაგულისხმები მნიშვნელობები

- 2.1.9.1.1. ნაგულისხმებია მნიშვნელობა, რომელიც:
- ა. ხელით მიენიჭება ცხრილის სვეტს სტრიქონის ჩასმის დროს, თუ ჩასმის ბრძანებაში ამკარად არ არის მითითებული ამ სვეტის მნიშვნელობა
 - ბ. ავტომატურად არ მიენიჭება ცხრილის სვეტს სტრიქონის ჩასმის დროს, თუ ჩასმის ბრძანებაში ამკარად არ არის მითითებული ამ სვეტის მნიშვნელობა
 - გ. ავტომატურად მიენიჭება ცხრილის სვეტს სტრიქონის ჩასმის დროს, თუ ჩასმის ბრძანებაში ამკარად არ არის მითითებული ამ სვეტის მნიშვნელობა

- 2.1.9.1.2. ნაგულისხმები მნიშვნელობა:
- ა. შეიძლება იყოს მუდმივა, ჩადგმული ფუნქციის ან მათემატიკური გამოსახულების მიერ გაცემული შედეგი
 - ბ. არ შეიძლება იყოს მუდმივა, ჩადგმული ფუნქციის ან მათემატიკური გამოსახულების მიერ გაცემული შედეგი
 - გ. შეიძლება არ იყოს მუდმივა, ჩადგმული ფუნქციის ან მათემატიკური გამოსახულების მიერ გაცემული შედეგი

ფუნქციები

- 2.1.10.1.1. ფუნქცია არის კონსტრუქცია, რომელიც:
- ა. არ შეიცავს ხშირად გამოყენებად კოდს და აქვს სახელი
 - ბ. შეიცავს ხშირად გამოყენებად კოდს და აქვს სახელი
 - გ. შეიცავს ხშირად გამოყენებად კოდს და არ აქვს სახელი

- 2.1.10.1.2. არსებობს ფუნქციების ორი ტიპი:
- ა. მხოლოდ მომხმარებლის ფუნქციები
 - ბ. მხოლოდ ჩადგმული ფუნქციები
 - გ. ჩადგმული ფუნქციები და მომხმარებლის ფუნქციები

- 2.1.10.1.3. ჩადგმული ფუნქციები:
- ა. პროგრამირების გარემოს შემადგენელი ნაწილია და წინასწარგანსაზღვრულ მოქმედებებს ასრულებენ
 - ბ. პროგრამირების გარემოს შემადგენელი ნაწილია და წინასწარგანსაზღვრულ

მოქმედებებს არ ასრულებენ

გ. არ არის პროგრამირების გარემოს შემადგენელი ნაწილია და წინასწარგანსაზღვრულ მოქმედებებს არ ასრულებენ

სისტემური მონაცემთა ბაზები

2.2.0.1.1. სერვერის სისტემური მონაცემთა ბაზებია:

- ა. master; msdb; model; tempdb
- ბ. msdb; model; tempdb
- გ. master; msdb; model

2.2.0.1.2. სისტემურ ცხრილებთან მუშაობა დასაშვებია:

- ა. INSERT და DELETE ბრძანებების გამოყენებით
- ბ. SELECT ბრძანების გამოყენებით
- გ. UPDATE და DELETE ბრძანებების გამოყენებით

2.2.0.1.3. სისტემურ ცხრილებში მონაცემების შეცვლა:

- ა. შესაძლებელია ინდექსების გამოყენებით
- ბ. შეუძლებელია სისტემური შენახული პროცედურების გამოყენებით
- გ. შესაძლებელია სისტემური შენახული პროცედურების გამოყენებით

Master სისტემური მონაცემთა ბაზა

2.2.1.1.1. master მონაცემთა ბაზა შეიცავს:

- ა. სერვერის მთელ არასისტემურ ინფორმაციას, აგრეთვე ინფორმაციას სხვა მონაცემთა ბაზებისა და მათი პირველადი ფაილების ადგილმდებარეობის შესახებ
- ბ. სერვერის მთელ სისტემურ ინფორმაციას, აგრეთვე ინფორმაციას სხვა მონაცემთა ბაზებისა და მათი პირველადი ფაილების ადგილმდებარეობის შესახებ
- გ. სერვერის მთელ სისტემურ ინფორმაციას, აგრეთვე ინფორმაციას სხვა მონაცემთა ბაზებისა და მათი მეორეული ფაილების ადგილმდებარეობის შესახებ

2.2.1.1.2. master მონაცემთა ბაზა შემდეგი ფაილებისაგან შედგება:

- ა. Master.mdf და Mastlog.ldf
- ბ. msdbdata.mdf და msdblog.ldf
- გ. tempdb.mdf და templogldf

2.2.1.1.3. master სისტემურ მონაცემთა ბაზაში მომხმარებლის ობიექტების შექმნა:

- ა. ხანდახან დასაშვებია
- ბ. დასაშვებია
- გ. დაუშვებელია

Tempdb სისტემური მონაცემთა ბაზა

2.2.2.1.1. tempdb მონაცემთა ბაზა:

- ა. არ შეიცავს დროებით ობიექტებს
- ბ. შეიცავს დროებით ობიექტებს
- გ. შეიცავს მუდმივ ობიექტებს

2.2.2.1.2. tempdb მონაცემთა ბაზა ორი ფაილისგან შედგება:

- ა. tempdb.mdf და templog.ldf
- ბ. Master.mdf და Mastlog.ldf
- გ. model.mdf და model.ldf

2.2.2.1.3. სერვერზე ახალი მონაცემთა ბაზის შექმნა ხდება მასში:

- ა. master სისტემური მონაცემთა ბაზის ობიექტების გადაწერის გზით
- ბ. tempdb სისტემური მონაცემთა ბაზის ობიექტების გადაწერის გზით
- გ. model სისტემური მონაცემთა ბაზის ობიექტების გადაწერის გზით

Model სისტემური მონაცემთა ბაზა

2.2.3.1.1. model სისტემური მონაცემთა ბაზა ორი ფაილისგან შედგება:

- ა. model.mdf და model.ldf
- ბ. Master.mdf და Mastlog.ldf
- გ. tempdb.mdf და templog.ldf

MsdB სისტემური მონაცემთა ბაზა

2.2.4.1.1. msdb მონაცემთა ბაზა ინახავს მთელ ინფორმაციას, რომელიც:

- ა. ეხება ადმინისტრირების ავტომატიზებასა და სერვერის მართვას
- ბ. არ ეხება ადმინისტრირების ავტომატიზებასა და სერვერის მართვას
- გ. ეხება ადმინისტრირების ხელით შესრულებას

2.2.4.1.2. msdb სისტემური მონაცემთა ბაზა გამოიყენება:

- ა. SQL Server Agent სამსახურის მიერ მხოლოდ მოვლენების (alerts) დაგეგმვისათვის
- ბ. SQL Server Agent სამსახურის მიერ მოვლენების (alerts), ამოცანებისა (jobs) და ოპერატორების (operators) რეგისტრირების დაგეგმვისათვის
- გ. SQL Server Agent სამსახურის მიერ მხოლოდ ამოცანების (jobs) დაგეგმვისათვის

2.2.4.1.3. msdb ბაზა ორი ფაილისგან შედგება:

- ა. tempdb.mdf და templog.ldf
- ბ. msdbdata.mdf და msdblog.ldf
- გ. Master.mdf და Mastlog.ldf

ფაილები და ფაილების ჯგუფები

2.3.0.1.1. თითოეული მონაცემთა ბაზა მინიმუმ:

- ა. სამი ფაილისაგან შედგება
- ბ. ორი ფაილისაგან შედგება
- გ. ერთი ფაილისაგან შედგება

2.3.0.1.2. თითოეული მონაცემთა ბაზა შემდეგი ფაილებისაგან შედგება:

- ა. მხოლოდ მონაცემთა ბაზის ფაილებისაგან
- ბ. მხოლოდ ტრანზაქციების ჟურნალის ფაილებისაგან
- გ. მონაცემთა ბაზისა და ტრანზაქციების ჟურნალის ფაილებისაგან

2.3.0.1.3. მონაცემთა ბაზის შესაძლებელი შემდეგი ტიპის ფაილები გამოიყენება:

- ა. Secondary და Transaction Log
- ბ. Primary, Secondary და Transaction Log
- გ. Primary და Secondary

2.3.0.1.4. მონაცემთა ბაზაში გამოყენებულ თითოეულ ფაილს აქვს:

- ა. ფაილის ლოგიკური და ფიზიკური სახელები
- ბ. ფაილის ლოგიკური სახელი
- გ. ფაილის ფიზიკური სახელი

2.3.0.1.5. მონაცემთა ბაზის:

- ა. ყველა ფაილის ზომა შეიძლება ავტომატურად გაიზარდოს
- ბ. ზოგიერთი ფაილის ზომა შეიძლება ავტომატურად გაიზარდოს
- გ. ყველა ფაილის ზომა შეიძლება ავტომატურად არ გაიზარდოს

2.3.0.1.6. არსებობს ფაილების შემდეგი ტიპის ჯგუფები:

- ა. ფაილების ძირითადი ჯგუფი და მომხმარებლების მიერ შექმნილი ფაილების ჯგუფი
- ბ. მომხმარებლების მიერ შექმნილი ფაილების ჯგუფი და ფაილების ნაგულისხმევი ჯგუფი
- გ. ფაილების ძირითადი ჯგუფი, მომხმარებლების მიერ შექმნილი ფაილების ჯგუფი და ფაილების ნაგულისხმევი ჯგუფი

2.3.0.1.7. ფაილების ძირითადი ჯგუფი შეიცავს:

- ა. primary ტიპის ფაილსა და ყველა ფაილს, რომლებიც არ არის ჩართული სხვა ჯგუფში
- ბ. მხოლოდ primary ტიპის ფაილს
- გ. primary ტიპის ფაილსა და ყველა ფაილს, რომლებიც ჩართულია სხვა ჯგუფში

2.3.0.1.8. მონაცემთა ბაზას:

- ა. შეიძლება ჰქონდეს ფაილების მხოლოდ ერთი ძირითადი ჯგუფი
- ბ. არ შეიძლება ჰქონდეს ფაილების მხოლოდ ერთი ძირითადი ჯგუფი
- გ. შეიძლება ჰქონდეს ფაილების მხოლოდ ორი ძირითადი ჯგუფი

2.3.0.1.9. მონაცემთა ბაზაში:

- ა. არ შეიძლება შევქმნათ მომხმარებლების მიერ განსაზღვრული ფაილების რამდენიმე ჯგუფი ფაილების ნებისმიერი შედგენილობით
- ბ. შეიძლება შევქმნათ მომხმარებლების მიერ განსაზღვრული ფაილების რამდენიმე ჯგუფი

ფაილების ნებისმიერი შედგენილობით

გ. შეიძლება შევქმნათ მომხმარებლების მიერ განსაზღვრული ფაილების მხოლოდ ერთი ჯგუფი ფაილების ნებისმიერი შედგენილობით

2.3.0.1.10. მონაცემთა ბაზაში ფაილების:

- ა. სამი ჯგუფია ნაგულისხმევი
- ბ. ორი ჯგუფია ნაგულისხმევი
- გ. ერთ-ერთი ჯგუფია ნაგულისხმევი

2.3.0.1.11. თუ მონაცემთა ბაზის შექმნის დროს არ არის მითითებული ფაილების ასეთი ჯგუფი, მაშინ:

- ა. ფაილების ძირითადი ჯგუფი არ ხდება ნაგულისხმევი
4.2.1.1.18. თუ SELECT მოთხოვნაში რამდენიმე ცხრილია მითითებული, რომლებსაც IDENTITYCOL სვეტები აქვს, მაშინ აშკარად:

- ა. უნდა მივუთითოთ იმ ცხრილის სახელი, რომელსაც ეს სტრიქონი ეკუთვნის
- ბ. არ უნდა მივუთითოთ იმ ცხრილის სახელი, რომელსაც ეს სვეტი ეკუთვნის
- გ. უნდა მივუთითოთ იმ ცხრილის სახელი, რომელსაც ეს სვეტი ეკუთვნის

FROM განყოფილება

4.2.1.2.1. SELECT მოთხოვნაში FROM სიტყვის შემდეგ მიეთითება იმ:

- ა. ცხრილების ან წარმოდგენების სახელები, საიდანაც ხდება სვეტების ამორჩევა
- ბ. ინდექსების სახელები, საიდანაც ხდება სვეტების ამორჩევა
- გ. პროცედურების სახელები, საიდანაც ხდება სვეტების ამორჩევა

4.2.1.2.2. FROM განყოფილებაში <ბმული_ცხრილი> კონსტრუქცია გამოიყენება კავშირის უზრუნველსაყოფად:

- ა. რამდენიმე პროცედურას შორის
- ბ. რამდენიმე ფუნქციას შორის
- გ. რამდენიმე ცხრილს შორის

4.2.1.2.3. FROM განყოფილების <ბმული_ცხრილი> კონსტრუქციაში <მარცხენა_ცხრილი> კონსტრუქცია შეიცავს:

- ა. დამოკიდებული ცხრილის სახელს, რომელსაც დაუკავშირდება სხვა ცხრილები
- ბ. მთავარი ცხრილის სახელს, რომელსაც დაუკავშირდება სხვა ცხრილები
- გ. მთავარი ცხრილის სახელს, რომელსაც დაუკავშირდება სხვა ინდექსები

4.2.1.2.4. FROM განყოფილების <ბმული_ცხრილი> კონსტრუქციაში <ბმის_ტიპი> კონსტრუქცია განსაზღვრავს:

- ა. ორ ტრიგერს შორის კავშირის ტიპს
- ბ. ორ პროცედურას შორის კავშირის ტიპს
- გ. ორ ცხრილს შორის კავშირის ტიპს

4.2.1.2.5. FROM განყოფილების <ბმული_ცხრილი> კონსტრუქციაში <ბმის_ტიპი> კონსტრუქციის:

- ა. მარცხნივ მიეთითება მთავარი ცხრილის სახელი
- ბ. მარჯვნივ მიეთითება მთავარი ცხრილის სახელი
- გ. მარცხნივ მიეთითება დამოკიდებული ცხრილის სახელი

4.2.1.2.6. FROM განყოფილების <ბმული_ცხრილი> კონსტრუქციაში <ბმის_ტიპი> კონსტრუქციის:

- ა. მარცხნივ მიეთითება დამოკიდებული ცხრილის სახელი
- ბ. მარჯვნივ მიეთითება დამოკიდებული ცხრილის სახელი
- გ. მარჯვნივ მიეთითება მთავარი ცხრილის სახელი

4.2.1.2.11. FROM განყოფილების <ბმული_ცხრილი> კონსტრუქციაში <ბმის_ტიპი> კონსტრუქციის JOIN არგუმენტის შემდეგ მიეთითება:

- ა. შუა ცხრილი
- ბ. მარცხენა ცხრილი
- გ. მარჯვენა ცხრილი

4.2.1.2.12. FROM განყოფილების <ბმული_ცხრილი> კონსტრუქციაში ON <ბმის_პირობა> არის:

- ა. ორივე ცხრილის დაკავშირების ლოგიკური პირობა
- ბ. ორივე ცხრილის დაკავშირების ფიზიკური პირობა
- გ. სამივე ცხრილის დაკავშირების ლოგიკური პირობა

4.2.1.2.13. FROM განყოფილების <ბმული_ცხრილი> კონსტრუქციაში CROSS JOIN საკვანძო სიტყვის გამოყენებისას სრულდება:

- ა. მარჯვენა ცხრილის თითოეული სტრიქონის დაკავშირება მარცხენა ცხრილის თითოეულ სტრიქონთან
- ბ. მარცხენა ცხრილის თითოეული სტრიქონის დაკავშირება მარჯვენა ცხრილის თითოეულ სტრიქონთან
- გ. მარცხენა ცხრილის თითოეული სტრიქონის დაკავშირება მარცხენა ცხრილის თითოეულ სტრიქონთან

4.2.1.2.14. FROM განყოფილების <ბმული_ცხრილი> კონსტრუქციაში თუ ცხრილებს შორის კავშირი არ არის მითითებული, მაშინ:

- ა. ავტომატურად სრულდება მარცხენა ცხრილის თითოეული სტრიქონის დაკავშირება მარცხენა ცხრილის თითოეულ სტრიქონთან
- ბ. ავტომატურად არ სრულდება მარცხენა ცხრილის თითოეული სტრიქონის დაკავშირება მარჯვენა ცხრილის თითოეულ სტრიქონთან
- გ. ავტომატურად სრულდება მარცხენა ცხრილის თითოეული სტრიქონის დაკავშირება მარჯვენა ცხრილის თითოეულ სტრიქონთან

WHERE განყოფილება

4.2.1.3.1. WHERE განყოფილება გამოიყენება ცხრილის:

- ა. სტრიქონების გაფილტვრისათვის
- ბ. სვეტების გაფილტვრისათვის
- გ. სტრიქონების გაერთიანებისათვის

4.2.1.3.2. WHERE განყოფილებაში <ძებნის_პირობა> არის:

- ა. ფიზიკური გამოსახულება, რომელიც გასცემს true ან false მნიშვნელობას
- ბ. ნებისმიერი ლოგიკური გამოსახულება, რომელიც გასცემს true ან false მნიშვნელობას
- გ. ნებისმიერი ლოგიკური გამოსახულება, რომელიც გასცემს 5-ს ან 100-ს

4.2.1.3.3. თუ მოთხოვნაში WHERE პირობის ნაცვლად გამოვიყენებთ { INNER | { { LEFT | RIGHT | FULL } [OUTER] } JOIN } საკვანძო სიტყვებს, მაშინ ეს მოთხოვნა:

- ა. საშუალო სისწრაფით შესრულდება
- ბ. უფრო ნელა შესრულდება
- გ. უფრო სწრაფად შესრულდება

4.2.1.3.4. თუ მოთხოვნაში { INNER | { { LEFT | RIGHT | FULL } [OUTER] } JOIN } საკვანძო სიტყვების ნაცვლად გამოვიყენებთ WHERE პირობას, მაშინ ეს მოთხოვნა:

- ა. უფრო ნელა შესრულდება
- ბ. საშუალო სისწრაფით შესრულდება
- გ. უფრო სწრაფად შესრულდება

4.2.1.3.5. თუ დასამუშავებელია ათასობით სტრიქონი, მაშინ უმჯობესია:

- ა. WHERE პირობის გამოყენება
- ბ. { INNER | { { LEFT | RIGHT | FULL } [OUTER] } JOIN } საკვანძო სიტყვების გამოყენება
- გ. FROM განყოფილების გამოყენება

4.2.1.3.6. თუ დასამუშავებელია მცირე რაოდენობის სტრიქონი, მაშინ უმჯობესია:

- ა. WHERE პირობის გამოყენება
- ბ. { INNER | { { LEFT | RIGHT | FULL } [OUTER] } JOIN } საკვანძო სიტყვების გამოყენება
- გ. FROM განყოფილების გამოყენება

ჩადგმული მოთხოვნები

4.2.1.4.1. ერთ მოთხოვნას მეორე მოთხოვნის მართვა:

- ა. შეუძლია
- ბ. არ შეუძლია
- გ. ხანდახან შეუძლია

4.2.1.4.2. ერთ მოთხოვნას შეუძლია მეორე მოთხოვნის მართვა:

- ა. ჩადგმული მოთხოვნების გამოყენების გარეშე
- ბ. ჩადგმული მოთხოვნების გამოყენებით
- გ. არაჩადგმული მოთხოვნების გამოყენებით

4.2.1.4.3. ჩადგმული მოთხოვნა გვაქვს მაშინ, როცა ერთი მოთხოვნის შიგნით:

- ა. ოთხი მოთხოვნაა მოთავსებული
- ბ. სამი მოთხოვნაა მოთავსებული
- გ. მეორეა მოთავსებული

4.2.1.4.4. შიგა მოთხოვნის მიერ გაცემული შედეგები:

- ა. არ მოწმდება გარე (ძირითადი) მოთხოვნის პირობაში
- ბ. მოწმდება გარე (ძირითადი) მოთხოვნის პირობაში
- გ. მოწმდება შიგა (ძირითადი) მოთხოვნის პირობაში

4.2.1.4.5. ჩადგმული მოთხოვნის შიგა მოთხოვნაში აკრძალულია:

- ა. SELECT * ტიპის ბრძანების გამოყენება
- ბ. UPDATE * ტიპის ბრძანების გამოყენება
- გ. DELETE * ტიპის ბრძანების გამოყენება

4.2.1.4.6. შიგა მოთხოვნებში:

- ა. დასაშვებია მხოლოდ HAVING საკვანძო სიტყვის გამოყენება

- ბ. დაუშვებელია GROUP BY და HAVING საკვანძო სიტყვების გამოყენება
- გ. დასაშვებია GROUP BY და HAVING საკვანძო სიტყვების გამოყენება

4.2.1.4.7. ჩადგმულ მოთხოვნაში, იმისათვის, რომ გარე მოთხოვნა შესრულდეს საჭიროა, რომ შიგა მოთხოვნამ:

- ა. გასცეს ერთი ან მეტი ჩანაწერი
- ბ. არ გასცეს ერთი ან მეტი ჩანაწერი
- გ. არ გასცეს არც ერთი ჩანაწერი

ბმული მოთხოვნები

4.2.1.5.1. ბმული მოთხოვნების გამოყენების დროს:

- ა. შიგა მოთხოვნა სრულდება გარე მოთხოვნაში მითითებული ცხრილის თითოეული სტრიქონისათვის
- ბ. გარე მოთხოვნა სრულდება შიგა მოთხოვნაში მითითებული ცხრილის თითოეული სტრიქონისათვის
- გ. შიგა მოთხოვნა სრულდება შიგა მოთხოვნაში მითითებული ცხრილის თითოეული სტრიქონისათვის

4.2.1.5.2. ბმული მოთხოვნების გამოყენების დროს:

- ა. ჯერ ამოირჩევა შიგა მოთხოვნის სტრიქონი, შემდეგ კი მისთვის შესრულდება გარე მოთხოვნა
- ბ. ჯერ ამოირჩევა გარე მოთხოვნის სტრიქონი, შემდეგ კი მისთვის შესრულდება შიგა მოთხოვნა
- გ. ჯერ ამოირჩევა შიგა მოთხოვნის სტრიქონი, შემდეგ კი მისთვის შესრულდება შიგა მოთხოვნა

GROUP BY განყოფილება

4.2.1.6.1. GROUP BY საკვანძო სიტყვა საშუალებას:

- ა. გვამღევს ცხრილის სტრიქონები გარკვეული კრიტერიუმის მიხედვით დავაჯგუფოთ
- ბ. არ გვამღევს ცხრილის სტრიქონები გარკვეული კრიტერიუმის მიხედვით დავაჯგუფოთ
- გ. გვამღევს ცხრილის სტრიქონები გარკვეული კრიტერიუმის მიხედვით არ დავაჯგუფოთ

4.2.1.6.2. თითოეული ჯგუფისათვის:

- ა. შეიძლება აგრეგირების ფუნქციების გამოყენება, რომლებიც არ შესრულდება ჯგუფის ყველა სტრიქონის მიმართ
- ბ. არ შეიძლება აგრეგირების ფუნქციების გამოყენება, რომლებიც შესრულდება ჯგუფის ყველა სტრიქონის მიმართ
- გ. შეიძლება აგრეგირების ფუნქციების გამოყენება, რომლებიც შესრულდება ჯგუფის ყველა სტრიქონის მიმართ

4.2.1.6.3. GROUP BY განყოფილების 'სვეტების_სია' არგუმენტში:

- ა. არ მიეთითება იმ სვეტების სახელები, რომელთა მიხედვით უნდა შესრულდეს დაჯგუფება
- ბ. მიეთითება იმ სვეტების სახელები, რომელთა მიხედვით უნდა შესრულდეს დაჯგუფება

გ. მითითება იმ სვეტების სახელები, რომელთა მიხედვით არ უნდა შესრულდეს დაჯგუფება

4.2.1.6.4. თუ მოთხოვნაში განსაზღვრულია პირობა, რომელიც ზღუდავს ამოსარჩევი სტრიქონების დაჯგუფების დიაპაზონს, მაშინ GROUP BY განყოფილებაში ALL სიტყვის გამოყენება:

- ა. გამოიწვევს ყველა ჯგუფის გამოტანას
- ბ. არ გამოიწვევს ყველა ჯგუფის გამოტანას
- გ. გამოიწვევს ყველა ჯგუფის შეტანას

4.2.1.6.5. აგრეგირების ფუნქცია:

- ა. შესრულდება იმ ჯგუფებისათვის, რომლებიც არ აკმაყოფილებენ მოთხოვნაში მითითებულ პირობას
- ბ. არ შესრულდება იმ ჯგუფებისათვის, რომლებიც არ აკმაყოფილებენ მოთხოვნაში მითითებულ პირობას
- გ. არ შესრულდება იმ ჯგუფებისათვის, რომლებიც აკმაყოფილებენ მოთხოვნაში მითითებულ პირობას

HAVING განყოფილება

4.2.1.7.1. HAVING განყოფილება გამოიყენება ძეზნის პირობის მისათითებლად:

- ა. ინდექსისთვის
- ბ. ტრიგერისთვის
- გ. ჯგუფისთვის

4.2.1.7.2. თუ HAVING განყოფილება გამოიყენება GROUP BY განყოფილების გარეშე, მაშინ ის:

- ა. იმუშავებს WHERE განყოფილების მსგავსად
- ბ. არ იმუშავებს WHERE განყოფილების მსგავსად
- გ. იმუშავებს FROM განყოფილების მსგავსად

4.2.1.7.3. თუ HAVING განყოფილება გამოიყენება GROUP BY ALL კონსტრუქციასთან ერთად, მაშინ HAVING:

- ა. არ ფარავს ALL სიტყვის მოქმედებას
- ბ. ფარავს ALL სიტყვის მოქმედებას
- გ. ფარავს FROM სიტყვის მოქმედებას

UNION განყოფილება

4.2.1.8.1. UNION ბრძანება:

- ა. არ აერთიანებს რამდენიმე მოთხოვნის შესრულების შედეგს
- ბ. აერთიანებს რამდენიმე მოთხოვნის შესრულების შედეგს
- გ. აერთიანებს ერთი მოთხოვნის შესრულების შედეგს

4.2.1.8.2. UNION ბრძანების გამოყენების დროს:

- ა. ყველა მოთხოვნაში სვეტების რაოდენობა და მიმდევრობა ერთნაირი უნდა იყოს
- ბ. ყველა მოთხოვნაში სვეტების რაოდენობა და მიმდევრობა ერთნაირი არ უნდა იყოს

გ. ყველა მოთხოვნაში სტრიქონების რაოდენობა და მიმდევრობა ერთნაირი უნდა იყოს

4.2.1.8.3. UNION ბრძანების გამოყენების დროს:

- ა. სტრიქონების ტიპები უნდა ემთხვეოდეს
- ბ. სვეტების ტიპები არ უნდა ემთხვეოდეს
- გ. სვეტების ტიპები უნდა ემთხვეოდეს

4.2.1.8.4. UNION ბრძანება ავტომატურად:

- ა. არ გამორიცხავს ერთნაირ სტრიქონებს
- ბ. გამორიცხავს ერთნაირ სტრიქონებს
- გ. გამორიცხავს ერთნაირ სვეტებს

4.2.1.8.5. UNION ბრძანების გამოყენების დროს თუ გვინდა ყველა, მათ შორის ერთნაირი, სტრიქონის მიღება, მაშინ:

- ა. ALL არგუმენტი უნდა გამოვიყენოთ
- ბ. ALL არგუმენტი არ უნდა გამოვიყენოთ
- გ. ORDER BY არგუმენტი უნდა გამოვიყენოთ

ORDER BY განყოფილება

4.2.1.9.1. ORDER BY განყოფილება გამოიყენება ცხრილის დასახარისხებლად ამა თუ იმ სვეტის მნიშვნელობების:

- ა. მხოლოდ ზრდის მიხედვით
- ბ. ზრდის ან კლების მიხედვით
- გ. მხოლოდ კლების მიხედვით

4.2.1.9.2. ცხრილი შეგვიძლია დავახარისხოთ:

- ა. ერთი ან მეტი სვეტის მიხედვით
- ბ. მხოლოდ ერთი სვეტის მიხედვით
- გ. არც ერთი სვეტის მიხედვით

4.2.1.9.3. ASC საკვანძო სიტყვა გამოიყენება მითითებული სვეტის მონაცემების დასალაგებლად:

- ა. არც ზრდადობის და არც კლებადობის მიხედვით
- ბ. კლებადობის მიხედვით
- გ. ზრდადობის მიხედვით

4.2.1.9.4. DESC საკვანძო სიტყვა გამოიყენება მითითებული სვეტის მონაცემების დასალაგებლად:

- ა. ზრდადობის მიხედვით
- ბ. არც ზრდადობის და არც კლებადობის მიხედვით
- გ. კლებადობის მიხედვით

4.2.1.9.5. ORDER BY განყოფილებაში თუ მითითებული არ არის ASC და DESC სიტყვები, მაშინ:

- ა. დახარისხება ზრდადობის მიხედვით შესრულდება

- ბ. დახარისხება კლებადობის მიხედვით შესრულდება
- გ. დახარისხება არ შესრულდება არც ზრდადობის და არც კლებადობის მიხედვით

COMPUTE განყოფილება

4.2.1.10.1. COMPUTE განყოფილება საშუალებას გვაძლევს არჩეული:

- ა. სვეტების მიმართ გამოვიყენოთ აგრეგირების ფუნქციები
- ბ. სვეტების მიმართ არ გამოვიყენოთ აგრეგირების ფუნქციები
- გ. სტრიქონების მიმართ გამოვიყენოთ აგრეგირების ფუნქციები

4.2.1.10.2. COMPUTE განყოფილების გამოყენების შემთხვევაში, აგრეგირების შედეგი:

- ა. არ გაიცემა ცალკე სტრიქონის სახით, მონაცემების შემდეგ
- ბ. გაიცემა ცალკე სტრიქონის სახით, მონაცემების შემდეგ
- გ. გაიცემა ცალკე სვეტის სახით, მონაცემების შემდეგ

4.2.1.10.3. COMPUTE განყოფილებაში BY 'გამოსახულება' არგუმენტი:

- ა. უნდა შეიცავდეს სააგრეგირებელი სვეტის სახელს, რომელიც ჩართული არ იქნება შედეგში
- ბ. არ უნდა შეიცავდეს სააგრეგირებელი სვეტის სახელს, რომელიც ჩართული იქნება შედეგში
- გ. უნდა შეიცავდეს სააგრეგირებელი სვეტის სახელს, რომელიც ჩართული იქნება შედეგში

4.2.1.10.4. COMPUTE განყოფილებაში BY სიტყვა მიუთითებს, რომ გამოთვლის შედეგი:

- ა. უნდა დაჯგუფდეს
- ბ. არ უნდა დაჯგუფდეს
- გ. უნდა დაჯგუფდეს როგორც სვეტების, ისე სტრიქონების მიხედვით

4.2.1.10.5. COMPUTE განყოფილების გამოყენებისას შედეგი წინასწარ უნდა იყოს დახარისხებული იმ სვეტის მიხედვით, რომლის მიხედვითაც:

- ა. უნდა მოხდეს მონაცემთა ბაზის არჩევა
- ბ. არ უნდა შესრულდეს დაჯგუფება
- გ. უნდა შესრულდეს დაჯგუფება

4.2.1.10.6. COMPUTE განყოფილებაში:

- ა. დაუშვებელია DISTINCT საკვანძო სიტყვის გამოყენება
- ბ. დასაშვებია DISTINCT საკვანძო სიტყვის გამოყენება
- გ. დასაშვებია CREATE TABLE ბრძანების გამოყენება

აგრეგირების ფუნქციები

4.2.1.11.1. აგრეგირების ფუნქციები მონაცემების:

- ა. სტატისტიკურ დამუშავებას ასრულებს
- ბ. ფიზიკურ დამუშავებას ასრულებს
- გ. სტატისტიკურ დამუშავებას არ ასრულებს

4.2.1.11.2. AVG ფუნქცია მითითებული სვეტისთვის გამოთვლის:

- ა. მნიშვნელობების ჯამს

- ბ. მინიმალურ მნიშვნელობას
- გ. საშუალო არითმეტიკულს

4.2.1.11.3. თუ მონაცემები დაჯგუფებულია, მაშინ AVG ფუნქცია:

- ა. თითოეული ჯგუფისთვის გამოითვლის მაქსიმუმს
- ბ. თითოეული ჯგუფისთვის არ გამოითვლის საშუალო არითმეტიკულს
- გ. თითოეული ჯგუფისთვის გამოითვლის საშუალო არითმეტიკულს

4.2.1.11.4. აგრეგირების ფუნქციების უმრავლესობა:

- ა. ითვალისწინებს NULL მნიშვნელობის შემცველ სვეტებს
- ბ. თითოეული ჯგუფისთვის გამოითვლის მაქსიმუმს
- გ. არ ითვალისწინებს NULL მნიშვნელობის შემცველ სვეტებს

4.2.1.11.5. AVG ფუნქციაში ALL არგუმენტი მიუთითებს, რომ აგრეგირება:

- ა. არ ითვალისწინებს NULL მნიშვნელობის შემცველ სვეტებს
- ბ. არ უნდა შეეხოს გამეორებად (ერთნაირ) სტრიქონებს
- გ. უნდა შეეხოს გამეორებად (ერთნაირ) სტრიქონებს

4.2.1.11.6. AVG ფუნქციაში ALL არგუმენტი:

- ა. ავტომატურად იგულისხმება
- ბ. ავტომატურად არ იგულისხმება
- გ. ხანდახან იგულისხმება

4.2.1.11.7. AVG ფუნქციაში DISTINCT საკვანძო სიტყვა მიუთითებს, რომ აგრეგირება შეეხება:

- ა. მხოლოდ ერთნაირ სტრიქონებს
- ბ. მხოლოდ უნიკალურ სტრიქონებს
- გ. მხოლოდ არაუნიკალურ სტრიქონებს

4.2.1.11.8. COUNT ფუნქცია:

- ა. თვლის მნიშვნელობების რაოდენობას მოცემულ სვეტში ან სტრიქონების საერთო რაოდენობას ცხრილში
- ბ. გამოთვლის სვეტის მნიშვნელობების საშუალო არითმეტიკულს
- გ. გამოთვლის სვეტის მნიშვნელობების ჯამს

4.2.1.11.9. COUNT ფუნქციაში * მიუთითებს, რომ გაიცემა ცხრილში მოთავსებული სტრიქონების:

- ა. საშუალო მნიშვნელობა
- ბ. ჯამი
- გ. რაოდენობა

4.2.1.11.10. SUM ფუნქცია გამოთვლის მითითებული სვეტის მნიშვნელობების:

- ა. საშუალო მნიშვნელობას
- ბ. ჯამს
- გ. რაოდენობას

4.2.1.11.11. MAX ფუნქცია გასცემს მითითებული სვეტის მნიშვნელობებიდან:

- ა. საშუალო მნიშვნელობას
- ბ. მაქსიმალურს
- გ. მინიმალურს

4.2.1.11.12. MIN ფუნქცია გასცემს მითითებული სვეტის მნიშვნელობებიდან:

- ა. მინიმალურს
- ბ. ჯამს
- გ. მაქსიმალურს

ცხრილის მონაცემების ცვლილება

UPDATE ბრძანება

4.3.1.1.1. ცხრილებში მონაცემების შესაცვლელად გამოიყენება:

- ა. UPDATE ბრძანება
- ბ. DELETE ბრძანება
- გ. INSERT ბრძანება

4.3.1.1.2. UPDATE ბრძანებაში 'ცხრილის_სახელი' არგუმენტი იმ ცხრილის სახელია, რომელშიც:

- ა. არ უნდა შესრულდეს მონაცემების ცვლილება
- ბ. უნდა შესრულდეს მონაცემების ცვლილება
- გ. უნდა შესრულდეს ინდექსების ცვლილება

4.3.1.1.3. UPDATE ბრძანებაში 'წარმოდგენის_სახელი' იმ წარმოდგენის სახელია, რომელშიც:

- ა. არ უნდა შესრულდეს მონაცემების ცვლილება
- ბ. უნდა შესრულდეს მონაცემების ცვლილება
- გ. უნდა შესრულდეს ტრიგერის ცვლილება

4.3.1.1.4. UPDATE ბრძანება მონაცემებს წარმოდგენის:

- ა. მხოლოდ ერთ ცხრილში ცვლის
- ბ. მხოლოდ ორ ცხრილში ცვლის
- გ. მხოლოდ სამ ცხრილში ცვლის

4.3.1.1.5. თუ წარმოდგენა ორი ცხრილისაგან შედგება, მაშინ UPDATE ბრძანება:

- ა. ერთხელ უნდა შევასრულოთ, თითოეულ ცხრილში მონაცემების შესაცვლელად
- ბ. სამჯერ უნდა შევასრულოთ, თითოეულ ცხრილში მონაცემების შესაცვლელად
- გ. ორჯერ უნდა შევასრულოთ, თითოეულ ცხრილში მონაცემების შესაცვლელად

4.3.1.1.6. UPDATE ბრძანების SET საკვანძო სიტყვა იწყებს ბლოკს, რომელშიც მითითებულია შესაცვლელი:

- ა. ტრიგერების სია
- ბ. სვეტების ან ცვლადების სია
- გ. ინდექსების სია

4.3.1.1.7. UPDATE ბრძანების 'სვეტის_სახელი = { გამოსახულება | DEFAULT | NULL }' არგუმენტში DEFAULT საკვანძო სიტყვა მიუთითებს, რომ სვეტს:

- ა. უნდა მიენიჭოს NULL მნიშვნელობა
- ბ. არ უნდა მიენიჭოს ავტომატურად განსაზღვრული მნიშვნელობა
- გ. უნდა მიენიჭოს ავტომატურად განსაზღვრული მნიშვნელობა

4.3.1.1.8. UPDATE ბრძანების 'სვეტის_სახელი = { გამოსახულება | DEFAULT | NULL }' არგუმენტში NULL საკვანძო სიტყვა მიუთითებს, რომ სვეტს:

- ა. უნდა მიენიჭოს NULL მნიშვნელობა
- ბ. არ უნდა მიენიჭოს NULL მნიშვნელობა
- გ. უნდა მიენიჭოს DEFAULT მნიშვნელობა

4.3.1.1.9. UPDATE ბრძანების 'სვეტის_სახელი = { გამოსახულება | DEFAULT | NULL }' არგუმენტში 'გამოსახულება' შეიძლება:

- ა. იყოს მუდმივა, ცვლადი ან გამოსახულება
- ბ. არ იყოს მუდმივა, ცვლადი ან გამოსახულება
- გ. იყოს შენახული პროცედურა

4.3.1.1.10. თუ UPDATE ბრძანების 'გამოსახულება' არგუმენტში გამოიყენება ის სვეტები, რომლებსაც ცვლილება შეეხო, მაშინ გამოყენებული:

- ა. არ იქნება მათი ძველი მნიშვნელობები
- ბ. იქნება მათი ძველი მნიშვნელობები
- გ. იქნება მათი ახალი მნიშვნელობები

4.3.1.1.11. ფილტრის მითითების შემთხვევაში UPDATE ბრძანებით განხორციელებული ცვლილებები შეეხება:

- ა. მთელ ცხრილს
- ბ. მხოლოდ ერთ სტრიქონს
- გ. მხოლოდ ფილტრში ამორჩეულ სტრიქონებს

4.3.1.1.12. თუ UPDATE ბრძანებაში ფილტრი არ არის მითითებული, მაშინ:

- ა. ცვლილება შეეხება ცხრილის ერთ სტრიქონის მითითებულ სვეტებს
- ბ. ცვლილება არ შეეხება ცხრილის ყველა სტრიქონის მითითებულ სვეტებს
- გ. ცვლილება შეეხება ცხრილის ყველა სტრიქონის მითითებულ სვეტებს

ცხრილიდან მონაცემების წაშლა

DELETE ბრძანება

4.4.1.1.1. ცხრილიდან სტრიქონების წასაშლელად გამოიყენება:

- ა. DELETE ბრძანება
- ბ. UPDATE ბრძანება
- გ. INSERT ბრძანება

4.4.1.1.2. თუ DELETE ბრძანებაში WHERE განყოფილება არ არის მითითებული, მაშინ ცხრილიდან:

- ა. ერთი სტრიქონი წაიშლება

- ბ. ყველა სტრიქონი წაიშლება
- გ. არც ერთი სტრიქონი არ წაიშლება

მონაცემების მასობრივი გადაწერა

4.5.1.1.1. მონაცემების იმპორტისა და ექსპორტისათვის გამოიყენება:

- ა. BCP უტილიტი
- ბ. DELETE ბრძანება
- გ. UPDATE ბრძანება

4.5.1.1.2. BCP უტილიტი ასრულებს მონაცემების გაცვლას სერვერსა და ტექსტურ ფაილებს შორის:

- ა. შეცვლას სერვერსა და ტექსტურ ფაილებს შორის
- ბ. გაცვლას სერვერსა და ტექსტურ ფაილებს შორის
- გ. წაშლას სერვერსა და ტექსტურ ფაილებს შორის

4.5.1.1.3. BCP უტილიტი ცხრილის სტრიქონებს წერს:

- ა. Excel-ის ფაილში და პირიქით
- ბ. ტექსტურ ფაილში და პირიქით
- გ. Access-ის ფაილში და პირიქით

4.5.1.1.4. BCP უტილიტის მუშაობის შედეგები:

- ა. ხანდახან აისახება ტრანზაქციების ჟურნალში
- ბ. აისახება ტრანზაქციების ჟურნალში
- გ. არ აისახება ტრანზაქციების ჟურნალში

4.5.1.1.5. თუ BCP უტილიტის მიერ გადაწერის ოპერაცია წარუმატებლად დამთავრდა, მაშინ:

- ა. საწყისი მონაცემების აღდგენას ვერ შევძლებთ
- ბ. საწყისი მონაცემების აღდგენას შევძლებთ
- გ. საბოლოო მონაცემების აღდგენას შევძლებთ

თავი 5. Transact SQL-ის საფუძვლები

შესავალი

5.1.1.1.1. იდენტიფიკატორები გამოიყენება:

- ა. კონკრეტულ ობიექტთან მიმართვისათვის, როგორცაა ცვლადი, ცხრილი, წარმოდგენა, სვეტი, ინდექსი, ტრიგერი და ა.შ.
- ბ. არაკონკრეტულ ობიექტთან მიმართვისათვის
- გ. მხოლოდ ცვლადებთან მიმართვისათვის

5.1.1.1.2. იდენტიფიკატორი:

- ა. ხანდახან არის ობიექტის სახელი
- ბ. არის ობიექტის სახელი
- გ. არ არის ობიექტის სახელი

5.1.1.1.3. კომენტარი:

- ა. არ არის ტექსტი, რომელიც მოთავსებულია ბრძანების კოდში და შეიცავს მის განმარტებას
- ბ. არის ტექსტი, რომელიც მოთავსებული არ არის ბრძანების კოდში და შეიცავს მის განმარტებას
- გ. არის ტექსტი, რომელიც მოთავსებულია ბრძანების კოდში და შეიცავს მის განმარტებას

5.1.1.1.4. Transact-SQL-ის მიერ კომენტარის დამუშავება:

- ა. ხდება
- ბ. არ ხდება
- გ. ხანდახან ხდება

5.1.1.1.5. არის:

- ა. ორი ტიპის კომენტარი - სტრიქონული და ბლოკური
- ბ. ერთი ტიპის კომენტარი - სტრიქონული
- გ. ერთი ტიპის კომენტარი - ბლოკური

5.1.1.1.6. სტრიქონული კომენტარი:

- ა. „/*” სიმბოლოებით იწყება და ერთ სტრიქონს იკავებს
- ბ. „--“ სიმბოლოებით იწყება და რამდენიმე სტრიქონს იკავებს
- გ. „--“ სიმბოლოებით იწყება და ერთ სტრიქონს იკავებს

5.1.1.1.7. ბლოკური კომენტარები:

- ა. „/*” სიმბოლოებით არ იწყება და „*/” სიმბოლოებით არ მთავრდება და რამდენიმე სტრიქონს იკავებს
- ბ. „/*” სიმბოლოებით იწყება და „*/” სიმბოლოებით მთავრდება და რამდენიმე სტრიქონს იკავებს
- გ. „/*” სიმბოლოებით იწყება და „*/” სიმბოლოებით მთავრდება და მხოლოდ ერთ სტრიქონს იკავებს

5.1.1.1.8. დარეზერვებული საკვანძო სიტყვები გამოიყენება სერვერის მუშაობის მართვისთვის და:

- ა. არის დამოკიდებული რეგისტრზე და არ შეიძლება წარმოადგენდეს იდენტიფიკატორს

- ბ. არის დამოკიდებული რეგისტრზე და შეიძლება წარმოადგენდეს იდენტიფიკატორს
- გ. არ არის დამოკიდებული რეგისტრზე და არ შეიძლება წარმოადგენდეს იდენტიფიკატორს

გამოსახულებები

5.2.1.1.1. გამოსახულება წარმოადგენს:

- ა. იდენტიფიკატორების, ფუნქციების, არითმეტიკისა და ლოგიკის ოპერაციების ნიშნების, მუდმივებისა და სხვა ობიექტების გადაკვეთას
- ბ. იდენტიფიკატორების, ფუნქციების, არითმეტიკისა და ლოგიკის ოპერაციების ნიშნების, მუდმივებისა და სხვა ობიექტების ჯამს
- გ. იდენტიფიკატორების, ფუნქციების, არითმეტიკისა და ლოგიკის ოპერაციების ნიშნების, მუდმივებისა და სხვა ობიექტების კომბინაციას

5.2.1.1.2. გამოსახულება:

- ა. შედგება მხოლოდ ოპერანდებისაგან
- ბ. შედგება ოპერანდებისა (მონაცემებისა) და ოპერატორებისაგან (ოპერაციის ნიშნებისაგან)
- გ. არ შედგება ოპერანდებისა (მონაცემებისა) და ოპერატორებისაგან (ოპერაციის ნიშნებისაგან)

5.2.1.1.3. ეს მუდმივი სიდიდეებია, რომელთა მნიშვნელობები:

- ა. არ იცვლება
- ბ. იცვლება
- გ. ხანდახან იცვლება

5.2.1.1.4. მუდმივა შეიძლება:

- ა. იყოს მხოლოდ სტრიქონი
- ბ. იყოს მთელი რიცხვი, წილადი, სტრიქონი და ა.შ
- გ. არ იყოს მთელი რიცხვი, წილადი, სტრიქონი და ა.შ

5.2.1.1.5. ცვლადი არის:

- ა. გარკვეული ზომის მქონე მეხსიერების სახელდებული უბანი, რომელშიც მონაცემები ინახება
- ბ. გარკვეული ზომის არმქონე მეხსიერების სახელდებული უბანი, რომელშიც მონაცემები ინახება
- გ. გარკვეული ზომის მქონე მეხსიერების სახელდებული უბანი, რომელშიც მონაცემები არ ინახება

5.2.1.1.6. სვეტის სახელი შეიძლება გამოვიყენოთ, როგორც:

- ა. ტრიგერი გამოსახულებაში
- ბ. ოპერანდი გამოსახულებაში
- გ. პროცედურა გამოსახულებაში

5.2.1.1.7. ცხრილის ერთი სტრიქონიდან მეორეზე გადასვლის დროს სვეტის სახელს:

- ა. შესაბამისი მნიშვნელობა არ ენიჭება

- ბ. მუდმივას მნიშვნელობა ენიჭება
- გ. შესაბამისი მნიშვნელობა ენიჭება

5.2.1.1.8. ფუნქცია არის სახელდებული, მცირე ზომის პროგრამა, რომელიც:

- ა. ახდენს მონაცემების დამუშავებას და შედეგის დაბრუნებას
- ბ. არ ახდენს მონაცემების დამუშავებას და შედეგის დაბრუნებას
- გ. ახდენს მონაცემების დამუშავებას და შედეგს არ აბრუნებს

5.2.1.1.9. ფუნქციას შეიძლება:

- ა. ჰქონდეს მხოლოდ ერთი პარამეტრი
- ბ. ჰქონდეს მხოლოდ ორი პარამეტრი
- გ. ჰქონდეს ან არ ჰქონდეს პარამეტრები

ოპერატორები

5.3.1.1.1. უმარტივესი ოპერატორებია:

- ა. უნარული ოპერატორები
- ბ. ბინარული ოპერატორები
- გ. ტერნარული ოპერატორები

5.3.1.1.2. უნარული ოპერატორები, რომლებიც მხოლოდ:

- ა. ერთ ოპერანდთან მუშაობს
- ბ. ორ ოპერანდთან მუშაობს
- გ. სამ ოპერანდთან მუშაობს

5.3.1.1.3. უმარტივესი ოპერატორები გამოიყენება:

- ა. მხოლოდ მთელი რიცხვების მიმართ
- ბ. როგორც მთელი, ისე წილადი რიცხვების მიმართ
- გ. მხოლოდ წილადი რიცხვების მიმართ

5.3.1.1.4. უმარტივესი ოპერატორებია:

- ა. „+“, „-“ და SET
- ბ. „~“, „+“ და DECLARE
- გ. „+“, „-“ და „~“

5.3.1.1.5. „+“ ოპერატორი გამოიყენება:

- ა. არადადებითი რიცხვის აღნიშვნისათვის
- ბ. უარყოფითი რიცხვის აღნიშვნისათვის
- გ. დადებითი რიცხვის აღნიშვნისათვის

5.3.1.1.6. „-“ ოპერატორი გამოიყენება:

- ა. უარყოფითი რიცხვის აღნიშვნისათვის
- ბ. დადებითი რიცხვის აღნიშვნისათვის
- გ. არაუარყოფითი რიცხვის აღნიშვნისათვის

5.3.1.1.7. „~“ ოპერატორი გამოიყენება:

- ა. რიცხვის დამატების მისაღებად

- ბ. უარყოფითი რიცხვის მისაღებად
- გ. დადებითი რიცხვის მისაღებად

5.3.1.1.8. მინიჭების ოპერატორი:

- ა. „=>“ სიმბოლოთი აღინიშნება და გამოიყენება ცვლადისათვის გარკვეული მნიშვნელობის მისანიჭებლად
- ბ. „=“ სიმბოლოთი აღინიშნება და გამოიყენება ცვლადისათვის გარკვეული მნიშვნელობის მისანიჭებლად
- გ. „<=“ სიმბოლოთი აღინიშნება და გამოიყენება ცვლადისათვის გარკვეული მნიშვნელობის მისანიჭებლად

5.3.1.1.9. შედარების ოპერატორი:

- ა. „<=“ სიმბოლოთი აღინიშნება და გამოიყენება ცვლადისათვის გარკვეული მნიშვნელობის მისანიჭებლად
- ბ. „=>“ სიმბოლოთი აღინიშნება და გამოიყენება ცვლადისათვის გარკვეული მნიშვნელობის მისანიჭებლად
- გ. „=“ სიმბოლოთი აღინიშნება და გამოიყენება ორი მნიშვნელობის შესადარებლად

5.3.1.1.10. ცვლადების გამოცხადების ოპერატორია:

- ა. "="
- ბ. SET
- გ. DECLARE

5.3.1.1.11. არითმეტიკის ოპერატორებია:

- ა. +, -, *, /, %
- ბ. +, -, <, >=
- გ. >, <=, *, /

5.3.1.1.12. ბინარული ოპერატორებია:

- ა. ~, +, %
- ბ. +, -, *, /, %
- გ. -, *, /, ~

5.3.1.1.13. კონკატენაციის ოპერატორია:

- ა. ~
- ბ. %
- გ. +

5.3.1.1.14. შედარების ოპერატორებია:

- ა. <, !=, !<, =
- ბ. >=, !>, +
- გ. -, <=, *

5.3.1.1.15. თუ პირობა სრულდება, მაშინ შედარების ოპერატორის მუშაობის შედეგია:

- ა. NULL
- ბ. false
- გ. true

5.3.1.1.16. თუ პირობა არ სრულდება, მაშინ შედარების ოპერატორის მუშაობის შედეგია:

- ა. NULL
- ბ. false
- გ. true

5.3.1.1.17. თუ შედარება შეუძლებელია, მაგალითად, ტიპებია განსხვავებული, მაშინ:

- ა. გაიცემა NULL
- ბ. გაიცემა true
- გ. გაიცემა false

5.3.1.1.18. შედარების შედეგების დასამუშავებლად გამოიყენება:

- ა. NULL ოპერატორი
- ბ. SET ოპერატორი
- გ. IF ოპერატორი

5.3.1.1.19. ლოგიკის ოპერატორებია:

- ა. ALL, AND, ANY, BETWEEN, EXISTS, IN, LIKE, NOT, OR და SOME
- ბ. ALL, AND, ANY, DECLARE
- გ. BETWEEN, EXISTS, IN, SET

5.3.1.1.20. ბიტობრივი ოპერატორებია:

- ა. ბიტობრივი AND, ბიტობრივი OR და BETWEEN
- ბ. ბიტობრივი AND, ბიტობრივი OR და ბიტობრივი XOR
- გ. ბიტობრივი AND, ბიტობრივი OR და DECLARE

იდენტიფიკატორები

5.4.1.1.1. სტანდარტული იდენტიფიკატორების განსაზღვრისას:

- ა. დაცულია იდენტიფიკატორების შექმნის წესები
- ბ. არ არის დაცული იდენტიფიკატორების შექმნის წესები
- გ. დაცულია იდენტიფიკატორების წაშლის წესები

5.4.1.1.2. შეზღუდული იდენტიფიკატორების განსაზღვრისას:

- ა. არის დაცული იდენტიფიკატორების შექმნის წესები
- ბ. არ არის დაცული იდენტიფიკატორების შექმნის წესები
- გ. დაცულია იდენტიფიკატორების წაშლის წესები

5.4.1.1.3. შეზღუდული იდენტიფიკატორები უნდა მოვითავსოთ:

- ა. კუთხურ ფრჩხილებში (< >) ან ბრჭყალებში (“ ”)
- ბ. კვადრატულ ფრჩხილებში ([]) ან აპოსტროფებში (' ')
- გ. კვადრატულ ფრჩხილებში ([]) ან ბრჭყალებში (“ ”)

5.4.1.1.4. შეზღუდული იდენტიფიკატორებია:

- ა. [MY TABLE] და [ORDER]
- ბ. [MY TABLE] და [Personali]
- გ. [MYTABLE] და [ORDER]

5.4.1.1.5. იდენტიფიკატორის პირველი სიმბოლო შეიძლება იყოს:

- ა. ხაზგასმის სიმბოლო, @, \$ ან # სიმბოლო
- ბ. ათობითი ციფრები, @, \$, _, # სიმბოლოები
- გ. ნებისმიერი ლათინური სიმბოლო a-დან z-მდე, ეროვნული ანბანის სიმბოლო, ხაზგასმის სიმბოლო, @ ან # სიმბოლო

5.4.1.1.6. იდენტიფიკატორი, რომელიც # სიმბოლოთი იწყება, აღნიშნავს:

- ა. გლობალურ დროებით ობიექტს
- ბ. ლოკალურ დროებით ობიექტს
- გ. ცვლადს

5.4.1.1.7. იდენტიფიკატორი, რომელიც ## სიმბოლოებით იწყება, აღნიშნავს:

- ა. ლოკალურ დროებით ობიექტს
- ბ. გლობალურ დროებით ობიექტს
- გ. ცვლადს

5.4.1.1.8. იდენტიფიკატორი, რომელიც @ სიმბოლოთი იწყება, აღნიშნავს:

- ა. ლოკალურ დროებით ობიექტს
- ბ. გლობალურ დროებით ობიექტს
- გ. ცვლადს

5.4.1.1.9. იდენტიფიკატორის მომდევნო სიმბოლოები შეიძლება იყოს:

- ა. Unicode Standard 2.0 სტანდარტით განსაზღვრული სიმბოლოები, ათობითი ციფრები, @, \$, _, # სიმბოლოები
- ბ. Unicode Standard 2.0 სტანდარტით განსაზღვრული სიმბოლოები, ინდექსები
- გ. ათობითი ციფრები, @, \$, _, # სიმბოლოები, შენახული პროცედურები

5.4.1.1.10. იდენტიფიკატორის შიგნით:

- ა. დაუშვებელია სპეციალური სიმბოლოების გამოყენება: ~, !, %, ^, &, - , (,), {, }, “, ., \, ‘ და ინტერვალი
- ბ. დასაშვებია სპეციალური სიმბოლოების გამოყენება: ~, !, %, ^, a, d, (, \, ‘ და ინტერვალი
- გ. დასაშვებია სპეციალური სიმბოლოების გამოყენება: ~, r, h, ^, a, d, (, \, ‘ და ინტერვალი

5.4.1.1.11. იდენტიფიკატორი:

- ა. უნდა იყოს დარეზერვებული სიტყვა და არ უნდა იყოს უნიკალური
- ბ. უნდა იყოს დარეზერვებული სიტყვა და უნდა იყოს უნიკალური
- გ. არ უნდა იყოს დარეზერვებული სიტყვა და უნდა იყოს უნიკალური

5.4.1.1.12. სახელების განსხვავება რეგისტრის მიხედვით:

- ა. ხდება
- ბ. არ ხდება
- გ. ხანდახან ხდება

5.4.1.1.13. ზოგიერთი შეზღუდვის გვერდის ასავლელად:

- ა. შეგვიძლია ობიექტების სახელები ბრჭყალებში ან კვადრატულ ფრჩხილებში მოვათავსოთ

ბ. არ შეგვიძლია ობიექტების სახელები ბრჭყალებში ან კვადრატულ ფრჩხილებში მოვათავსოთ

გ. შეგვიძლია ობიექტების სახელები ბრჭყალებში ან აპოსტროფებში მოვათავსოთ

5.4.1.1.14. ზოგიერთი შეზღუდვის გვერდის ასავლელად:

ა. შეგვიძლია შეზღუდული იდენტიფიკატორები გამოვიყენოთ

ბ. არ შეგვიძლია შეზღუდული იდენტიფიკატორები გამოვიყენოთ

გ. ხანდახან შეგვიძლია შეუზღუდავი იდენტიფიკატორები გამოვიყენოთ

5.4.1.1.15. შეზღუდული იდენტიფიკატორების გამოყენების შემთხვევაში ობიექტის სახელში:

ა. დასაშვებია ინტერვალები და სპეციალური სიმბოლოები აგრეთვე დარეზერვებული სიტყვები

ბ. დაუშვებელია ინტერვალები და სპეციალური სიმბოლოები აგრეთვე დარეზერვებული სიტყვები

გ. დასაშვებია მხოლოდ ინტერვალები

5.4.1.1.16. ობიექტის სრული სახელი იქმნება:

ა. მონაცემთა ბაზის, სქემისა და ობიექტის სახელის საფუძველზე

ბ. სქემისა და ობიექტის სახელის საფუძველზე

გ. სერვერის, მონაცემთა ბაზის, სქემისა და ობიექტის სახელის საფუძველზე

5.4.1.1.17. ობიექტის სრულ სახელს შემდეგი სინტაქსი აქვს:

ა. [[[სერვერის_სახელი.] [სქემის_სახელი].] ობიექტის_სახელი

ბ. [სქემის_სახელი].] ობიექტის_სახელი

გ. [[[სერვერის_სახელი.] [მონაცემთა_ბაზის_სახელი].] [სქემის_სახელი].] ობიექტის_სახელი

5.4.1.1.18. სერვერის ნებისმიერ ობიექტს:

ა. არ უნდა ჰქონდეს უნიკალური, სრულად განსაზღვრული სახელი

ბ. უნდა ჰქონდეს უნიკალური, სრულად განსაზღვრული სახელი

გ. უნდა ჰქონდეს უნიკალური, სრულად განუსაზღვრელი სახელი

5.4.1.1.19. ერთ ბაზაში შეიძლება იყოს ერთნაირი სახელის მქონე ორი ცხრილი, რომლებიც:

ა. ერთ სქემაში იქნება მოთავსებული

ბ. სხვადასხვა სქემაში არ იქნება მოთავსებული

გ. სხვადასხვა სქემაში იქნება მოთავსებული

5.4.1.1.20. სვეტების სახელები:

ა. უნდა იყოს უნიკალური ცხრილის ან წარმოდგენის შიგნით

ბ. არ უნდა იყოს უნიკალური ცხრილის ან წარმოდგენის შიგნით

გ. უნდა იყოს უნიკალური ცხრილის ან წარმოდგენის გარეთ

5.4.1.1.21. ობიექტთან მიმართვისას არ არის მითითებული სერვერის სახელი, მაშინ:

ა. არ აიღება მიმდინარე სერვერის სახელი

ბ. აიღება მიმდინარე სერვერის სახელი

გ. აიღება მიმდინარე მონაცემთა ბაზის სახელი

5.4.1.1.22. თუ მითითებული არ არის მონაცემთა ბაზის სახელი, მაშინ:

- ა. არ აიღება მიმდინარე მონაცემთა ბაზა
- ბ. აიღება მიმდინარე სერვერი
- გ. აიღება მიმდინარე მონაცემთა ბაზა

5.4.1.1.23. თუ მითითებული არ არის სქემის სახელი, მაშინ:

- ა. არ აიღება dbi სქემა
- ბ. აიღება dbi სქემა
- გ. აიღება TABLE სქემა

5.4.1.1.24. შემზღვევლების (“ “ და [] სიმბოლოები) გამოყენების წესები:

- ა. დამოკიდებულია QUOTED_IDENTIFIER პარამეტრის მნიშვნელობაზე
- ბ. არ არის დამოკიდებული QUOTED_IDENTIFIER პარამეტრის მნიშვნელობაზე
- გ. დამოკიდებულია dbi სქემის მნიშვნელობაზე

5.4.1.1.25. თუ QUOTED_IDENTIFIER პარამეტრი იმყოფება ON მდგომარეობაში, მაშინ შემზღვევლების გამოყენება შემდეგნაირად ხდება:

- ა. 1. კუთხური (< >) და კვადრატული ფრჩხილები ([]) გამოიყენება იდენტიფიკატორების შეზღუდვისათვის. ბრჭყალები (“ “) გამოიყენება სიმბოლური სტრიქონებისათვის.
2. სიმბოლური სტრიქონები არ უნდა მოთავსდეს აპოსტროფებში (‘ ‘). იდენტიფიკატორის შეზღუდვისათვის აპოსტროფების გამოყენება არ შეიძლება. თუ სიმბოლური სტრიქონი აპოსტროფს შეიცავს, მაშინ ამ აპოსტროფის გვერდით მეორე აპოსტროფი უნდა მოვათავსოთ
- ბ. 1. ბრჭყალები (“ “) და კვადრატული ფრჩხილები ([]) არ გამოიყენება იდენტიფიკატორების შეზღუდვისათვის. ბრჭყალები (“ “) არ გამოიყენება სიმბოლური სტრიქონებისათვის.
2. სიმბოლური სტრიქონები არ უნდა მოთავსდეს აპოსტროფებში (‘ ‘). იდენტიფიკატორის შეზღუდვისათვის აპოსტროფების გამოყენება არ შეიძლება. თუ სიმბოლური სტრიქონი აპოსტროფს შეიცავს, მაშინ ამ აპოსტროფის გვერდით მეორე აპოსტროფი უნდა მოვათავსოთ
- გ. 1. ბრჭყალები (“ “) და კვადრატული ფრჩხილები ([]) გამოიყენება იდენტიფიკატორების შეზღუდვისათვის. ბრჭყალები (“ “) არ გამოიყენება სიმბოლური სტრიქონებისათვის.
2. სიმბოლური სტრიქონები უნდა მოთავსდეს აპოსტროფებში (‘ ‘) ან ბრჭყალებში (“ “). თუ სტრიქონი აპოსტროფს შეიცავს, მაშინ ეს სტრიქონი შეგვიძლია ბრჭყალებში მოვათავსოთ

5.4.1.1.26. თუ QUOTED_IDENTIFIER პარამეტრი იმყოფება OFF მდგომარეობაში, მაშინ შემზღვევლების გამოყენება შემდეგნაირად ხდება:

- ა. 1. იდენტიფიკატორების შეზღუდვისათვის კუთხური ფრჩხილები (< >) გამოიყენება. 2. სიმბოლური სტრიქონები უნდა მოთავსდეს ამპერსანდებში (& &) ან ბრჭყალებში (“ “). თუ სტრიქონი აპოსტროფს შეიცავს, მაშინ ეს სტრიქონი შეგვიძლია ბრჭყალებში მოვათავსოთ
- ბ. 1. იდენტიფიკატორების შეზღუდვისათვის კვადრატული ფრჩხილები ([]) გამოიყენება.
2. სიმბოლური სტრიქონები უნდა მოთავსდეს აპოსტროფებში (‘ ‘) ან ბრჭყალებში (“ “). თუ სტრიქონი აპოსტროფს შეიცავს, მაშინ ეს სტრიქონი შეგვიძლია ბრჭყალებში მოვათავსოთ
- გ. 1. იდენტიფიკატორების შეზღუდვისათვის კვადრატული ფრჩხილები ([]) არ გამოიყენება. 2. სიმბოლური სტრიქონები არ უნდა მოთავსდეს აპოსტროფებში (‘ ‘) ან ბრჭყალებში (“ “). თუ სტრიქონი აპოსტროფს შეიცავს, მაშინ ეს სტრიქონი არ შეგვიძლია ბრჭყალებში მოვათავსოთ

5.4.1.1.27. რომელი მოთხოვნაა სწორი:

- ა. SET QUOTED_IDENTIFIER ON
SELECT * FROM "MY TABLE" WHERE "Last Name" = N'O'Brien'
- ბ. SET QUOTED_IDENTIFIER ON
SELECT * FROM [MY TABLE] WHERE [Last Name] = N'O'Brien"
- გ. SET QUOTED_IDENTIFIER OFF
SELECT * FROM "MY TABLE" WHERE "Last Name" = N'O'Brien'

5.4.1.1.28. კვადრატული ფრჩხილები, როგორც შემზღვევლები:

- ა. ხანდახან გამოიყენება
- ბ. არ გამოიყენება ყოველთვის, მიუხედავად QUOTED_IDENTIFIER პარამეტრის მნიშვნელობისა
- გ. გამოიყენება ყოველთვის, მიუხედავად QUOTED_IDENTIFIER პარამეტრის მნიშვნელობისა

ცვლადები

5.5.1.1.1. ცვლადის გამოყენებამდე საჭიროა მისი გამოცხადება:

- ა. SET ბრძანების საშუალებით
- ბ. DECLARE ბრძანების საშუალებით
- გ. SELECT ბრძანების საშუალებით

5.5.1.1.2. ცვლადის სახელი:

- ა. არ უნდა იწყებოდეს @ სიმბოლოთი
- ბ. უნდა იწყებოდეს \$ სიმბოლოთი
- გ. უნდა იწყებოდეს @ სიმბოლოთი

5.5.1.1.3. @ სიმბოლო ლოკალური ცვლადების სახელების გარდა გამოიყენება:

- ა. ინდექსების სახელების განსაზღვრისათვის
- ბ. ფუნქციებისა და შენახული პროცედურების არგუმენტების სახელების განსაზღვრისათვის
- გ. ტრიგერების სახელების განსაზღვრისათვის

5.5.1.1.4. ერთი DECLARE ბრძანებით:

- ა. არ შეიძლება რამდენიმე ცვლადის გამოცხადება, რომელთა სახელები ერთმანეთისაგან მპიმეებით იქნება გამოყოფილი
- ბ. შეიძლება რამდენიმე ცვლადის გამოცხადება, რომელთა სახელები ერთმანეთისაგან წერტილებით იქნება გამოყოფილი
- გ. შეიძლება რამდენიმე ცვლადის გამოცხადება, რომელთა სახელები ერთმანეთისაგან მპიმეებით იქნება გამოყოფილი

5.5.1.1.5. ცვლადებს მნიშვნელობები შეგვიძლია მივანიჭოთ:

- ა. SET და SELECT ბრძანებების გამოყენებით
- ბ. DECLARE და SELECT ბრძანებების გამოყენებით
- გ. SET და DECLARE ბრძანებების გამოყენებით

5.5.1.1.6. მინიჭების რომელი ოპერატორი შეიცავს შეცდომას:

- ა. SELECT @1_@ = 5.5
- ბ. SELECT #1_@ = 5.5
- გ. SELECT 1_@ = 5.5

5.5.1.1.7. ცვლადს:

- ა. არ შეგვიძლია მივანიჭოთ რომელიმე ფუნქციის მუშაობის შედეგი
- ბ. შეგვიძლია მივანიჭოთ რომელიმე ფუნქციის მუშაობის შედეგი
- გ. შეგვიძლია მივანიჭოთ რომელიმე ინდექსის მუშაობის შედეგი

5.5.1.1.8. რომელი მოთხოვნა შეიცავს შეცდომას:

- ა. DECLARE @tanxa float
SELECT @tanxa AS [მაქსიმალური გადასახდელი თანხა]
- ბ. DECLARE @tanxa float
SET @tanxa = (SELECT MAX(gadasaxdeli_1) FROM Xelshekruleba)
- გ. DECLARE @tanxa1 float
SET @tanxa2 = (SELECT MAX(gadasaxdeli_1) FROM Xelshekruleba)
SELECT @tanxa3 AS [მაქსიმალური გადასახდელი თანხა]

5.5.1.1.9. ცვლადების მნიშვნელობების გამოსატანად შეგვიძლია:

- ა. SET და SELECT ბრძანებების გამოყენება
- ბ. PRINT და SELECT ბრძანებების გამოყენება
- გ. PRINT და DECLARE ბრძანებების გამოყენება

მმართველი კონსტრუქციები

BEGIN...END

5.6.1.1.1. BEGIN...END კონსტრუქცია:

- ა. იძლევა ერთ ბლოკში ორი და მეტი ბრძანების დაჯგუფების საშუალებას
- ბ. არ იძლევა ერთ ბლოკში ორი და მეტი ბრძანების დაჯგუფების საშუალებას
- გ. იძლევა ერთ ბლოკში მხოლოდ ერთი ბრძანების დაჯგუფების საშუალებას

5.6.1.1.2. BEGIN საკვანძო სიტყვა:

- ა. არც იწყებს და არც ამთავრებს ბლოკს
- ბ. იწყებს ბლოკს
- გ. ამთავრებს ბლოკს

5.6.1.1.3. END საკვანძო სიტყვა:

- ა. იწყებს ბლოკს
- ბ. არც იწყებს და არც ამთავრებს ბლოკს
- გ. ამთავრებს ბლოკს

5.6.1.1.4. BEGIN...END კონსტრუქცია:

- ა. არ შეგვიძლია გამოვიყენოთ განშტოებებში, პირობისა და ციკლის კონსტრუქციებში
- ბ. შეგვიძლია გამოვიყენოთ მხოლოდ განშტოებებში
- გ. შეგვიძლია გამოვიყენოთ განშტოებებში, პირობისა და ციკლის კონსტრუქციებში

5.6.1.1.5. BEGIN...END ბლოკი:

- ა. შეიძლება იყოს ჩადგმული
- ბ. შეიძლება იყოს ჩაუდგმელი
- გ. არ შეიძლება იყოს ჩადგმული

IF...ELSE

5.6.2.1.1. IF...ELSE კონსტრუქციაში 'ლოგიკური_გამოსახულება':

- ა. არ არის ლოგიკური პირობა
- ბ. არის ფიზიკური პირობა
- გ. არის ლოგიკური პირობა

5.6.2.1.2. IF...ELSE კონსტრუქციაში 'ლოგიკური_გამოსახულება':

- ა. იღებს true (ჭეშმარიტი) ან false (მცდარი) მნიშვნელობას
- ბ. იღებს მნიშვნელობებს 10 ან 20
- გ. არ იღებს true (ჭეშმარიტი) ან false (მცდარი) მნიშვნელობას

5.6.2.1.3. თუ IF...ELSE კონსტრუქციაში 'ლოგიკური_გამოსახულება' იღებს true მნიშვნელობას, მაშინ:

- ა. არ შესრულდება პირველი 'sql_ბრძანება' ან 'ბრძანებების_ბლოკი'
- ბ. შესრულდება პირველი 'sql_ბრძანება' ან 'ბრძანებების_ბლოკი'
- გ. შესრულდება ELSE სიტყვის შემდეგ მოთავსებული 'sql_ბრძანება' ან 'ბრძანებების_ბლოკი'

5.6.2.1.4. თუ IF...ELSE კონსტრუქციაში 'ლოგიკური_გამოსახულება' იღებს false მნიშვნელობას, მაშინ:

- ა. შესრულდება პირველი 'sql_ბრძანება' ან 'ბრძანებების_ბლოკი'
- ბ. არ შესრულდება ELSE სიტყვის შემდეგ მოთავსებული 'sql_ბრძანება' ან 'ბრძანებების_ბლოკი'
- გ. შესრულდება ELSE სიტყვის შემდეგ მოთავსებული 'sql_ბრძანება' ან 'ბრძანებების_ბლოკი'

CASEEND

5.6.3.1.1. CASEEND:

- ა. არის ერთგანშტოებიანი კონსტრუქცია
- ბ. არის მრავალგანშტოებიანი კონსტრუქცია
- გ. არ არის მრავალგანშტოებიანი კონსტრუქცია

5.6.3.1.2. 'case_გამოსახულება':

- ა. შეიძლება შეიცავდეს ცვლადის სახელს ან ფუნქციას
- ბ. შეიძლება შეიცავდეს ტრიგერის სახელს ან შენახულ პროცედურას
- გ. არ შეიძლება შეიცავდეს ცვლადის სახელს ან ფუნქციას

5.6.3.1.3. CASEEND კონსტრუქციაში 'when_გამოსახულება':

- ა. არ იღებს 'case_გამოსახულება' არგუმენტის მნიშვნელობებიდან ერთ-ერთს

- ბ. იღებს მნიშვნელობებს 0 ან 1
- გ. იღებს 'case_გამოსახულება' არგუმენტის მნიშვნელობებიდან ერთ-ერთს

5.6.3.1.4. თუ CASEEND კონსტრუქციაში 'when_გამოსახულება' და 'case_გამოსახულება' არგუმენტების მნიშვნელობა ერთმანეთს დაემთხვევა, მაშინ:

- ა. გაიცემა 'then_გამოსახულება' არგუმენტის მნიშვნელობა
- ბ. გაიცემა 'case_გამოსახულება' არგუმენტის მნიშვნელობა
- გ. არ გაიცემა 'then_გამოსახულება' არგუმენტის მნიშვნელობა

5.6.3.1.5. თუ CASEEND კონსტრუქციაში 'case_გამოსახულება' არგუმენტების მნიშვნელობები არ ემთხვევა 'when_გამოსახულება' არგუმენტის არც ერთ მნიშვნელობას, მაშინ:

- ა. არ გაიცემა 'else_გამოსახულება' არგუმენტის მნიშვნელობა
- ბ. გაიცემა 'else_გამოსახულება' არგუმენტის მნიშვნელობა
- გ. გაიცემა 'case_გამოსახულება' არგუმენტის მნიშვნელობა

COALESCE

5.6.4.1.1. COALESCE კონსტრუქცია:

- ა. გასცემს მეორე არანულოვან მნიშვნელობას
- ბ. არ გასცემს პირველ არანულოვან მნიშვნელობას
- გ. გასცემს პირველ არანულოვან მნიშვნელობას

WHILE...BREAK & CONTINUE

5.6.5.1.1. WHILE...BREAK & CONTINUE კონსტრუქცია:

- ა. არ გამოიყენება ციკლების ორგანიზებისათვის
- ბ. გამოიყენება ციკლების ორგანიზებისათვის
- გ. გამოიყენება ციკლების წაშლისთვის

5.6.5.1.2. თუ WHILE...BREAK & CONTINUE კონსტრუქციაში 'ლოგიკური_გამოსახულება' იღებს true მნიშვნელობას, მაშინ:

- ა. შესრულდება ციკლის ტანი (კოდი)
- ბ. შესრულდება ციკლის შემდეგ მოთავსებული ოპერატორი
- გ. არ შესრულდება ციკლის ტანი (კოდი)

5.6.5.1.3. თუ WHILE...BREAK & CONTINUE კონსტრუქციაში 'ლოგიკური_გამოსახულება' false მნიშვნელობას მიიღებს, მაშინ:

- ა. ციკლის შესრულება გაგრძელდება
- ბ. ციკლის შესრულება არ შეწყდება
- გ. ციკლის შესრულება შეწყდება

5.6.5.1.4. BREAK ბრძანების შესრულება:

- ა. იწვევს ციკლის შესრულების იძულებით შეწყვეტას და ციკლიდან გამოსვლას
- ბ. იწვევს ლოგიკური პირობის შემოწმებაზე გადასვლას
- გ. არ იწვევს ციკლის შესრულების იძულებით შეწყვეტას და ციკლიდან გამოსვლას

5.6.5.1.5. CONTINUE ბრძანების შესრულება:

- ა. არ იწვევს ლოგიკური პირობის შემოწმებაზე გადასვლას
- ბ. იწვევს ლოგიკური პირობის შემოწმებაზე გადასვლას
- გ. იწვევს ციკლის შესრულების იძულებით შეწყვეტას და ციკლიდან გამოსვლას

5.6.5.1.6. CONTINUE ბრძანების შემდეგ მოთავსებული ბრძანებები:

- ა. არ შესრულდება
- ბ. შესრულდება
- გ. ხანდახან შესრულდება

ლოგიკის ოპერატორები

ALL ოპერატორი

5.7.1.1.1. ALL ოპერატორი სკალარულ სიდიდეს:

- ა. ადარებს ქვემოთხოვნის მიერ დაბრუნებულ თითოეულ მნიშვნელობას
- ბ. გასცემს ქვემოთხოვნის შედეგს
- გ. არ ადარებს ქვემოთხოვნის მიერ დაბრუნებულ თითოეულ მნიშვნელობას

5.7.1.1.2. თუ ALL ოპერატორში ლოგიკური პირობა სრულდება ყველა დაბრუნებული მნიშვნელობისათვის, მაშინ პირობა:

- ა. ჩაითვლება ნახევრად შესრულებულად
- ბ. ჩაითვლება შესრულებულად
- გ. არ ჩაითვლება შესრულებულად

5.7.1.1.3. ALL ოპერატორში ქვემოთხოვნა:

- ა. არ გასცემს ერთი სვეტის მნიშვნელობებს
- ბ. გასცემს ერთი სვეტის მნიშვნელობებს
- გ. გასცემს რამდენიმე სვეტის მნიშვნელობებს

5.7.1.1.4. ALL ოპერატორში ქვემოთხოვნა გასცემს ერთი სვეტის მნიშვნელობებს, რომლის მნიშვნელობების ტიპი:

- ა. არ უნდა ემთხვეოდეს 'გამოსახულების' ტიპს
- ბ. ხანდახან უნდა ემთხვეოდეს 'გამოსახულების' ტიპს
- გ. უნდა ემთხვეოდეს 'გამოსახულების' ტიპს

SOME და ANY ოპერატორები

5.7.2.1.1. SOME და ANY ოპერატორები სკალარულ სიდიდეს:

- ა. ადარებს ქვემოთხოვნის მიერ გაცემულ თითოეულ მნიშვნელობას
- ბ. ადარებს პროცედურის მიერ გაცემულ თითოეულ მნიშვნელობას
- გ. არ ადარებს ქვემოთხოვნის მიერ გაცემულ თითოეულ მნიშვნელობას

5.7.2.1.2. თუ SOME და ANY ოპერატორებში ლოგიკური პირობა სრულდება ერთ-ერთი მათგანისათვის, მაშინ პირობა:

- ა. არ ჩაითვლება შესრულებულად

- ბ. ჩაითვლება შესრულებულად
- გ. ჩაითვლება ნახევრად შესრულებულად

BETWEEN ოპერატორი

5.7.3.1.1. BETWEEN ოპერატორი საშუალებას:

- ა. გვაძლევს მივუთითოთ მნიშვნელობების დასაწყისი
- ბ. არ გვაძლევს მივუთითოთ მნიშვნელობების დიაპაზონი
- გ. გვაძლევს მივუთითოთ მნიშვნელობების დიაპაზონი

5.7.3.1.2. BETWEEN ოპერატორში 'გამოსახულება' არის შესამოწმებელი გამოსახულება, რომელიც:

- ა. არ შეიძლება შეიცავდეს როგორც სვეტის, ისე ცვლადის სახელს
- ბ. შეიძლება შეიცავდეს როგორც სვეტის, ისე ცვლადის სახელს
- გ. შეიძლება შეიცავდეს როგორც სვეტის, ისე პროცედურის სახელს

5.7.3.1.3. BETWEEN ოპერატორში 'საწყისი_გამოსახულება' განსაზღვრავს:

- ა. დიაპაზონის დასაწყისს
- ბ. დიაპაზონის დასასრულს
- გ. არაფერს

5.7.3.1.4. BETWEEN ოპერატორში 'საბოლოო_გამოსახულება' განსაზღვრავს:

- *ა. დიაპაზონის დასასრულს
- ბ. არაფერს
- გ. დიაპაზონის დასაწყისს

EXISTS ოპერატორი

5.7.4.1.1. EXISTS ოპერატორი გასცემს true მნიშვნელობას, თუ ქვემოთხოვნა:

- ა. არ გასცემს ორ სტრიქონს
- ბ. არ გასცემს თუნდაც ერთ სტრიქონს
- გ. გასცემს თუნდაც ერთ სტრიქონს

5.7.4.1.2. EXISTS ოპერატორი გასცემს false მნიშვნელობას, თუ ქვემოთხოვნა:

- ა. გასცემს თუნდაც ერთ სტრიქონს
- ბ. არ გასცემს თუნდაც ერთ სტრიქონს
- გ. გასცემს ორ სტრიქონს

IN ოპერატორი

5.7.5.1.1. IN ოპერატორის საშუალებით:

- ა. შეგვიძლია შევამოწმოთ ემთხვევა თუ არა 'გამოსახულების' მნიშვნელობა 'ქვემოთხოვნის' მიერ დაბრუნებული მნიშვნელობებიდან ან ჩამოთვლილი სიდიდეებიდან ერთ-ერთს
- ბ. არ შეგვიძლია შევამოწმოთ ემთხვევა თუ არა 'გამოსახულების' მნიშვნელობა 'ქვემოთხოვნის' მიერ დაბრუნებული მნიშვნელობებიდან ან ჩამოთვლილი სიდიდეებიდან

ერთ-ერთს

გ. არაფრის გაკეთება არ შეგვიძლია

LIKE ოპერატორი

5.7.6.1.1. LIKE ოპერატორის საშუალებით:

- ა. შეუძლებელია გამოსახულების შედარება მოცემულ შაბლონთან
- ბ. შესაძლებელია გამოსახულების შედარება მოცემულ შაბლონთან
- გ. გამოსახულება გადაიწერება შაბლონში

5.7.6.1.2. LIKE ოპერატორში 'გამოსახულება' არგუმენტი:

- ა. არ განსაზღვრავს შესამოწმებელ გამოსახულებას
- ბ. განსაზღვრავს შესამოწმებელ გამოსახულებას
- გ. განსაზღვრავს წილად რიცხვებს

5.7.6.1.3. LIKE ოპერატორში 'შაბლონი':

- ა. შეიცავს სიმბოლო_შემცვლელებს
- ბ. არ შეიცავს სიმბოლო_შემცვლელებს
- გ. შეიცავს ფუნქციის სახელებს

5.7.6.1.4. LIKE ოპერატორის შაბლონში გამოიყენება დარეზერვებული სიმბოლოები:

- ა. %, _, @ და ^
- ბ. \$, [,] და ^
- გ. %, _, [,], # და ^

5.7.6.1.5. LIKE ოპერატორში 'escape_სიმბოლო' არგუმენტით მოიცემა მმართველი სიმბოლო. ამ სიმბოლოს შემდეგ მოთავსებული სიმბოლო-შემცვლელი:

- ა. მოქმედებს და ჩაითვლება ჩვეულებრივ სიმბოლოდ
- ბ. აღარ მოქმედებს და ჩაითვლება ჩვეულებრივ სიმბოლოდ
- გ. აღარ მოქმედებს და არ ჩაითვლება ჩვეულებრივ სიმბოლოდ

5.7.6.1.6. LIKE ოპერატორში % სიმბოლო:

- ა. ცვლის სიმბოლოების ნებისმიერ მიმდევრობას
- ბ. არ ცვლის სიმბოლოების ნებისმიერ მიმდევრობას
- გ. ცვლის '%' სიმბოლოს

5.7.6.1.7. LIKE ოპერატორში _ (ხაზგასმის სიმბოლო) სიმბოლო:

- ა. ცვლის ნებისმიერ ერთ სიმბოლოს
- ბ. ცვლის სიმბოლოების ნებისმიერ მიმდევრობას
- გ. არ ცვლის ნებისმიერ ერთ სიმბოლოს

თავი 6. ფუნქციები

მომხმარებლის ფუნქციები

6.1.1.1.1. მომხმარებლის მიერ შემუშავებული ფუნქციები:

- ა. არის მონაცემთა ბაზის დამოუკიდებელი ობიექტები და მოთავსებულია შესაბამის მონაცემთა ბაზაში
- ბ. არ არის მონაცემთა ბაზის დამოუკიდებელი ობიექტები და მოთავსებულია შესაბამის მონაცემთა ბაზაში
- გ. არის მონაცემთა ბაზის დამოუკიდებელი ობიექტები და მოთავსებული არ არის შესაბამის მონაცემთა ბაზაში

6.1.1.1.2. არსებობს მომხმარებლების მიერ შემუშავებული ფუნქციების:

- ა. ორი კლასი
- ბ. სამი კლასი
- გ. ერთი კლასი

6.1.1.1.3. არსებობს მომხმარებლების მიერ შემუშავებული ფუნქციების შემდეგი ტიპები:

- ა. Scalar, Multi-statement და table
- ბ. Scalar, Inline და cursor
- გ. Scalar, Inline და Multi-statement

6.1.1.1.4. Scalar ტიპის ფუნქციები გასცემს ნებისმიერი ტიპის:

- ა. არასკალარულ მნიშვნელობას, გარდა timestamp (rowversion), text, ntext, image, table და cursor ტიპებისა
- ბ. სკალარულ მნიშვნელობას, გარდა timestamp (rowversion), text, ntext, image, table და cursor ტიპებისა
- გ. სკალარულ მნიშვნელობას timestamp (rowversion), text, ntext, image, table და cursor ტიპების ჩათვლით

6.1.1.1.5. Scalar ტიპის ფუნქცია შეიძლება შეიცავდეს:

- ა. ერთ ან მეტ ბრძანებას, რომელიც BEGIN...END ბლოკში უნდა იყოს მოთავსებული
- ბ. ერთ ან მეტ ბრძანებას, რომელიც BEGIN...END ბლოკში არ უნდა იყოს მოთავსებული
- გ. მხოლოდ ორ ბრძანებას, რომელიც BEGIN...END ბლოკში არ უნდა იყოს მოთავსებული

6.1.1.1.6. Inline ტიპის ფუნქციები შეიცავს მხოლოდ:

- ა. ერთ UPDATE ბრძანებას
- ბ. ორ SELECT ბრძანებას
- გ. ერთ SELECT ბრძანებას

6.1.1.1.7. მისი საშუალებით ფორმირდება მონაცემთა ნაკრები, რომელიც გაიცემა:

- ა. SELECT ტიპის მნიშვნელობის სახით
- ბ. table ტიპის მნიშვნელობის სახით
- გ. UPDATE ტიპის მნიშვნელობის სახით

6.1.1.1.8. Multi-statement ტიპის ფუნქციები გასცემს:

- ა. UPDATE ტიპის მნიშვნელობას

- ბ. table ტიპის მნიშვნელობას
- გ. SELECT ტიპის მნიშვნელობას

6.1.1.1.9. Multi-statement ფუნქციის ტანი:

- ა. შეიძლება რამდენიმე ბრძანებას შეიცავდეს
- ბ. შეიძლება არ შეიცავდეს არც ერთ ბრძანებას
- გ. უნდა შეიცავდეს მხოლოდ ორ ბრძანებას

6.1.1.1.10. ფუნქციებს შეიძლება ჰქონდეს:

- ა. მხოლოდ ერთი პარამეტრი
- ბ. ერთი ან მეტი პარამეტრი ან არც ერთი
- გ. არც ერთი პარამეტრი

6.1.1.1.11. ფუნქციის პარამეტრის ტიპი:

- ა. არ უნდა იყოს timestamp (rowversion), cursor და table
- ბ. უნდა იყოს timestamp (rowversion), cursor და table
- გ. არ უნდა იყოს int და table

6.1.1.1.12. ფუნქციის ტანში:

- ა. დაუშვებელია ლოკალური ცვლადების გამოცხადება, სხვა ფუნქციებისა და შენახული პროცედურების გამოძახება და კურსორების შექმნა
- ბ. დასაშვებია მხოლოდ ლოკალური ცვლადების გამოცხადება
- გ. დასაშვებია ლოკალური ცვლადების გამოცხადება, სხვა ფუნქციებისა და შენახული პროცედურების გამოძახება და კურსორების შექმნა

6.1.1.1.13. ფუნქციის კოდში INSERT, UPDATE და DELETE ბრძანებების გამოყენებისას:

- ა. დასაშვებია მუშაობა მხოლოდ იმ მონაცემებთან, რომელიც იწახება ფუნქციის ტანში შექმნილ int ტიპის ცვლადში
- ბ. დასაშვებია მუშაობა მხოლოდ იმ მონაცემებთან, რომელიც იწახება ფუნქციის ტანში შექმნილ table ტიპის ცვლადში
- გ. დაუშვებელია მუშაობა მხოლოდ იმ მონაცემებთან, რომელიც იწახება ფუნქციის ტანში შექმნილ table ტიპის ცვლადში

6.1.1.1.14. ფუნქციის ტანში:

- ა. დაუშვებელია PRINT და SELECT ბრძანებების გამოყენება მონაცემების უშუალოდ დაბრუნების მიზნით
- ბ. დასაშვებია PRINT და SELECT ბრძანებების გამოყენება მონაცემების უშუალოდ დაბრუნების მიზნით
- გ. დაუშვებელია RETURN ბრძანებების გამოყენება მონაცემების უშუალოდ დაბრუნების მიზნით

Scalar ტიპის ფუნქციები

6.1.2.1.1. CREATE FUNCTION ბრძანებაში "@პარამეტრის_სახელი მონაცემთა_ტიპი [=DEFAULT]" აგრუმენტი:

- ა. მხოლოდ მთელ რიცხვებს განსაზღვრავს

- ბ. ფუნქციის პარამეტრებს არ განსაზღვრავს
- გ. ფუნქციის პარამეტრებს განსაზღვრავს

6.1.2.1.2. CREATE FUNCTION ბრძანებაში თითოეული პარამეტრის სახელი:

- ა. არ უნდა იყოს უნიკალური და იწყებოდეს @ სიმბოლოთი
- ბ. უნდა იყოს უნიკალური და იწყებოდეს @ სიმბოლოთი
- გ. უნდა იყოს უნიკალური და არ უნდა იწყებოდეს @ სიმბოლოთი

6.1.2.1.3. CREATE FUNCTION ბრძანებაში:

- ა. ჯერ მიეთითება პარამეტრის ტიპი, შემდეგ პარამეტრის სახელი
- ბ. ჯერ მიეთითება პარამეტრის სახელი, შემდეგ პარამეტრის ტიპი
- გ. არ მიეთითება პარამეტრის სახელი და არც პარამეტრის ტიპი

6.1.2.1.4. CREATE FUNCTION ბრძანებაში პარამეტრისთვის:

- ა. დასაშვებია ყველა ტიპი, გარდა timestamp (rowversion), cursor და table ტიპებისა
- ბ. დაუშვებელია ყველა ტიპი, გარდა timestamp (rowversion), cursor და table ტიპებისა
- გ. დასაშვებია timestamp (rowversion), cursor და table ტიპები

6.1.2.1.5. DEFAULT არგუმენტი მიუთითებს იმ მნიშვნელობას, რომელიც:

- ა. ავტომატურად არ მიენიჭება პარამეტრს, თუ მისი მნიშვნელობა აშკარად არ იქნება მითითებული
- ბ. ავტომატურად მიენიჭება პარამეტრს, თუ მისი მნიშვნელობა აშკარად არ იქნება მითითებული
- გ. ავტომატურად მიენიჭება პარამეტრს, თუ მისი მნიშვნელობა აშკარად იქნება მითითებული

6.1.2.1.6. პარამეტრები ერთმანეთისაგან:

- ა. წერტილებით გამოიყოფა
- ბ. მძიმეებით გამოიყოფა
- გ. წერტილ-მძიმეებით გამოიყოფა

6.1.2.1.7. ENCRYPTION საკვანძო სიტყვის გამოყენება:

- ა. არ იწვევს CREATE FUNCTION ბრძანების კოდის დაშიფვრას
- ბ. იწვევს CREATE FUNCTION ბრძანების კოდის დაშიფვრას
- გ. იწვევს CREATE FUNCTION ბრძანების კოდის გაშიფვრას

6.1.2.1.8. CREATE FUNCTION ბრძანების კოდი:

- ა. ინახება მიმდინარე მონაცემთა ბაზის syscomments სისტემური წარმოდგენის text სვეტში
- ბ. არ ინახება მიმდინარე მონაცემთა ბაზის syscomments სისტემური წარმოდგენის text სვეტში
- გ. ინახება მიმდინარე მონაცემთა ბაზის systables სისტემური წარმოდგენის text სვეტში

6.1.2.1.9. თუ ფუნქციის კოდი დაშიფრული არ არის, მაშინ მისი ნახვა:

- ა. UPDATE ბრძანებით შეიძლება
- ბ. INSERT ბრძანებით შეიძლება
- გ. SELECT ბრძანებით შეიძლება

- ბ. ყოველთვის შეძლებს სისტემურ ცხრილებთან მიმართვას
- გ. ხანდახან შეძლებს სისტემურ ცხრილებთან მიმართვას

7.3.1.1.3. შენახულ პროცედურას:

- ა. აუცილებლად უნდა ჰქონდეს შესასვლელი და გამოსასვლელი პარამეტრები
- ბ. აუცილებლად არ უნდა ჰქონდეს შესასვლელი და გამოსასვლელი პარამეტრები
- გ. შეიძლება ჰქონდეს შესასვლელი და გამოსასვლელი პარამეტრები

7.3.1.1.4. პარამეტრების მაქსიმალური რაოდენობაა:

- ა. 1024
- ბ. 2048
- გ. 256

7.3.1.1.5. პროცედურის პარამეტრები:

- ა. შეგვიძლია გამოვიყენოთ, როგორც ჩვეულებრივი ცვლადები
- ბ. შეგვიძლია გამოვიყენოთ, როგორც არაჩვეულებრივი ცვლადები
- გ. არ შეგვიძლია გამოვიყენოთ, როგორც ჩვეულებრივი ცვლადები

7.3.1.1.6. პროცედურის კოდი:

- ა. შეიძლება შეიცავდეს ინდექსების ნებისმიერ მიმდევრობას
- ბ. არ შეიძლება შეიცავდეს ნებისმიერი ბრძანებების მიმდევრობას, სხვა შენახული პროცედურების გამოძახებების ჩათვლით
- გ. შეიძლება შეიცავდეს ნებისმიერი ბრძანებების მიმდევრობას, სხვა შენახული პროცედურების გამოძახებების ჩათვლით

7.3.1.1.7. შენახული პროცედურის შესაქმნელად გამოიყენება:

- ა. CREATE DATABASE ბრძანება
- ბ. CREATE PROCEDURE ბრძანება
- გ. CREATE INDEX ბრძანება

7.3.1.1.8. შენახული პროცედურის შექმნისას:

- ა. დაუშვებელია მფლობელის სახელის, მაგრამ დასაშვებია მონაცემთა ბაზის სახელის მითითება

- ბ. დასაშვებია მფლობელის სახელისა და მონაცემთა ბაზის სახელის მითითება
- გ. დაუშვებელია მფლობელის სახელისა და მონაცემთა ბაზის სახელის მითითება

7.3.1.1.9. შენახული პროცედურა ყოველთვის:

- ა. არ იქმნება მიმდინარე მონაცემთა ბაზაში
- ბ. იქმნება მიმდინარე მონაცემთა ბაზაში
- გ. იქმნება master მონაცემთა ბაზაში

7.3.1.1.10. შენახული პროცედურის პარამეტრების სახელები:

- ა. @ სიმბოლოთი უნდა იწყებოდეს
- ბ. # სიმბოლოთი უნდა იწყებოდეს
- გ. * სიმბოლოთი უნდა იწყებოდეს

7.3.1.1.11. შენახული პროცედურის პარამეტრები ერთმანეთისაგან გამოიყოფა:

- ა. წერტილებით
- ბ. წერტილ-მძიმეებით
- გ. მძიმეებით

7.3.1.1.12. შენახული პროცედურის პარამეტრები წარმოადგენს:

- ა. გლობალურ პარამეტრებს, ამიტომ სხვადასხვა შენახულ პროცედურებს შეიძლება ერთნაირი პარამეტრები ჰქონდეს
- ბ. ლოკალურ პარამეტრებს, ამიტომ სხვადასხვა შენახულ პროცედურებს შეიძლება ერთნაირი პარამეტრები ჰქონდეს
- გ. ლოკალურ პარამეტრებს, ამიტომ სხვადასხვა შენახულ პროცედურებს არ შეიძლება ერთნაირი პარამეტრები ჰქონდეს

7.3.1.1.13. შენახულ პროცედურაში პარამეტრის სახელი ცვლადის სახელს:

- ა. არ უნდა ემთხვეოდეს
- ბ. უნდა ემთხვეოდეს
- გ. ხანდახან უნდა ემთხვეოდეს

7.3.1.1.14. პარამეტრს:

- ა. არ შეიძლება ნებისმიერი ტიპი ჰქონდეს, მათ შორის მომხმარებლის მიერ განსაზღვრული ტიპები
- ბ. შეიძლება ნებისმიერი ტიპი ჰქონდეს, გარდა მომხმარებლის მიერ განსაზღვრული ტიპისა
- გ. შეიძლება ნებისმიერი ტიპი ჰქონდეს, მათ შორის მომხმარებლის მიერ განსაზღვრული ტიპები

7.3.1.1.15. რაც შეეხება cursor ტიპს, ის შეგვიძლია გამოვიყენოთ:

- ა. მხოლოდ შესასვლელი პარამეტრებისათვის
- ბ. როგორც გამოსასვლელი, ისე შესასვლელი პარამეტრებისთვის
- გ. მხოლოდ გამოსასვლელი პარამეტრებისათვის

7.3.1.1.16. OUTPUT არგუმენტი მიუთითებს, რომ პარამეტრი:

- ა. არის გამოსასვლელი ანუ შეგვიძლია გამოვიყენოთ მონაცემების დასაბრუნებლად შენახული პროცედურიდან

ბ. არის გამოსასვლელი ანუ არ შეგვიძლია გამოვიყენოთ მონაცემების დასაბრუნებლად შენახული პროცედურიდან

გ. არც შესასვლელია და არც გამოსასვლელი

7.3.1.1.17. შენახული პროცედურიდან გამოსვლისას გამოსასვლელი პარამეტრის მიმდინარე მნიშვნელობა:

ა. ენიჭება იმ ლოკალურ ცვლადს, რომელიც მითითებული არ იყო შენახული პროცედურის გამოძახების დროს

ბ. ენიჭება იმ ლოკალურ ცვლადს, რომელიც მითითებული იყო შენახული პროცედურის გამოძახების დროს

გ. არ ენიჭება იმ ლოკალურ ცვლადს, რომელიც მითითებული იყო შენახული პროცედურის გამოძახების დროს

7.3.1.1.18. CREATE PROCEDURE ბრძანების VARYING არგუმენტს:

ა. არ აქვს cursor ტიპი და არ გამოიყენება OUTPUT არგუმენტთან ერთად

ბ. აქვს cursor ტიპი და გამოიყენება OUTPUT არგუმენტთან ერთად

გ. აქვს int ტიპი და არ გამოიყენება OUTPUT არგუმენტთან ერთად

7.3.1.1.19. CREATE PROCEDURE ბრძანების VARYING არგუმენტი მიუთითებს, რომ გამოსასვლელი პარამეტრი:

ა. იქნება სიმრავლე

ბ. არ იქნება სიმრავლე

გ. იქნება მთელი რიცხვი

7.3.1.1.20. CREATE PROCEDURE ბრძანების DEFAULT არგუმენტი მიუთითებს იმ მნიშვნელობას, რომელსაც პარამეტრი ავტომატურად:

ა. არ მიიღებს, თუ მისი მნიშვნელობა არ იქნება მითითებული

ბ. მიიღებს, თუ მისი მნიშვნელობა არ იქნება მითითებული

გ. მიიღებს, თუ მისი მნიშვნელობა იქნება მითითებული

7.3.1.1.21. CREATE PROCEDURE ბრძანების RECOMPILE არგუმენტი მიუთითებს, რომ შენახული პროცედურის ყოველი გამოძახებისას:

ა. უნდა შედგეს მისი შესრულების გეგმა და არ უნდა შესრულდეს შენახული პროცედურის კოდის ხელახალი კომპილირება

ბ. არ უნდა შედგეს მისი შესრულების გეგმა და შესრულდეს შენახული პროცედურის კოდის ხელახალი კომპილირება

გ. უნდა შედგეს მისი შესრულების გეგმა და შესრულდეს შენახული პროცედურის კოდის ხელახალი კომპილირება

7.3.1.1.22. CREATE PROCEDURE ბრძანების ENCRYPTION არგუმენტი მიუთითებს, რომ:

ა. უნდა შესრულდეს შენახული პროცედურის კოდის დაშიფვრა

ბ. არ უნდა შესრულდეს შენახული პროცედურის კოდის დაშიფვრა

გ. უნდა შესრულდეს შენახული პროცედურის კოდის გაშიფვრა

7.3.1.1.23. CREATE PROCEDURE ბრძანების AS არგუმენტი:

ა. ხანდახან იწყებს შენახული პროცედურის ტანს

- ბ. არ იწყებს შენახული პროცედურის ტანს
- გ. იწყებს შენახული პროცედურის ტანს

7.3.1.1.24. შენახული პროცედურიდან გამოსასვლელად შეგვიძლია გამოვიყენოთ:

- ა. CREATE PROCEDURE ბრძანება
- ბ. RETURN ბრძანება
- გ. UPDATE ბრძანება

7.3.1.1.25. ერთი შენახული პროცედურის ტანიდან მეორე შენახული პროცედურის გამოძახებისას:

- ა. იქმნება ჩადგმული პროცედურები
- ბ. იქმნება ჩაუდგმელი პროცედურები
- გ. არ იქმნება ჩადგმული პროცედურები

7.3.1.1.26. შენახული პროცედურების ჩადგმულობის მიმდინარე დონის მისაღებად შეგვიძლია გამოვიყენოთ:

- ა. @@CPU_BUSY ფუნქცია
- ბ. @@TOTAL_READ ფუნქცია
- გ. @@NESTLEVEL ცვლადი

7.3.1.1.27. შექმნილი შენახული პროცედურის სახელი შეიტანება ამავე მონაცემთა ბაზის:

- ა. sys.all_views სისტემურ წარმოდგენაში
- ბ. sys.objects სისტემურ წარმოდგენაში
- გ. sys.indexes სისტემურ წარმოდგენაში

7.3.1.1.28. შენახული პროცედურის შექმნის მომენტში:

- ა. არ სრულდება ბრძანებების მხოლოდ სინტაქსური შემოწმება და მოწმდება მასში მითითებული ობიექტების არსებობა
- ბ. სრულდება ბრძანებების მხოლოდ სინტაქსური შემოწმება და არ მოწმდება მასში მითითებული ობიექტების არსებობა
- გ. სრულდება ბრძანებების მხოლოდ სინტაქსური შემოწმება და მოწმდება მასში მითითებული ობიექტების არსებობა

7.3.1.1.29. მიმართვების სისწორის შემოწმება ხდება შენახული პროცედურის:

- ა. სინტაქსური შემოწმების დროს
- ბ. შექმნის მომენტში
- გ. კომპილირების დროს

7.3.1.1.30. თუ შენახული პროცედურის გამოძახება არის ერთადერთი ბრძანება შესასრულებლად გადასაცემ პაკეტში, მაშინ:

- ა. აუცილებელია EXECUTE ბრძანების გამოყენება
- ბ. შენახული პროცედურა არ შესრულდება მხოლოდ მისი სახელის მითითებით
- გ. შენახული პროცედურა შესრულდება მხოლოდ მისი სახელის მითითებით

7.3.1.1.31. თუ შენახული პროცედურის გამოძახება არ არის ერთადერთი ბრძანება პაკეტში, მაშინ:

- ა. არ უნდა გამოვიყენოთ EXECUTE ბრძანება

- ბ. უნდა გამოვიყენოთ EXECUTE ბრძანება
- გ. შენახული პროცედურა შესრულდება მხოლოდ მისი სახელის მითითებით

7.3.1.1.32. EXECUTE ბრძანება უნდა გამოვიყენოთ აგრეთვე შენახული პროცედურის გამოძახებისას:

- ა. სხვა შენახული პროცედურიდან ან ტრიგერიდან
- ბ. სხვა ინდექსიდან
- გ. სხვა ცხრილიდან

7.3.1.1.33. EXECUTE ბრძანების OUTPUT არგუმენტის გამოყენება ნებადართულია იმ შემთხვევაში, როცა შესაბამისი პარამეტრი გამოცხადებული:

- ა. არ იყო OUTPUT სიტყვის გამოყენებით, შენახული პროცედურის შექმნის დროს
- ბ. იყო OUTPUT სიტყვის გამოყენებით, შენახული პროცედურის გამოძახების დროს
- გ. იყო OUTPUT სიტყვის გამოყენებით, შენახული პროცედურის შექმნის დროს

7.3.1.1.34. EXECUTE ბრძანების DEFAULT არგუმენტის გამოყენება ნებადართულია იმ შემთხვევაში, როცა შესაბამისი პარამეტრისათვის განსაზღვრული:

- ა. იყო ნაგულისხმევი მნიშვნელობა შენახული პროცედურის გამოძახების დროს
- ბ. იყო ნაგულისხმევი მნიშვნელობა შენახული პროცედურის შექმნის დროს
- გ. არ იყო ნაგულისხმევი მნიშვნელობა შენახული პროცედურის შექმნის დროს

7.3.1.1.35. შენახული პროცედურის გამოძახებისას პარამეტრების სახელები შეგვიძლია:

- ა. არ მივუთითოთ
- ბ. მივუთითოთ
- გ. წავშალოთ

7.3.1.1.36. შენახული პროცედურის გამოძახებისას პარამეტრების სახელები შეგვიძლია არ მივუთითოთ. ასეთ შემთხვევაში, პარამეტრების მნიშვნელობები ისეთივე მიმდევრობით:

- ა. უნდა მივუთითოთ, როგორც იყვნენ ჩამოთვლილი შენახული პროცედურის შექმნის დროს
- ბ. არ უნდა მივუთითოთ, როგორც იყვნენ ჩამოთვლილი შენახული პროცედურის შექმნის დროს
- გ. უნდა მივუთითოთ, როგორც არ იყვნენ ჩამოთვლილი შენახული პროცედურის შექმნის დროს

7.3.1.1.37. შენახული პროცედურის პარამეტრისათვის ავტომატური მნიშვნელობის მინიჭება, ჩამონათვალში მისი სახელის გამოტოვებით:

- ა. არ შეიძლება
- ბ. შეიძლება
- გ. ხანდახან შეიძლება

7.3.1.1.38. შენახული პროცედურის ბოლო პარამეტრი შეგვიძლია გამოვტოვოთ, თუ მათთვის:

- ა. განსაზღვრულია ავტომატური მნიშვნელობა
- ბ. განსაზღვრული არ არის ავტომატური მნიშვნელობა
- გ. განსაზღვრულია არავტომატური მნიშვნელობა

7.3.1.1.39. შენახული პროცედურის გამოძახებისას:

- ა. შეგვიძლია მივუთითოთ პარამეტრის სახელი მნიშვნელობასთან ერთად ან მხოლოდ მნიშვნელობა სახელის გარეშე
- ბ. არ შეგვიძლია მივუთითოთ პარამეტრის სახელი მნიშვნელობასთან ერთად ან მხოლოდ მნიშვნელობა სახელის გარეშე
- გ. შეგვიძლია მივუთითოთ პარამეტრის სახელი მნიშვნელობის გარეშე ან მხოლოდ მნიშვნელობა სახელთან ერთად

შენახული პროცედურების მართვა

შენახული პროცედურის შეცვლა

7.4.1.1.1. შენახული პროცედურის შესაცვლელად გამოიყენება:

- ა. ALTER PROCEDURE ბრძანება
- ბ. CREATE PROCEDURE ბრძანება
- გ. DELETE PROCEDURE ბრძანება

შენახული პროცედურის შესახებ ინფორმაციის მიღება

7.4.2.1.1. შენახული პროცედურის შესახებ ინფორმაციის მისაღებად:

- ა. უნდა გამოვიყენოთ sp_help პროცედურა
- ბ. არ უნდა გამოვიყენოთ sp_help პროცედურა
- გ. უნდა გამოვიყენოთ sp_rename პროცედურა

შენახული პროცედურის სახელის შეცვლა

7.4.3.1.1. შენახული პროცედურის სახელის შესაცვლელად:

- ა. გამოიყენება sp_rename ბრძანება
- ბ. გამოიყენება sp_help პროცედურა
- გ. გამოიყენება sp_procoption პროცედურა

შენახული პროცედურის წაშლა

7.4.4.1.1. შენახული პროცედურის წასაშლელად:

- ა. გამოიყენება DROP PROCEDURE ბრძანება
- ბ. გამოიყენება sp_help პროცედურა
- გ. გამოიყენება sp_rename ბრძანება

შენახული პროცედურის ავტომატურად შესრულების მართვა

7.4.5.1.1. შენახული პროცედურის ავტომატურად შესრულებისათვის:

- ა. საჭიროა მისი კონფიგურირება
- ბ. საჭირო არაა მისი კონფიგურირება
- გ. საჭიროა ტრიგერის კონფიგურირება

7.4.5.1.2. შენახული პროცედურის კონფიგურირება:

- ა. არ სრულდება მისი თვისებების ცვლილების გზით
- ბ. სრულდება მისი თვისებების ცვლილების გზით
- გ. სრულდება მისი თვისებების უცვლელობის გზით

7.4.5.1.3. შენახული პროცედურის კონფიგურირებისათვის:

- ა. გამოიყენება `sp_rename` ბრძანება
- ბ. გამოიყენება `DROP PROCEDURE` ბრძანება
- გ. გამოიყენება `sp_procoption` პროცედურა

თავი 8. ინდექსები

შესავალი

8.1.1.1.1. არაინდექსირებულ ცხრილში, რომელშიც ათასობით სტრიქონია, მონაცემების ძებნა:

- ა. დიდ დროს იკავებს
- ბ. მცირე დროს იკავებს
- გ. დროს არ იკავებს

8.1.1.1.2. მონაცემების ძებნის დაჩქარების მიზნით გამოიყენება:

- ა. ფუნქციები
- ბ. ინდექსები
- გ. ტრიგერები

8.1.1.1.3. ინდექსი არის მიმართვების ნაკრები, რომლებიც:

- ა. მოწესრიგებულია გარკვეული სტრიქონის მნიშვნელობების მიხედვით
- ბ. მოწესრიგებული არ არის გარკვეული სვეტის მნიშვნელობების მიხედვით
- გ. მოწესრიგებულია გარკვეული სვეტის მნიშვნელობების მიხედვით

8.1.1.1.4. ინდექსი მონაცემთა ბაზის:

- ა. დამოკიდებული ობიექტია
- ბ. დამოუკიდებელი ობიექტია
- გ. არანაირი ობიექტი არ არის

8.1.1.1.5. ინდექსი შეიძლება მოიცავდეს ცხრილის:

- ა. ერთ ან მეტ სვეტს
- ბ. არც ერთ სვეტს
- გ. მხოლოდ ერთ სვეტს

ინდექსების გამოყენების დაგეგმვა

8.2.1.1.1. როცა სრულდება სტრიქონების ცვლილება, მაშინ:

- ა. სრულდება მხოლოდ ინდექსების გაახლება
- ბ. სრულდება მხოლოდ მონაცემების გაახლება
- გ. საკუთრივ მონაცემების გაახლების გარდა, სრულდება ყველა ინდექსის გაახლება

8.2.1.1.2. ინდექსების გამოყენების უპირატესობაა:

- ა. მონაცემების ამორჩევის მნიშვნელოვანი დაჩქარება
- ბ. მონაცემების გაახლების (დამატების, შეცვლის და წაშლის) პროცესის შენელება
- გ. მონაცემების ამორჩევის მნიშვნელოვანი შენელება

8.2.1.1.3. ინდექსების გამოყენების ნაკლია:

- ა. მონაცემების ამორჩევის არცთუ მნიშვნელოვანი შენელება
- ბ. მონაცემების გაახლების (დამატების, შეცვლის და წაშლის) პროცესის შენელება
- გ. მონაცემების ამორჩევის მნიშვნელოვანი დაჩქარება

8.2.1.1.4. არ უნდა მოვახდინოთ იმ სვეტების ინდექსირება, რომლებიც:

- ა. არ ასრულებს არანაირ როლს მოთხოვნის შესრულების დროს
- ბ. ასრულებს არანაირ როლს მოთხოვნის შესრულების დროს
- გ. არ ასრულებს უმნიშვნელო როლს მოთხოვნის შესრულების დროს

8.2.1.1.5. ძალიან გრძელი სვეტების ინდექსირება, რომელთა სიგრძეა რამდენიმე ათეული სიმბოლო:

- ა. სასურველია
- ბ. არასასურველია
- გ. ხანდახან სასურველია

8.2.1.1.6. არსებობს ინდექსების:

- ა. ორი ტიპი: არაკლასტერული და უნიკალური
- ბ. ერთი ტიპი: უნიკალური
- გ. სამი ტიპი: კლასტერული, არაკლასტერული და უნიკალური

არაკლასტერული ინდექსი

8.2.2.1.1. არაკლასტერული ინდექსი:

- ა. ახდენს მიმართვების ორგანიზებას შესაბამის სტრიქონებზე
- ბ. არ ახდენს მიმართვების ორგანიზებას შესაბამის სტრიქონებზე
- გ. ახდენს მიმართვების ორგანიზებას შესაბამის სვეტებზე

8.2.2.1.2. ცხრილში საჭირო სტრიქონის იდენტიფიცირებისათვის არაკლასტერული ინდექსი:

- ა. არ ახდენს სპეციალური მიმთითებლების ორგანიზებას
- ბ. ახდენს სპეციალური მიმთითებლების ორგანიზებას
- გ. არაფერს არ აკეთებს

8.2.2.1.3. მიმთითებელი შეიცავს:

- ა. სამეზნი სტრიქონის ნომერს შესაბამის გვერდზე; სვეტის შემცველობას და ტრიგერების სახელებს
- ბ. ინფორმაციას იმ ფაილის საიდენტიფიკაციო ნომრის (IDfile) შესახებ, რომელშიც სტრიქონი ინახება; ინფორმაციას შენახული პროცედურების შესახებ
- გ. ინფორმაციას იმ ფაილის საიდენტიფიკაციო ნომრის (IDfile) შესახებ, რომელშიც სტრიქონი ინახება; სამეზნი სტრიქონის ნომერს შესაბამის გვერდზე; სვეტის შემცველობას

კლასტერული ინდექსი

8.2.3.1.1. კლასტერული ინდექსის (clustered index) გამოყენების დროს ცხრილში მონაცემების:

- ა. ფიზიკური განლაგება არ გადაეწყობა ინდექსის სტრუქტურის შესაბამისად
- ბ. ფიზიკური განლაგება გადაეწყობა ინდექსის სტრუქტურის შესაბამისად
- გ. ლოგიკური განლაგება გადაეწყობა ინდექსის სტრუქტურის შესაბამისად

8.2.3.1.2. კლასტერული ინდექსები მნიშვნელოვნად:

- ა. ზრდის მონაცემების ძეგლის მწარმოებლურობას

- ბ. ამცირებს მონაცემების ძეგლის მწარმოებლობას
- გ. ვერ ზრდის მონაცემების ძეგლის მწარმოებლობას

8.2.3.1.3. არაკლასტერული ინდექსის გამოყენების შემთხვევაში:

- ა. სერვერი აღარ მიმართავს ინდექსს და აღარ პოულობს საჭირო სტრიქონს ცხრილში
- ბ. აღარ შესრულდება ინდექსთან მიმართვის და სტრიქონის ძეგლის ზედმეტი ოპერაციები
- გ. სერვერი თავდაპირველად მიმართავს ინდექსს, შემდეგ პოულობს საჭირო სტრიქონს ცხრილში

8.2.3.1.4. კლასტერული ინდექსის გამოყენების შემთხვევაში, მონაცემების მომდევნო პორცია განლაგდება უშუალოდ მოძებნილი მონაცემების შემდეგ. შედეგად:

- ა. შესრულდება ინდექსთან მიმართვის და სტრიქონის ძეგლის ზედმეტი ოპერაციები
- ბ. აღარ შესრულდება ინდექსთან მიმართვის და სტრიქონის ძეგლის ზედმეტი ოპერაციები
- გ. სერვერი თავდაპირველად მიმართავს ინდექსს, შემდეგ პოულობს საჭირო სტრიქონს ცხრილში

8.2.3.1.5. კლასტერულ ინდექსად უნდა ავირჩიოთ ყველაზე:

- ა. ხშირად გამოყენებადი სვეტები
- ბ. იშვიათად გამოყენებადი სვეტები
- გ. ხშირად გამოყენებადი სტრიქონები

8.2.3.1.6. კლასტერული ინდექსი:

- ა. არ შეიძლება შეიცავდეს რამდენიმე სვეტს
- ბ. შეიძლება შეიცავდეს რამდენიმე სვეტს
- გ. შეიძლება შეიცავდეს მხოლოდ ერთ სვეტს

8.2.3.1.7. კლასტერული ინდექსში შემავალი სვეტების რაოდენობა შემლებისდაგვარად:

- ა. ძალიან ბევრი უნდა იყოს
- ბ. ბევრი უნდა იყოს
- გ. მცირე უნდა იყოს

8.2.3.1.8. კლასტერული ინდექსი ხშირად ცვალებადი სვეტებისათვის:

- ა. უნდა გამოვიყენოთ
- ბ. არ უნდა გამოვიყენოთ
- გ. ხანდახან უნდა გამოვიყენოთ

8.2.3.1.9. ხშირად ცვალებადი სვეტებისათვის უმჯობესია:

- ა. არაკლასტერული ინდექსის შექმნა
- ბ. კლასტერული ინდექსის შექმნა
- გ. არ შევქმნათ ინდექსი

8.2.3.1.10. ცხრილში პირველადი გასაღების შექმნისას სერვერი მისთვის ავტომატურად ქმნის კლასტერულ ინდექსს:

- ა. თუ ის იყო ადრე შექმნილი ან გასაღების განსაზღვრისას იყო აშკარად მითითებული ინდექსის სხვა ტიპი
- ბ. თუ ის არ იყო ადრე შექმნილი ან გასაღების განსაზღვრისას არ იყო აშკარად მითითებული ინდექსის სხვა ტიპი

გ. თუ ის იყო ადრე შექმნილი ან გასაღების განსაზღვრისას იყო ავტომატურად მითითებული ინდექსის სხვა ტიპი

8.2.3.1.11. თუ ცხრილში განსაზღვრულია კლასტერული და არაკლასტერული ინდექსები, მაშინ:

ა. კლასტერული ინდექსის მიმთითებელი მიმართავს სტრიქონის ლოგიკურ მდებარეობას, რომელიც ამ სტრიქონს აღწერს

ბ. კლასტერული ინდექსის მიმთითებელი მიმართავს სტრიქონის არა ფიზიკურ მდებარეობას, არამედ არაკლასტერული ინდექსის შესაბამის ელემენტს, რომელიც ამ სტრიქონს აღწერს

გ. არაკლასტერული ინდექსის მიმთითებელი მიმართავს სტრიქონის არა ფიზიკურ მდებარეობას, არამედ კლასტერული ინდექსის შესაბამის ელემენტს, რომელიც ამ სტრიქონს აღწერს

8.2.3.1.12. თუ არაკლასტერული ინდექსის აგებისას კლასტერული ინდექსი არ არის უნიკალური, მაშინ სერვერი:

ა. ავტომატურად უმატებს მას დამატებით მნიშვნელობებს, რომლებიც მას უნიკალურს ხდის

ბ. ავტომატურად არ უმატებს მას დამატებით მნიშვნელობებს, რომლებიც მას უნიკალურს არ ხდის

გ. არ უმატებს მას დამატებით მნიშვნელობებს

8.2.3.1.13. ცხრილში კლასტერული შეიძლება იყოს მხოლოდ:

ა. ორი ინდექსი

ბ. ერთი ინდექსი

გ. არც ერთი ინდექსი

უნიკალური ინდექსი

8.2.4.1.1. უნიკალური ინდექსები ინდექსირებულ ცხრილში მნიშვნელობების უნიკალურობის გარანტიას:

ა. ხანდახან იძლევა

ბ. არ იძლევა

გ. იძლევა

8.2.4.1.2. უნიკალური ინდექსი:

ა. შეიძლება რეალიზებული იყოს როგორც კლასტერული, ისე არაკლასტერული ინდექსისათვის

ბ. არ შეიძლება რეალიზებული იყოს როგორც კლასტერული, ისე არაკლასტერული ინდექსისათვის

გ. შეიძლება რეალიზებული იყოს მხოლოდ კლასტერული ინდექსისათვის

8.2.4.1.3. ერთ ცხრილში შეიძლება არსებობდეს:

ა. ერთი უნიკალური არაკლასტერული ინდექსი და რამდენიმე უნიკალური კლასტერული ინდექსი

ბ. ერთი უნიკალური კლასტერული ინდექსი და რამდენიმე უნიკალური არაკლასტერული ინდექსი

გ. რამდენიმე უნიკალური კლასტერული ინდექსი და მხოლოდ ერთი უნიკალური არაკლასტერული ინდექსი

8.2.4.1.4. მონაცემების მთლიანობის უზრუნველსაყოფად უმჯობესია:

- ა. UNIQUE ან PRIMARY KEY შეზღუდვების გამოყენება
- ბ. უნიკალური ინდექსის გამოყენება
- გ. არ გამოვიყენოთ ინდექსი

შევსების ფაქტორი

8.2.5.1.1. შევსების ფაქტორი განსაზღვრავს გვერდზე მონაცემების ჩაწერის:

- ა. სიმჭიდროვეს
- ბ. სიჩქარეს
- გ. სიხშირეს

8.2.5.1.2. შევსების ფაქტორი განსაზღვრავს:

- ა. მონაცემების ჩაწერის სიჩქარეს
- ბ. საინდექსო გვერდების თავისუფალი სივრცის რამდენი პროცენტი შეივსება მონაცემებით
- გ. საინდექსო გვერდების თავისუფალი სივრცის რამდენი პროცენტი არ შეივსება მონაცემებით

8.2.5.1.3. რაც მეტია შევსების ფაქტორი მით ნაკლები იქნება გვერდზე თავისუფალი სივრცე და მით უფრო კომპაქტურად იქნება განთავსებული ინფორმაცია ინდექსების შესახებ:

- ა. მით მეტი იქნება გვერდზე თავისუფალი სივრცე და მით უფრო ნაკლებ კომპაქტურად იქნება განთავსებული ინფორმაცია ინდექსების შესახებ
- ბ. მით მეტი იქნება გვერდზე თავისუფალი სივრცე და მით უფრო კომპაქტურად იქნება განთავსებული ინფორმაცია ინდექსების შესახებ
- გ. მით ნაკლები იქნება გვერდზე თავისუფალი სივრცე და მით უფრო კომპაქტურად იქნება განთავსებული ინფორმაცია ინდექსების შესახებ

8.2.5.1.4. თუ ცხრილი ძირითადად გამოიყენება მხოლოდ წაკითხვისათვის, მაშინ უმჯობესია შევსების ფაქტორი დავაყენოთ:

- ა. 100%-თან ახლოს
- ბ. 50%-თან ახლოს
- გ. 10%-თან ახლოს

8.2.5.1.5. თუ ცხრილში მონაცემები ხშირად იცვლება, მაშინ შევსების ფაქტორი:

- ა. უნდა იყოს ძალიან დიდი
- ბ. უნდა იყოს დიდი როგორც მონაცემებისათვის, ისე ინდექსებისათვის
- გ. არ უნდა იყოს დიდი როგორც მონაცემებისათვის, ისე ინდექსებისათვის

8.2.5.1.6. თუ ინტენსიურად გამოიყენება ცხრილში დავაყენებთ მაღალი შეფასების ფაქტორს, მაშინ სერვერი იძულებული იქნება:

- ა. ხშირად შეასრულოს გვერდების დახლეჩა ახალი მონაცემების ჩასმის მიზნით
- ბ. იშვიათად შეასრულოს გვერდების დახლეჩა ახალი მონაცემების ჩასმის მიზნით
- გ. არ შეასრულოს გვერდების დახლეჩა ახალი მონაცემების ჩასმის მიზნით

8.2.5.1.7. ცხრილში მონაცემების ცვლილებასა და დამატებასთან ერთად:

- ა. არ იცვლება გვერდების შევსების ხარისხი
- ბ. იცვლება გვერდების შევსების ხარისხი
- გ. იცვლება გვერდების შევსების სისწრაფე

8.2.5.1.8. ინდექსის ზომის შემცირების მიზნით, პერიოდულად საჭირო:

- ა. ხდება ინდექსის წაშლა
- ბ. არ ხდება ინდექსის გადაწყობა
- გ. ხდება ინდექსის გადაწყობა

ინდექსის შექმნა

8.3.1.1.1. ინდექსის შექმნის უფლება აქვს:

- ა. მხოლოდ ფუნქციის მფლობელს
- ბ. მხოლოდ ცხრილის მფლობელს
- გ. მხოლოდ შენახული პროცედურის მფლობელს

8.3.1.1.2. ინდექსის შექმნის უფლების გადაცემა სხვა მომხმარებლისათვის:

- ა. არ შეიძლება
- ბ. შეიძლება
- გ. ხანდახან შეიძლება

8.3.1.1.3. პირველადი გასაღების შექმნისას:

- ა. ინდექსი ხანდახან იქმნება
- ბ. ინდექსი ავტომატურად არ იქმნება
- გ. ინდექსი ავტომატურად იქმნება

8.3.1.1.4. ინდექსი ავტომატურად იქმნება:

- ა. CREATE DATABASE ბრძანების შესრულებისას
- ბ. UNIQUE შეზღუდვის განსაზღვრისას
- გ. DROP TABLE ბრძანების შესრულებისას

8.3.1.1.5. ინდექსის შესაქმნელად გამოიყენება:

- ა. DROP TABLE ბრძანება
- ბ. CREATE DATABASE ბრძანება
- გ. CREATE INDEX ბრძანება

8.3.1.1.6. CREATE INDEX ბრძანებაში UNIQUE არგუმენტის მითითების შემთხვევაში:

- ა. არ შეიქმნება უნიკალური ინდექსი
- ბ. შეიქმნება უნიკალური ინდექსი
- გ. შეიქმნება არაუნიკალური ინდექსი

8.3.1.1.7. უნიკალური ინდექსის შექმნისას სერვერი:

- ა. ასრულებს სვეტის წინასწარ შემოწმებას მნიშვნელობების უნიკალურობაზე
- ბ. არ ასრულებს სვეტის წინასწარ შემოწმებას მნიშვნელობების უნიკალურობაზე
- გ. არაფერს არ აკეთებს

8.3.1.1.8. თუ უნიკალური ინდექსის შექმნისას სვეტში არის ორი ერთნაირი მნიშვნელობა, მაშინ:

- ა. ინდექსი არ შეიქმნება და არ გაიცემა შეტყობინება შეცდომის შესახებ
- ბ. ინდექსი შეიქმნება და გაიცემა შეტყობინება შეცდომის შესახებ
- გ. ინდექსი არ შეიქმნება და გაიცემა შეტყობინება შეცდომის შესახებ

8.3.1.1.9. თუ ინდექსი შედგენილია ანუ შეიცავს ორ ან მეტ სვეტს, მაშინ უნიკალური:

- ა. არ უნდა იყოს ყველა საინდექსირებელი სვეტის მნიშვნელობების ერთობლიობა ცხრილის ან წარმოდგენის თითოეულ სტრიქონში
- ბ. უნდა იყოს ყველა საინდექსირებელი სვეტის მნიშვნელობების ერთობლიობა ცხრილის ან წარმოდგენის თითოეულ სტრიქონში
- გ. უნდა იყოს ყველა საინდექსირებელი სვეტის მნიშვნელობების ერთობლიობა ცხრილის ან წარმოდგენის თითოეულ სვეტში

8.3.1.1.10. საინდექსირებელ სვეტში სასურველია აგრეთვე NULL მნიშვნელობის შენახვის აკრძალვა, რათა:

- ა. ავიცილოთ სტრიქონებში მონაცემების გამეორება
- ბ. ავიცილოთ სვეტებში მონაცემების გამეორება
- გ. ავიცილოთ მნიშვნელობების უნიკალურობასთან დაკავშირებული პრობლემები

8.3.1.1.11. თუ სვეტში გვხვდება ორი NULL მნიშვნელობა, მაშინ სერვერი მას:

- ა. ორ ერთნაირ მნიშვნელობად ჩათვლის
- ბ. ორ სხვადასხვა მნიშვნელობად ჩათვლის
- გ. სამ ერთნაირ მნიშვნელობად ჩათვლის

8.3.1.1.12. უნიკალური ინდექსის განსაზღვრის შემდეგ სერვერი არ შეგვასრულებინებს ისეთ INSERT ან UPDATE ბრძანებას, რომელიც გამოიწვევს:

- ა. ორი ერთნაირი მნიშვნელობის არსებობას
- ბ. ორი სხვადასხვა მნიშვნელობის არსებობას
- გ. სამი ერთნაირი მნიშვნელობის არსებობას

8.3.1.1.13. CREATE INDEX ბრძანებაში CLUSTERED არგუმენტი მიუთითებს, რომ შესაქმნელი ინდექსი იქნება:

- ა. არაკლასტერული
- ბ. კლასტერული
- გ. როგორც კლასტერული, ისე არაკლასტერული

8.3.1.1.14. CREATE INDEX ბრძანებაში NONCLUSTERED მიუთითებს, რომ შესაქმნელი ინდექსი იქნება:

- ა. არაკლასტერული
- ბ. კლასტერული
- გ. როგორც კლასტერული, ისე არაკლასტერული

8.3.1.1.15. თუ CREATE INDEX ბრძანებაში მითითებულია ერთზე მეტი სვეტი, მაშინ ინდექსი:

- ა. იქნება შედგენილი

- ბ. არ იქნება შედგენილი
- გ. იქნება შეუდგენელი

8.3.1.1.16. ერთი შედგენილი ინდექსი შეიძლება შეიცავდეს:

- ა. 64-მდე სვეტს
- ბ. 16-მდე სვეტს
- გ. 8-მდე სვეტს

8.3.1.1.17. ინდექსის აგება:

- ა. დასაშვებია text, ntext ან image ტიპის მქონე სვეტების ბაზაზე
- ბ. დაუშვებელია text, ntext ან image ტიპის მქონე სვეტების ბაზაზე
- გ. დაუშვებელია int და nvarchar ტიპის მქონე სვეტების ბაზაზე

8.3.1.1.18. ინდექსში სვეტების სახელების მითითების მიმდევრობა გავლენას:

- ა. ახდენს მოთხოვნების შესრულების სიხშირეზე
- ბ. არ ახდენს მოთხოვნების შესრულების მწარმოებლურობაზე
- გ. ახდენს მოთხოვნების შესრულების მწარმოებლურობაზე

8.3.1.1.19. მაქსიმალური მწარმოებლურობის უზრუნველსაყოფად რეკომენდებულია:

- ა. მხოლოდ იმ სვეტების მითითება, რომლებსაც მაქსიმალური სიგრძე აქვს
- ბ. თავდაპირველად იმ სვეტების სახელების მითითება, რომლებსაც მაქსიმალური სიგრძე აქვს, შემდეგ იმ სვეტების სახელების მითითება, რომლებსაც მინიმალური სიგრძე აქვს
- გ. თავდაპირველად იმ სვეტების სახელების მითითება, რომლებსაც მინიმალური სიგრძე აქვს, შემდეგ იმ სვეტების სახელების მითითება, რომლებსაც მაქსიმალური სიგრძე აქვს

8.3.1.1.20. CREATE INDEX ბრძანებაში [ASC | DESC] არგუმენტი ინდექსში:

- ა. არ განსაზღვრავს საკვანძო ელემენტების დახარისხების მეთოდს
- ბ. განსაზღვრავს საკვანძო ელემენტების დახარისხების მეთოდს
- გ. განსაზღვრავს ინდექსის შექმნის მეთოდს

8.3.1.1.21. CREATE INDEX ბრძანებაში თუ მითითებულია ASC არგუმენტი, მაშინ მონაცემები დალაგდება:

- ა. კლებადობის მიხედვით
- ბ. ზრდადობის მიხედვით
- გ. არც ზრდადობით და არც კლებადობით

8.3.1.1.22. CREATE INDEX ბრძანებაში თუ მითითებულია DESC არგუმენტი, მაშინ მონაცემები დალაგდება:

- ა. კლებადობის მიხედვით
- ბ. ზრდადობის მიხედვით
- გ. არც ზრდადობით და არც კლებადობით

8.3.1.1.23. CREATE INDEX ბრძანებაში ავტომატურად:

- ა. იგულისხმება როგორც ASC, ისე DESC
- ბ. იგულისხმება DESC
- გ. იგულისხმება ASC

8.3.1.1.24. CREATE INDEX ბრძანებაში PAD_INDEX არგუმენტის მითითების შედეგად სერვერი ინდექსის თითოეული გვერდზე:

- ა. არ მოახდენს თავისუფალი სივრცის რეზერვირებას ახალი სტრიქონების ჩასმისათვის
- ბ. მოახდენს თავისუფალი სივრცის რეზერვირებას ახალი სტრიქონების ჩასმისათვის
- გ. მოახდენს თავისუფალი სივრცის რეზერვირებას ახალი სვეტების ჩასმისათვის

8.3.1.1.25. CREATE INDEX ბრძანებაში PAD_INDEX არგუმენტი უნდა გამოვიყენოთ:

- ა. FILLFACTOR არგუმენტთან ერთად
- ბ. FILLFACTOR არგუმენტის გარეშე
- გ. ყველა არგუმენტის გარეშე

8.3.1.1.26. CREATE INDEX ბრძანებაში 'FILLFACTOR = შევსების_ფაქტორი' აგრუმენტი:

- ა. განსაზღვრავს საინდექსო გვერდების შევსების ხარისხს და აზრი არ აქვს მხოლოდ ინდექსის შექმნის დროს
- ბ. განსაზღვრავს საინდექსო გვერდების შევსების ხარისხს და აზრი აქვს მხოლოდ ინდექსის შექმნის დროს
- გ. არ განსაზღვრავს საინდექსო გვერდების შევსების ხარისხს და აზრი აქვს მხოლოდ ინდექსის შექმნის დროს

8.3.1.1.27. თუ უნიკალური ინდექსის შექმნისას (როგორც კლასტერული, ისე არაკლასტერული) მითითებული იყო IGNORE_DUP_KEY არგუმენტი, მაშინ იმ ოპერაციის შესრულებისას, რომელიც იწვევს დუბლირებული მნიშვნელობების შექმნას, სერვერი:

- ა. გასცემს შეტყობინებას შეცდომის შესახებ და გააუქმებს მხოლოდ იმ სტრიქონების შეცვლას, რომლებმაც დუბლირება გამოიწვია
- ბ. არ გასცემს შეტყობინებას შეცდომის შესახებ და გააუქმებს მხოლოდ იმ სტრიქონების შეცვლას, რომლებმაც დუბლირება გამოიწვია
- გ. გასცემს შეტყობინებას შეცდომის შესახებ და არ გააუქმებს მხოლოდ იმ სტრიქონების შეცვლას, რომლებმაც დუბლირება გამოიწვია

8.3.1.1.28. თუ უნიკალური ინდექსის შექმნისას (როგორც კლასტერული, ისე არაკლასტერული) IGNORE_DUP_KEY არგუმენტი არ იყო მითითებული, მაშინ იმ ოპერაციის შესრულებისას, რომელიც იწვევს დუბლირებული მნიშვნელობების შექმნას, სერვერი:

- ა. არ გასცემს შეტყობინებას შეცდომის შესახებ, მაგრამ აუქმებს ყველა ცვლილებას
- ბ. გასცემს შეტყობინებას შეცდომის შესახებ, მაგრამ აუქმებს ყველა ცვლილებას
- გ. გასცემს შეტყობინებას შეცდომის შესახებ, მაგრამ არ აუქმებს ყველა ცვლილებას

8.3.1.1.29. თუ ცხრილში განსაზღვრული იყო ინდექსი იმავე სახელით, როგორც შესაქმნელ ინდექსს ექნება, მაშინ DROP_EXISTING არგუმენტის გამოყენება:

- ა. გამოიწვევს არსებული ინდექსის ახლით შეცვლას და არ შეასრულებს მის გადაწყობას
- ბ. არ გამოიწვევს არსებული ინდექსის ახლით შეცვლას და შეასრულებს მის გადაწყობას
- გ. გამოიწვევს არსებული ინდექსის ახლით შეცვლას და შეასრულებს მის გადაწყობას

8.3.1.1.30. CREATE INDEX ბრძანებაში DROP_EXISTING არგუმენტის გამოყენება განსაკუთრებით ეფექტურია კლასტერული ინდექსების გადაწყობის დროს მაშინ, როცა ცხრილში:

- ა. არაკლასტერული ინდექსების დიდი რაოდენობაა

- ბ. კლასტერული ინდექსების დიდი რაოდენობაა
- გ. კლასტერული და არაკლასტერული ინდექსების დიდი რაოდენობაა

8.3.1.1.31. თუ ჯერ წავშლით კლასტერულ ინდექსს, სერვერს მოუწევს ყველა:

- ა. არაკლასტერული ინდექსის სტრუქტურის გადაწყობა, რათა შეცვალოს ცხრილის სტრიქონებზე მიმართვები
- ბ. კლასტერული ინდექსის სტრუქტურის გადაწყობა, რათა შეცვალოს ცხრილის სტრიქონებზე მიმართვები
- გ. კლასტერული და არაკლასტერული ინდექსის სტრუქტურის გადაწყობა, რათა შეცვალოს ცხრილის სტრიქონებზე მიმართვები

8.3.1.1.32. CREATE INDEX ბრძანებაში DROP_EXISTING არგუმენტის მითითების შემთხვევაში სერვერი:

- ა. არ შეასრულებს არაკლასტერული ინდექსების შუალედურ გადაწყობას, რაც მკვეთრად ზრდის ინდექსის შექმნის სიჩქარეს
- ბ. შეასრულებს არაკლასტერული ინდექსების შუალედურ გადაწყობას, რაც მკვეთრად ზრდის ინდექსის შექმნის სიჩქარეს
- გ. არ შეასრულებს არაკლასტერული ინდექსების შუალედურ გადაწყობას, რაც მკვეთრად ამცირებს ინდექსის შექმნის სიჩქარეს

8.3.1.1.33. CREATE INDEX ბრძანებაში DROP_EXISTING არგუმენტის გამოყენება ნებადართულია მაშინ, როცა მონაცემთა ბაზაში ცხრილისთვის ან წარმოდგენისთვის:

- ა. არ არსებობს ამავე სახელის მქონე ინდექსი
- ბ. უკვე არსებობს ამავე სახელის მქონე ინდექსი
- გ. საერთოდ არ არსებობს ინდექსი

8.3.1.1.34. თუ CREATE INDEX ბრძანებაში STATISTICS_NORECOMPUTE არგუმენტი იღებს ON მნიშვნელობას, მაშინ:

- ა. ვადაგასული სტატისტიკა ავტომატურად გამოითვლება
- ბ. ვადაგასული სტატისტიკა ავტომატურად არ გამოითვლება
- გ. შესაძლებელია სტატისტიკის ავტომატური გაახლება

8.3.1.1.35. თუ CREATE INDEX ბრძანებაში STATISTICS_NORECOMPUTE არგუმენტი იღებს OFF მნიშვნელობას, მაშინ:

- ა. ვადაგასული სტატისტიკა ავტომატურად არ გამოითვლება
- ბ. შეუძლებელია სტატისტიკის ავტომატური გაახლება
- გ. შესაძლებელია სტატისტიკის ავტომატური გაახლება

8.3.1.1.36. ინდექსი ყოველთვის იქმნება:

- ა. მხოლოდ არამიმდინარე მონაცემთა ბაზის ცხრილის ან წარმოდგენისათვის
- ბ. master მონაცემთა ბაზის ცხრილის ან წარმოდგენისათვის
- გ. მხოლოდ მიმდინარე მონაცემთა ბაზის ცხრილის ან წარმოდგენისათვის

ინდექსების მართვა

ინდექსის შეცვლა

8.4.1.1.1. ცხრილის ან წარმოდგენის ინდექსის შესაცვლელად გამოიყენება:

- ა. ALTER INDEX ბრძანება
- ბ. CREATE INDEX ბრძანება
- გ. DROP INDEX ბრძანება

8.4.1.1.2. ALTER INDEX ბრძანების ALL არგუმენტი მიუთითებს, რომ:

- ა. არ უნდა შეიცვალოს ცხრილთან ან წარმოდგენასთან დაკავშირებული ყველა ინდექსი
- ბ. უნდა შეიცვალოს ცხრილთან ან წარმოდგენასთან დაკავშირებული ყველა ინდექსი
- გ. უნდა შეიცვალოს ცხრილთან ან წარმოდგენასთან დაკავშირებული ინდექსების ნაწილი

8.4.1.1.3. ALTER INDEX ბრძანების REBUILD არგუმენტი მიუთითებს, რომ:

- ა. არ უნდა შესრულდეს ინდექსის ხელახალი აგება
- ბ. უნდა შესრულდეს ინდექსის ხელახალი აგება
- გ. უნდა შესრულდეს ინდექსის წაშლა

8.4.1.1.4. თუ ALTER INDEX ბრძანების SORT_IN_TEMPDB არგუმენტი იღებს ON მნიშვნელობას, მაშინ:

- ა. master მონაცემთა ბაზაში შეინახება დახარისხების შუალედური შედეგები, რომლებიც გამოყენებული იქნება ინდექსის ასაგებად
- ბ. დახარისხების შუალედური შედეგები მოთავსდება იმავე მონაცემთა ბაზაში, რომელშიც ინდექსი
- გ. tempdb მონაცემთა ბაზაში შეინახება დახარისხების შუალედური შედეგები, რომლებიც გამოყენებული იქნება ინდექსის ასაგებად

8.4.1.1.5. თუ ALTER INDEX ბრძანების SORT_IN_TEMPDB არგუმენტი იღებს OFF მნიშვნელობას, მაშინ:

- ა. tempdb მონაცემთა ბაზაში შეინახება დახარისხების შუალედური შედეგები, რომლებიც გამოყენებული იქნება ინდექსის ასაგებად
- ბ. დახარისხების შუალედური შედეგები მოთავსდება იმავე მონაცემთა ბაზაში, რომელშიც ინდექსი
- გ. დახარისხების შუალედური შედეგები არ მოთავსდება იმავე მონაცემთა ბაზაში, რომელშიც ინდექსი

ინდექსისთვის სახელის შეცვლა

8.4.2.1.1. ინდექსისთვის სახელის შესაცვლელად გამოიყენება:

- ა. sp_rename შენახული პროცედურა
- ბ. sp_help შენახული პროცედურა
- გ. DROP INDEX ბრძანება

ინდექსის წაშლა

8.4.3.1.1. ინდექსის წასაშლელად გამოიყენება:

- ა. sp_rename შენახული პროცედურა

- ბ. sp_help შენახული პროცედურა
- გ. DROP INDEX ბრძანება

8.4.3.1.2. ერთი DROP INDEX ბრძანებით:

- ა. შეიძლება რამდენიმე ინდექსის წაშლა ნებისმიერ ცხრილში
- ბ. არ შეიძლება რამდენიმე ინდექსის წაშლა ნებისმიერ ცხრილში
- გ. შეიძლება მხოლოდ ერთი ინდექსის წაშლა ნებისმიერ ცხრილში

ინდექსების გადაწყობა

8.4.4.1.1. დროთა განმავლობაში საინდექსო ცხრილების შევსების ხარისხი მნიშვნელოვნად იცვლება, რასაც:

- ა. არ მივყავართ ცხრილში მონაცემების დამატებისა და შეცვლის ოპერაციების მწარმოებლურობის დაქვეითებასთან
- ბ. მივყავართ ცხრილში მონაცემების დამატებისა და შეცვლის ოპერაციების მწარმოებლურობის ამაღლებასთან
- გ. მივყავართ ცხრილში მონაცემების დამატებისა და შეცვლის ოპერაციების მწარმოებლურობის დაქვეითებასთან

8.4.4.1.2. დროთა განმავლობაში საინდექსო ცხრილების შევსების ხარისხი მნიშვნელოვნად იცვლება, რასაც მივყავართ ცხრილში მონაცემების დამატებისა და შეცვლის ოპერაციების მწარმოებლურობის დაქვეითებასთან. ასეთ შემთხვევებში:

- ა. უნდა შევასრულოთ ინდექსის გადაწყობა საინდექსო გვერდებზე თავისუფალი ადგილის გაუქმების მიზნით
- ბ. უნდა შევასრულოთ ინდექსის გადაწყობა საინდექსო გვერდებზე თავისუფალი ადგილის მოწესრიგების მიზნით
- გ. არ უნდა შევასრულოთ ინდექსის გადაწყობა საინდექსო გვერდებზე თავისუფალი ადგილის მოწესრიგების მიზნით

8.4.4.1.3. ინდექსის გადაწყობის გზით:

- ა. შესაძლებელია ინდექსში შემავალი სვეტების შედგენილობის შეცვლა
- ბ. შესაძლებელია ინდექსში შემავალი სვეტების შედგენილობის გაუქმება
- გ. შეუძლებელია ინდექსში შემავალი სვეტების შედგენილობის შეცვლა

8.4.4.1.4. ინდექსის გადაწყობის ერთ-ერთი გზაა:

- ა. ინდექსისთვის სახელის შეცვლა
- ბ. ინდექსის წაშლა
- გ. ინდექსის წაშლა და მისი ხელახლა შექმნა

8.4.4.1.5. ინდექსის გადაწყობის ეფექტური გზაა:

- ა. ინდექსის წაშლა და მისი ხელახლა შექმნა
- ბ. CREATE INDEX ბრძანებაში DROP_EXISTING არგუმენტის მითითება
- გ. ინდექსისთვის სახელის შეცვლა

8.4.4.1.6. ინდექსის გადაწყობის მესამე გზაა:

- ა. DBCC DBREINDEX ბრძანების გამოყენება
- ბ. sp_rename შენახული პროცედურის გამოყენება

გ. sp_help შენახული პროცედურის გამოყენება

ინდექსის შესახებ ინფორმაციის მიღება

8.4.5.1.1. ინდექსების შესახებ ინფორმაციის მისაღებად გამოიყენება:

- ა. sp_helpindex შენახული პროცედურა
- ბ. sp_help შენახული პროცედურის გამოყენება
- გ. sp_rename შენახული პროცედურის გამოყენება

8.4.5.1.2. ინდექსის თვისებების სანახავად გამოიყენება:

- ა. sp_rename შენახული პროცედურის გამოყენება
- ბ. INDEXPROPERTY ბრძანება
- გ. DBCC DBREINDEX ბრძანების გამოყენება

8.4.5.1.3. თუ ინდექსის თვისება დაყენებულია, მაშინ გაიცემა:

- ა. NULL
- ბ. 0
- გ. 1

8.4.5.1.4. თუ ინდექსის თვისება დაყენებული არაა, მაშინ გაიცემა:

- ა. NULL
- ბ. 0
- გ. 1

8.4.5.1.5. თუ ინდექსის თვისების მდგომარეობის განსაზღვრა შეუძლებელია, მაშინ გაიცემა:

- ა. NULL
- ბ. 0
- გ. 1

8.4.5.1.6. თუ ინდექსის Is Clustered თვისება 1 მდგომარეობაშია, მაშინ ინდექსი:

- ა. კლასტერულია
- ბ. არაკლასტერულია
- გ. განუსაზღვრელია

8.4.5.1.7. თუ ინდექსის Is Clustered თვისება 0 მდგომარეობაშია, მაშინ ინდექსი:

- ა. კლასტერულია
- ბ. არაკლასტერულია
- გ. განუსაზღვრელია

8.4.5.1.8. თუ ინდექსის Is Unique თვისება 1 მდგომარეობაშია, მაშინ ინდექსი:

- ა. არის უნიკალური და არაუნიკალური
- ბ. არ არის უნიკალური
- გ. უნიკალურია

8.4.5.1.9. თუ ინდექსის Is Unique თვისება 0 მდგომარეობაშია, მაშინ ინდექსი:

- ა. არ არის უნიკალური

- ბ. უნიკალურია
- გ. არის უნიკალური და არაუნიკალური

თავი 9. წარმოდგენები

შესავალი

9.1.1.1.1. წარმოდგენა არის:

- ა. ლოგიკური ცხრილი
- ბ. ფიზიკური ცხრილი
- გ. ვირტუალური ცხრილი

9.1.1.1.2. წარმოდგენა შედგება სვეტებისა და სტრიქონებისაგან, რომლებიც:

- ა. დინამიკურად ამოირჩევა ერთი ან მეტი ცხრილიდან და/ან წარმოდგენიდან
- ბ. სტატიკურად ამოირჩევა ერთი ან მეტი ცხრილიდან ან წარმოდგენიდან
- გ. დინამიკურად ამოირჩევა მხოლოდ ორი ცხრილიდან

9.1.1.1.3. ფიზიკურად წარმოდგენას აქვს:

- ა. INSERT მოთხოვნის სახე, რომლის საფუძველზე სრულდება მონაცემების ამორჩევა
- ბ. SELECT მოთხოვნის სახე, რომლის საფუძველზე სრულდება მონაცემების ამორჩევა
- გ. UPDATE მოთხოვნის სახე, რომლის საფუძველზე სრულდება მონაცემების ამორჩევა

9.1.1.1.4. ერთი წარმოდგენა შეიძლება შეიცავდეს:

- ა. 64-მდე სვეტს
- ბ. 128-მდე სვეტს
- გ. 1024-მდე სვეტს

9.1.1.1.5. თუ წარმოდგენაში ჩართული არ არის ცხრილის რომელიმე სვეტი, მაშინ ცხრილზე დადებულია:

- ა. ვერტიკალური ფილტრი
- ბ. ჰორიზონტალური ფილტრი
- გ. დიაგონალური ფილტრი

9.1.1.1.6. თუ მოთხოვნა შეიცავს სტრიქონების ამორჩევის პირობებს, მაშინ ცხრილზე დადებულია:

- ა. დიაგონალური ფილტრი
- ბ. ჰორიზონტალური ფილტრი
- გ. ვერტიკალური ფილტრი

9.1.1.1.7. წარმოდგენა ზმული ცხრილების სვეტებს:

- ა. შეიძლება შეიცავდეს
- ბ. არ შეიძლება შეიცავდეს
- გ. არ უნდა შეიცავდეს

9.1.1.1.8. წარმოდგენასთან მიმართვის დროს სერვერი:

- ა. არ ამოწმებს იმ ობიექტების არსებობას, რომლებიც საჭიროა წარმოდგენის განმსაზღვრელი SELECT მოთხოვნის შესასრულებლად
- ბ. ამოწმებს იმ ობიექტების არსებობას, რომლებიც საჭიროა წარმოდგენის განმსაზღვრელი UPDATE მოთხოვნის შესასრულებლად
- გ. ამოწმებს იმ ობიექტების არსებობას, რომლებიც საჭიროა წარმოდგენის განმსაზღვრელი SELECT მოთხოვნის შესასრულებლად

9.1.1.1.9. თუ SELECT მოთხოვნაში მითითებული რომელიმე ცხრილი წაშლილია, მაშინ წარმოდგენა:

- ა. ვერ იმუშავებს და არ გაიცემა შეტყობინება შეცდომის შესახებ
- ბ. მაინც იმუშავებს და გაიცემა შეტყობინება შეცდომის შესახებ
- გ. ვერ იმუშავებს და გაიცემა შეტყობინება შეცდომის შესახებ

9.1.1.1.10. წარმოდგენა ყოველთვის იქმნება მიმდინარე მონაცემთა ბაზაში:

- ა. model მონაცემთა ბაზაში
- ბ. master მონაცემთა ბაზაში
- გ. მიმდინარე მონაცემთა ბაზაში

9.1.1.1.11. განაწილებული მოთხოვნების გამოყენებით:

- ა. შეგვიძლია მივმართოთ მიმდინარე სერვერის სხვა მონაცემთა ბაზებში შექმნილ ცხრილებს და არ შეგვიძლია მივმართოთ წარმოდგენებს
- ბ. არ შეგვიძლია მივმართოთ მიმდინარე სერვერის სხვა მონაცემთა ბაზებში შექმნილ ცხრილებსა და წარმოდგენებს
- გ. შეგვიძლია მივმართოთ მიმდინარე სერვერის სხვა მონაცემთა ბაზებში შექმნილ ცხრილებსა და წარმოდგენებს

9.1.1.1.12. ერთი მომხმარებლის წარმოდგენებს:

- ა. ხანდახან შეიძლება ერთნაირი სახელები ჰქონდეს
- ბ. ერთნაირი სახელები უნდა ჰქონდეს
- გ. სხვადასხვა სახელები უნდა ჰქონდეს

9.1.1.1.13. წარმოდგენისა და ცხრილის სახელი ერთმანეთს:

- ა. ხანდახან შეიძლება ემთხვეოდეს
- ბ. არ უნდა ემთხვეოდეს
- გ. უნდა ემთხვეოდეს

9.1.1.1.14. თუ წარმოდგენაში სვეტი მიღებულია არითმეტიკული გამოსახულების გამოთვლის გზით, მაშინ:

- ა. წარმოდგენის სვეტს სახელი უნდა მივანიჭოთ
- ბ. წარმოდგენის სტრიქონს სახელი უნდა მივანიჭოთ
- გ. წარმოდგენის სვეტს სახელი არ უნდა მივანიჭოთ

9.1.1.1.15. თუ წარმოდგენაში ორ ან მეტ სვეტს შეიძლება ჰქონდეს ერთნაირი სახელები, მაშინ:

- ა. წარმოდგენის სვეტს სახელი უნდა მივანიჭოთ
- ბ. წარმოდგენის სვეტს სახელი არ უნდა მივანიჭოთ
- გ. წარმოდგენის სტრიქონს სახელი უნდა მივანიჭოთ

9.1.1.1.16. წარმოდგენა დროებით ცხრილებს:

- ა. შეიძლება მიმართავდეს
- ბ. არ შეიძლება მიმართავდეს
- გ. ხანდახან შეიძლება მიმართავდეს

9.1.1.1.17. დროებითი წარმოდგენის შექმნა:

- ა. შეიძლება
- ბ. ხანდახან შეიძლება
- გ. არ შეიძლება

9.1.1.1.18. რადგან წარმოდგენა მონაცემებს სხვადასხვა ცხრილიდან და წარმოდგენიდან ირჩევს, ამიტომ მისთვის:

- ა. არ შეიძლება განისაზღვროს მთლიანობაზე შეზღუდვები, ტრიგერები და ავტომატური მნიშვნელობები
- ბ. შეიძლება განისაზღვროს მთლიანობაზე შეზღუდვები, ტრიგერები და ავტომატური მნიშვნელობები
- გ. არ შეიძლება განისაზღვროს მხოლოდ მთლიანობაზე შეზღუდვები

9.1.1.1.19. წარმოდგენისთვის ჩვეულებრივი ან სრულტექსტოვანი ინდექსის შექმნა:

- ა. შეიძლება
- ბ. არ შეიძლება
- გ. ხანდახან შეიძლება

9.1.1.1.20. წარმოდგენის სვეტებისათვის ავტომატური მნიშვნელობები:

- ა. ხანდახან შეიძლება განვსაზღვროთ
- ბ. შეიძლება განვსაზღვროთ
- გ. არ შეიძლება განვსაზღვროთ

9.1.1.1.21. წარმოდგენისთვის SELECT მოთხოვნის განსაზღვრისას:

- ა. არ შეიძლება მხოლოდ OPTION, ORDER BY განყოფილებების გამოყენება
- ბ. შეიძლება OPTION, ORDER BY, COMPUTE BY, COMPUTE და INTO განყოფილებების გამოყენება
- გ. არ შეიძლება OPTION, ORDER BY, COMPUTE BY, COMPUTE და INTO განყოფილებების გამოყენება

9.1.1.1.22. წარმოდგენის საშუალებით:

- ა. არ შეიძლება მონაცემების ცვლილება იმ ცხრილებში, რომლებიც წარმოდგენაში მონაწილეობს
- ბ. შეიძლება მონაცემების ცვლილება იმ ცხრილებში, რომლებიც წარმოდგენაში მონაწილეობს
- გ. შეიძლება მონაცემების ცვლილება იმ ცხრილებში, რომლებიც წარმოდგენაში არ მონაწილეობს

9.1.1.1.23. წარმოდგენის საშუალებით რამდენიმე ცხრილში მონაცემების შეცვლა:

- ა. არ შეიძლება
- ბ. შეიძლება
- გ. ხანდახან შეიძლება

9.1.1.1.24. ერთმა UPDATE ან INSERT ბრძანებამ მონაცემები წარმოდგენის:

- ა. მხოლოდ ერთ ცხრილში უნდა შეცვალოს
- ბ. მხოლოდ ორ ცხრილში უნდა შეცვალოს
- გ. მხოლოდ სამ ცხრილში უნდა შეცვალოს

წარმოდგენები და უსაფრთხოება

9.2.1.1.1. იმისათვის, რომ შევძლოთ წარმოდგენის შექმნა, ჩვენ:

- ა. უნდა გვქონდეს მონაცემთა ბაზის მფლობელის უფლებები და შესაბამისი უფლებები იმ ცხრილსა და წარმოდგენასთან სამუშაოდ, რომლებიც წარმოდგენაში მონაწილეობენ
- ბ. არ უნდა გვქონდეს მონაცემთა ბაზის მფლობელის უფლებები და შესაბამისი უფლებები იმ ცხრილსა და წარმოდგენასთან სამუშაოდ, რომლებიც წარმოდგენაში მონაწილეობენ
- გ. უნდა გვქონდეს მონაცემთა ბაზის მფლობელის უფლებები და არ უნდა გვქონდეს უფლებები იმ ცხრილსა და წარმოდგენასთან სამუშაოდ, რომლებიც წარმოდგენაში მონაწილეობენ

9.2.1.1.2. თუ საწყისი ობიექტები და წარმოდგენა ერთ მომხმარებელს ეკუთვნის, მაშინ მომხმარებლისათვის:

- ა. საკმარისი არ არის წარმოდგენასთან მიმართვის უფლებების მინიჭება
- ბ. საკმარისია წარმოდგენასთან მიმართვის უფლებების მინიჭება
- გ. საკმარისია წარმოდგენასთან მიმართვის უფლებების ჩამორთმევა

წარმოდგენის შექმნა

9.3.1.1.1. წარმოდგენის შესაქმნელად გამოიყენება:

- ა. CREATE TABLE ბრძანება
- ბ. CREATE INDEX ბრძანება
- გ. CREATE VIEW ბრძანება

9.3.1.1.2. ავტომატურად, წარმოდგენაში სვეტების სახელები:

- ა. ემთხვევა საწყისი ცხრილების სვეტების სახელებს
- ბ. არ ემთხვევა საწყისი ცხრილების სვეტების სახელებს
- გ. ემთხვევა საწყისი ცხრილების სტრიქონების სახელებს

9.3.1.1.3. წარმოდგენაში სვეტის სახელი აშკარად უნდა მივუთითოთ შემდეგ შემთხვევებში:

- ა. 1. როცა სვეტის მნიშვნელობა არ ფორმირდება არითმეტიკული გამოსახულების, ფუნქციის ან მუდმივას საფუძველზე; 2. როცა წარმოდგენის სვეტს არ უნდა ჰქონდეს იმ სვეტისაგან განსხვავებული სახელი, რომლისგანაც ის მიიღება
- ბ. 1. როცა სვეტის მნიშვნელობა ფორმირდება არითმეტიკული გამოსახულების, ფუნქციის ან მუდმივას საფუძველზე; 2. როცა ორ ან მეტ სვეტს აქვს ერთნაირი სახელი; 3. როცა წარმოდგენის სვეტს უნდა ჰქონდეს იმ სვეტისაგან განსხვავებული სახელი, რომლისგანაც ის მიიღება
- გ. 1. როცა ორ ან მეტ სვეტს არ აქვს ერთნაირი სახელი; 2. როცა წარმოდგენის სვეტს უნდა ჰქონდეს იმ სვეტისაგან განსხვავებული სახელი, რომლისგანაც ის მიიღება

9.3.1.1.4. CREATE VIEW ბრძანების ENCRYPTION არგუმენტი მიუთითებს, რომ:

- ა. არ უნდა მოხდეს წარმოდგენის კოდის დაშიფვრა
- ბ. უნდა მოხდეს წარმოდგენის კოდის დაშიფვრა
- გ. უნდა მოხდეს წარმოდგენის კოდის დაშიფვრა

9.3.1.1.5. თუ CREATE VIEW ბრძანების SCHEMABINDING არგუმენტი მითითებულია წარმოდგენის შექმნის დროს, მაშინ სერვერი წარმოდგენის სტრუქტურას:

- ა. დააკავშირებს იმ ობიექტების სტრუქტურასთან, რომლებსაც UPDATE მოთხოვნა მიმართავს
- ბ. არ დააკავშირებს იმ ობიექტების სტრუქტურასთან, რომლებსაც SELECT მოთხოვნა მიმართავს
- გ. დააკავშირებს იმ ობიექტების სტრუქტურასთან, რომლებსაც SELECT მოთხოვნა მიმართავს

9.3.1.1.6. წარმოდგენის სახელი ინახება:

- ა. მიმდინარე მონაცემთა ბაზის sys.objects სისტემურ წარმოდგენაში
- ბ. მიმდინარე მონაცემთა ბაზის syscomments სისტემურ წარმოდგენაში
- გ. master მონაცემთა ბაზის sys.objects სისტემურ წარმოდგენაში

9.3.1.1.7. წარმოდგენის კოდი ინახება:

- ა. master მონაცემთა ბაზის sys.objects სისტემურ წარმოდგენაში
- ბ. მიმდინარე მონაცემთა ბაზის syscomments სისტემურ წარმოდგენაში
- გ. model მონაცემთა ბაზის sys.objects სისტემურ წარმოდგენაში

9.3.1.1.8. ინფორმაცია წარმოდგენის საწყის ცხრილებზე დამოკიდებულების შესახებ ინახება:

- ა. მიმდინარე მონაცემთა ბაზის syscomments სისტემურ წარმოდგენაში
- ბ. მიმდინარე მონაცემთა ბაზის sys.objects სისტემურ წარმოდგენაში
- გ. მიმდინარე მონაცემთა ბაზის sysdepends სისტემურ წარმოდგენაში

წარმოდგენების მართვა

წარმოდგენის შეცვლა

9.4.1.1.1. შექმნილი წარმოდგენის შესაცვლელად გამოიყენება:

- ა. CREATE TABLE ბრძანება
- ბ. ALTER VIEW ბრძანება
- გ. CREATE VIEW ბრძანება

წარმოდგენის სახელის შეცვლა

9.4.2.1.1. წარმოდგენის სახელის შესაცვლელად გამოიყენება:

- ა. sp_rename ბრძანება
- ბ. DBCC DBREINDEX ბრძანება
- გ. CREATE TABLE ბრძანება

წარმოდგენის წაშლა

9.4.3.1.1. წარმოდგენის წასაშლელად გამოიყენება:

- ა. CREATE VIEW ბრძანება
- ბ. DROP TABLE ბრძანება
- გ. DROP VIEW ბრძანება

9.4.3.1.2. წარმოდგენის წაშლის უფლება:

- ა. არ აქვს მხოლოდ მის მფლობელს და ეს უფლება არ შეიძლება სხვას გადაეცეს
- ბ. აქვს მხოლოდ მის მფლობელს და ეს უფლება არ შეიძლება სხვას გადაეცეს
- გ. აქვს მხოლოდ მის მფლობელს და ეს უფლება შეიძლება სხვას გადაეცეს

9.4.3.1.3. თუ საჭიროა, რომ სხვა მომხმარებელმა წაშლოს წარმოდგენა, მაშინ მას:

- ა. უნდა გადავცეთ წარმოდგენის ფლობის უფლება
- ბ. არ უნდა გადავცეთ წარმოდგენის ფლობის უფლება
- გ. უნდა ჩამოვართვათ წარმოდგენის ფლობის უფლება

წარმოდგენის შესახებ ინფორმაციის მიღება

9.4.4.1.1. წარმოდგენის შესახებ ინფორმაციის მისაღებად გამოიყენება:

- ა. CREATE VIEW ბრძანება
- ბ. sp_help შენახული პროცედურა
- გ. sp_rename ბრძანება

9.4.4.1.2. კოდის მისაღებად, რომლის საშუალებითაც შეიქმნა წარმოდგენა, შეგვიძლია გამოვიყენოთ:

- ა. sp_rename ბრძანება
- ბ. CREATE VIEW ბრძანება
- გ. sp_helptext შენახული პროცედურა

წარმოდგენის დამოკიდებულებების ნახვა

9.4.5.1.1. იმ ობიექტების სანახავად, რომლებზეც წარმოდგენაა დამოკიდებული, შეგვიძლია:

- ა. sp_helptext შენახული პროცედურის გამოყენება
- ბ. sp_depends შენახული პროცედურის გამოყენება
- გ. sp_rename ბრძანების გამოყენება

თავი 10. კურსორები

შესავალი

10.1.1.1.1. კურსორი კლიენტის პროგრამას საშუალებას აძლევს იმუშაოს:

- ა. არა ასობით ან ათასობით სტრიქონთან, არამედ ერთ სტრიქონთან ან სტრიქონების მცირე ბლოკთან
- ბ. ასობით ან ათასობით სტრიქონთან და არა ერთ სტრიქონთან ან სტრიქონების მცირე ბლოკთან
- გ. ასობით ან ათასობით სტრიქონთან

10.1.1.1.2. კურსორების საშუალებით მონაცემების დამუშავების სიჩქარე გაცილებით:

- ა. მაღალია მონაცემთა ბაზის სტანდარტულ საშუალებებთან შედარებით
- ბ. მაღალია სერვერის სტანდარტულ საშუალებებთან შედარებით
- გ. დაბალია სერვერის სტანდარტულ საშუალებებთან შედარებით

კურსორების რეალიზება

10.1.1.1.1. არსებობს სამი სახის კურსორი:

- ა. ფუნქციების და Transact-SQL-ის კურსორები
- ბ. Transact-SQL-ის, სერვერის და კლიენტის კურსორები
- გ. ტრიგერის, სერვერის და კლიენტის კურსორები

10.1.1.1.2. Transact-SQL-ის კურსორები ძირითადად:

- ა. მხოლოდ წარმოდგენების შიგნით გამოიყენება
- ბ. ინდექსების, შენახული პროცედურებისა და Transact-SQL-ის კოდის შიგნით გამოიყენება
- გ. ტრიგერების, შენახული პროცედურებისა და Transact-SQL-ის კოდის შიგნით გამოიყენება

10.1.1.1.3. სერვერის კურსორები ახდენს პროგრამა-დანართების პროგრამული ინტერფეისის რეალიზებას:

- ა. ODBC, OLE DB და DB-Library სისტემებისთვის
- ბ. ტრიგერებისთვის
- გ. ინდექსებისთვის

10.1.1.1.4. კლიენტის კურსორების რეალიზებას:

- ა. არ ახდენს კლიენტი
- ბ. ახდენს კლიენტი
- გ. ახდენს სერვერი

10.1.1.1.5. კლიენტის კურსორი:

- ა. იღებს სერვერის მიერ გაცემულ შედეგობრივ სტრიქონებს და მათ ლოკალურად არ ინახავს
- ბ. არ იღებს სერვერის მიერ გაცემულ შედეგობრივ სტრიქონებს და მათ ლოკალურად ინახავს
- გ. იღებს სერვერის მიერ გაცემულ შედეგობრივ სტრიქონებს და მათ ლოკალურად ინახავს

10.1.1.1.6. ერთი კურსორი:

- ა. შეიძლება მუშაობდეს სხვადასხვა ბაზაში მოთავსებულ რამდენიმე ცხრილთან
- ბ. არ შეიძლება მუშაობდეს სხვადასხვა ბაზაში მოთავსებულ რამდენიმე ცხრილთან
- გ. შეიძლება მუშაობდეს მხოლოდ ერთ ცხრილთან

10.1.1.1.7. თუ ერთი ოპერაციის შესრულების შედეგად კურსორი საშუალებას გვაძლევს ამოვარჩიოთ:

- ა. ერთი სტრიქონი, მაშინ ასეთ კურსორს ბლოკური ეწოდება
- ბ. რამდენიმე სტრიქონი, მაშინ ასეთ კურსორს ბლოკური ეწოდება
- გ. ორი სტრიქონი, მაშინ ასეთ კურსორს ბლოკური ეწოდება

10.1.1.1.8. კურსორები შეიძლება ორ კატეგორიად დაიყოს:

- ა. მიმდევრობითი და გადახვევადი
- ბ. მხოლოდ მიმდევრობითი
- გ. მხოლოდ გადახვევადი

10.1.1.1.9. მიმდევრობითი კურსორები საშუალებას გვაძლევს მონაცემები:

- ა. ორივე მიმართულებით ამოვარჩიოთ და მივმართოთ ნებისმიერ სტრიქონს
- ბ. მიმდევრობით ამოვარჩიოთ მხოლოდ ერთი მიმართულებით - ბოლოდან დასაწყისისკენ
- გ. მიმდევრობით ამოვარჩიოთ მხოლოდ ერთი მიმართულებით - დასაწყისიდან ბოლოსკენ

10.1.1.1.10. გადახვევადი კურსორები საშუალებას გვაძლევს მონაცემები ამოვარჩიოთ:

- ა. მიმდევრობით ამოვარჩიოთ მხოლოდ ერთი მიმართულებით - დასაწყისიდან ბოლოსკენ
- ბ. ორივე მიმართულებით და მივმართოთ ნებისმიერ სტრიქონს
- გ. მიმდევრობით ამოვარჩიოთ მხოლოდ ერთი მიმართულებით - ბოლოდან დასაწყისისკენ

კურსორის ტიპები

სტატიკური კურსორები

10.2.1.1.1. სტატიკური კურსორის გახსნისას სერვერი სტრიქონების მთელი შედეგობრივი ნაკრების ასლს იხაზავს:

- ა. tempdb სისტემურ მონაცემთა ბაზაში
- ბ. model სისტემურ მონაცემთა ბაზაში
- გ. master სისტემურ მონაცემთა ბაზაში

10.2.1.1.2. სტატიკური კურსორი:

- ა. იცვლება შექმნის შემდეგ და ყოველთვის ასახავს მონაცემების იმ ნაკრებს, რომელიც არსებობდა კურსორის გახსნის მომენტში
- ბ. არ იცვლება შექმნის შემდეგ და ყოველთვის ასახავს მონაცემების იმ ნაკრებს, რომელიც არსებობდა კურსორის გახსნის მომენტში
- გ. არ იცვლება შექმნის შემდეგ და ყოველთვის არ ასახავს მონაცემების იმ ნაკრებს, რომელიც არსებობდა კურსორის გახსნის მომენტში

10.2.1.1.3. სტატიკური კურსორი ყოველთვის:

- ა. იხსნება „მხოლოდ წაკითხვის“ რეჟიმში
- ბ. არ იხსნება „მხოლოდ წაკითხვის“ რეჟიმში
- გ. იხსნება „მხოლოდ ჩაწერის“ რეჟიმში

10.2.1.1.4. თუ სხვა მომხმარებლები საწყის ცხრილში ამატებენ, ცვლიან ან შლიან კურსორში შესულ სტრიქონებს, მაშინ ეს ცვლილებები სტატკურ კურსორში:

- ა. ხანდახან აისახება
- ბ. არ აისახება
- გ. აისახება

დინამიკური კურსორები

10.2.2.1.1. დინამიკური კურსორის გამოყენების დროს სრულდება სტრიქონების დინამიკურად ამორჩევა საწყისი ცხრილიდან მხოლოდ მაშინ, როცა:

- ა. ხდება მომხმარებლის მიერ ამ სტრიქონებთან მიმართვა
- ბ. არ ხდება მომხმარებლის მიერ ამ სტრიქონებთან მიმართვა
- გ. ხდება მომხმარებლის მიერ ამ ტრიგერებთან მიმართვა

10.2.2.1.2. დინამიკურ კურსორში ამორჩევის მომენტში სერვერი სტრიქონებს:

- ა. ხანდახან ბლოკავს
- ბ. არ ბლოკავს
- გ. ბლოკავს

10.2.2.1.3. კურსორის შედეგობრივ ნაკრებში მომხმარებლების მიერ შეტანილი ცვლილებები დინამიკურ კურსორში:

- ა. არ გამოჩნდება ამორჩევის დროს
- ბ. გამოჩნდება ჩაწერის დროს
- გ. გამოჩნდება ამორჩევის დროს

10.2.2.1.4. თუ სხვა მომხმარებელმა სტრიქონი შეცვალა დინამიკურ კურსორში მისი ამორჩევის შემდეგ, მაშინ ეს ცვლილებები კურსორში:

- ა. აისახება
- ბ. არ აისახება
- გ. ხანდახან აისახება

10.2.2.1.5. კურსორში შეტანილი ცვლილებები უხილავია სხვა მომხმარებლებისთვის მანამ, სანამ კურსორი:

- ა. არ იქნება დადასტურებული
- ბ. იქნება დადასტურებული
- გ. ხანდახან იქნება დადასტურებული

10.2.2.1.6. თუ კურსორის იზოლირების დონე უშვებს „ჭუჭყიან“ კითხვას, მაშინ სხვა მომხმარებლები:

- ა. შეძლებენ კურსორიდან მონაცემების წაკითხვას საწყის მდგომარეობებში
- ბ. ვერ შეძლებენ კურსორიდან მონაცემების წაკითხვას შუალედურ მდგომარეობებში
- გ. შეძლებენ კურსორიდან მონაცემების წაკითხვას შუალედურ მდგომარეობებში

მიმდევრობითი კურსორები

10.2.3.1.1. მიმდევრობითი კურსორები საშუალებას გვაძლევს სტრიქონები ამოვირჩიოთ:

- ა. მხოლოდ ბოლოდან დასაწყისისკენ
- ბ. მხოლოდ დასაწყისიდან ბოლოსკენ
- გ. მხოლოდ დასაწყისიდან დასაწყისისკენ

10.2.3.1.2. მიმდევრობითი კურსორი სტრიქონების მთელ ნაკრებს:

- ა. ინახავს
- ბ. არ ინახავს
- გ. ხანდახან ინახავს

10.2.3.1.3. ცხრილიდან მაშინ სრულდება სტრიქონების წაკითხვა, როცა ისინი კურსორში:

- ა. არ ამოირჩევა
- ბ. ხანდახან ამოირჩევა
- გ. ამოირჩევა

10.2.3.1.4. მიმდევრობითი კურსორი იძლევა მომხმარებლის მიერ ცხრილში:

- ა. INSERT, UPDATE და DELETE ბრძანებებით შეტანილი ყველა ცვლილების დინამიკური ასახვის შესაძლებლობას
- ბ. INSERT, UPDATE და DELETE ბრძანებებით შეტანილი ყველა ცვლილების სტატიკური ასახვის შესაძლებლობას
- გ. SELECT ბრძანებებით შეტანილი ყველა ცვლილების სტატიკური ასახვის შესაძლებლობას

10.2.3.1.5. მიმდევრობით კურსორში გამოჩნდება მონაცემების:

- ა. შუალედური მდგომარეობა
- ბ. საწყისი მდგომარეობა
- გ. უკანასკნელი მდგომარეობა

საგასაღებო კურსორები

10.2.4.1.1. საგასაღებო კურსორები ან გასაღებების ნაკრებზე დამოკიდებული კურსორები:

- ა. აგებულია უნიკალური იდენტიფიკატორების ბაზაზე
- ბ. არ არის აგებული უნიკალური იდენტიფიკატორების ბაზაზე
- გ. აგებულია არაუნიკალური იდენტიფიკატორების ბაზაზე

10.2.4.1.2. ცხრილის სტრიქონების უნიკალური იდენტიფიკატორების (გასაღებების) სიმრავლეს:

- ა. ტრიგერების სიმრავლე ეწოდება
- ბ. გასაღებების სიმრავლე ეწოდება
- გ. პროცედურების სიმრავლე ეწოდება

10.2.4.1.3. საგასაღებო კურსორი წარმოადგენს გასაღებების ნაკრებს, რომლებიც:

- ა. არ ახდენს კურსორის მთელი შედეგობრივი ნაკრების სტრიქონების იდენტიფიცირებას
- ბ. ახდენს კურსორის მთელი შედეგობრივი ნაკრების სტრიქონების იდენტიფიცირებას
- გ. ახდენს კურსორის საწყისი ნაკრების სვეტების იდენტიფიცირებას

10.2.4.1.4. გასაღებების ნაკრები ინახება:

- ა. tempdb სისტემურ მონაცემთა ბაზაში

- ბ. model სისტემურ მონაცემთა ბაზაში
- გ. master სისტემურ მონაცემთა ბაზაში

10.2.4.1.5. რადგან ინფორმაცია ინახება მხოლოდ კურსორის მთელ შედეგობრივ ნაკრებში ჩართული სტრიქონების საგასაღებო სვეტების შესახებ, ამიტომ საგასაღებო კურსორები:

- ა. არ ასახავს სხვა მომხმარებლების მიერ შეტანილ ყველა ცვლილებას
- ბ. არ ასახავს სხვა მომხმარებლების მიერ შეტანილ არც ერთ ცვლილებას
- გ. ასახავს სხვა მომხმარებლების მიერ შეტანილ ყველა ცვლილებას

10.2.4.1.6. კურსორის გახსნის შემდეგ დამატებული სტრიქონები კურსორში:

- ა. ხანდახან გამოჩნდება
- ბ. გამოჩნდება
- გ. არ გამოჩნდება

10.2.4.1.7. კურსორში ჩართული სტრიქონები, მაგრამ წაშლილი სხვა მომხმარებლების მიერ, გამოჩნდება როგორც:

- ა. ხანდახან დაუზიანებელი
- ბ. დაუზიანებელი
- გ. დაზიანებული

10.2.4.1.8. გასაღებების ცხრილის შედგენის მომენტში სერვერი საწყისი ცხრილის სტრიქონებს:

- ა. ბლოკავს
- ბ. არ ბლოკავს
- გ. ხანდახან ბლოკავს

კურსორების მართვა

10.3.1.1.1. კურსორთან მუშაობის დროს შეგვიძლია შემდეგი ძირითადი ოპერაციები შევასრულოთ:

- ა. მხოლოდ კურსორის გახსნა და კურსორის დახურვა
- ბ. კურსორის შექმნა, კურსორის გახსნა, სტრიქონების ამორჩევა კურსორიდან და მათი შეცვლა კურსორის საშუალებით, კურსორის დახურვა და კურსორის გათავისუფლება
- გ. მხოლოდ კურსორის გახსნა და სტრიქონების ამორჩევა კურსორიდან და მათი შეცვლა კურსორის საშუალებით

10.3.1.1.2. შექმნილი, მაგრამ გაუხსნელი კურსორი მონაცემებს:

- ა. შეიცავს
- ბ. არ შეიცავს
- გ. ხანდახან შეიცავს

10.3.1.1.3. გახსნის ოპერაცია კურსორს მონაცემებით:

- ა. ხანდახან ავსებს
- ბ. ავსებს
- გ. არ ავსებს

10.3.1.1.4. კურსორთან მუშაობის დამთავრების შემდეგ ის უნდა დაეხუროთ. ამ დროს სერვერი ათავისუფლებს სივრცეს:

- ა. tempdb მონაცემთა ბაზაში, რომელიც კურსორს გამოეყო შექმნის დროს
- ბ. model მონაცემთა ბაზაში, რომელიც კურსორს გამოეყო შექმნის დროს
- გ. master მონაცემთა ბაზაში, რომელიც კურსორს გამოეყო შექმნის დროს

10.3.1.1.5. კურსორის გათავისუფლების დროს კურსორი:

- ა. იცვლის სახელს
- ბ. არ იშლება
- გ. იშლება

კურსორის შექმნა

10.3.2.1.1. კურსორის შესაქმნელად გამოიყენება ბრძანება:

- ა. CREATE DATABASE
- ბ. CREATE TABLE
- გ. DECLARE CURSOR

10.3.2.1.2. არსებობს DECLARE CURSOR ბრძანების:

- ა. ერთი ფორმატი - განსაზღვრული Transact-SQL სტანდარტით
- ბ. ერთი ფორმატი - განსაზღვრული SQL-92 სტანდარტით
- გ. ორი ფორმატი - განსაზღვრული SQL-92 სტანდარტით და Transact-SQL-ით

10.3.2.1.3. SQL-92 სტანდარტით განსაზღვრული DECLARE CURSOR ბრძანების INSENSITIVE არგუმენტი მიუთითებს, რომ:

- ა. არ უნდა შეიქმნას სტატიკური კურსორი
- ბ. უნდა შეიქმნას სტატიკური კურსორი
- გ. უნდა შეიქმნას დინამიკური კურსორი

10.3.2.1.4. თუ SQL-92 სტანდარტით განსაზღვრული DECLARE CURSOR ბრძანების INSENSITIVE არგუმენტი მითითებული არ არის, მაშინ:

- ა. შეიქმნება დინამიკური კურსორი
- ბ. შეიქმნება სტატიკური კურსორი
- გ. არ შეიქმნება დინამიკური კურსორი

10.3.2.1.5. SQL-92 სტანდარტით განსაზღვრული DECLARE CURSOR ბრძანების SCROLL არგუმენტი მიუთითებს, რომ:

- ა. არ შეიქმნება გადახვევადი კურსორი
- ბ. შეიქმნება მიმდევრობითი კურსორი
- გ. შეიქმნება გადახვევადი კურსორი

10.3.2.1.6. თუ SQL-92 სტანდარტით განსაზღვრული DECLARE CURSOR ბრძანების SCROLL არგუმენტი მითითებული არ არის, მაშინ

- ა. შეიქმნება გადახვევადი კურსორი
- ბ. შეიქმნება მიმდევრობითი კურსორი
- გ. არ შეიქმნება მიმდევრობითი კურსორი

10.3.2.1.7. SQL-92 სტანდარტით განსაზღვრული DECLARE CURSOR ბრძანების 'FOR select_ბრძანება' არგუმენტი შეიცავს:

- ა. SELECT მოთხოვნას, რომელიც არ გასცემს კურსორის სტრიქონების შედეგობრივ ნაკრებს
- ბ. SELECT მოთხოვნას, რომელიც გასცემს კურსორის სტრიქონების შედეგობრივ ნაკრებს
- გ. UPDATE მოთხოვნას, რომელიც გასცემს კურსორის სტრიქონების შედეგობრივ ნაკრებს

10.3.2.1.8. SQL-92 სტანდარტით განსაზღვრული DECLARE CURSOR ბრძანების 'FOR select_ბრძანება' არგუმენტში SELECT მოთხოვნა:

- ა. არ უნდა შეიცავდეს INTO, FOR BROWSE და COMPUTE BY განყოფილებებს
- ბ. უნდა შეიცავდეს INTO, FOR BROWSE და COMPUTE BY განყოფილებებს
- გ. არ უნდა შეიცავდეს INTO, FOR BROWSE და FROM განყოფილებებს

10.3.2.1.9. SQL-92 სტანდარტით განსაზღვრული DECLARE CURSOR ბრძანების 'FOR select_ბრძანება' არგუმენტში SELECT მოთხოვნა კონფლიქტშია კურსორის ტიპთან, მაშინ სერვერი:

- ა. არ შეასრულებს კურსორის არაცხად გარდაქმნას თავსებად ტიპში
- ბ. შეასრულებს კურსორის ცხად გარდაქმნას არათავსებად ტიპში
- გ. შეასრულებს კურსორის არაცხად გარდაქმნას თავსებად ტიპში

10.3.2.1.10. SQL-92 სტანდარტით განსაზღვრული DECLARE CURSOR ბრძანებაში თუ მითითებულია FOR READ ONLY არგუმენტი, მაშინ:

- ა. არ შეიქმნება „მხოლოდ წაკითხვადი“ კურსორი
- ბ. შეიქმნება „მხოლოდ წაკითხვადი“ კურსორი
- გ. შეიქმნება „მხოლოდ ჩაწერადი“ კურსორი

10.3.2.1.11. „მხოლოდ წაკითხვადი“ კურსორი:

- ა. შეიძლება იყოს დინამიკური
- ბ. შეიძლება იყოს სტატიკური
- გ. არ შეიძლება იყოს დინამიკურიც

10.3.2.1.12. თუ SQL-92 სტანდარტით განსაზღვრულ DECLARE CURSOR ბრძანებაში მითითებულია FOR UPDATE [OF სვეტის_სახელი [,...n]] არგუმენტი, მაშინ კურსორში:

- ა. შეუძლებელი იქნება სტრიქონების ცვლილება
- ბ. შესაძლებელი არ იქნება სტრიქონების ცვლილება
- გ. შესაძლებელი იქნება სტრიქონების ცვლილება

10.3.2.1.13. თუ SQL-92 სტანდარტით განსაზღვრულ DECLARE CURSOR ბრძანებაში მითითებულია FOR UPDATE [OF სვეტის_სახელი [,...n]] არგუმენტი, მაშინ კურსორში:

- ა. დაუშვებელი იქნება მხოლოდ 'სვეტის_სახელი' სიაში მითითებული სვეტების შეცვლა
- ბ. დასაშვები იქნება მხოლოდ 'სვეტის_სახელი' სიაში მითითებული სვეტების შეცვლა
- გ. დასაშვები იქნება მხოლოდ 'სვეტის_სახელი' სიაში მითითებული სტრიქონების შეცვლა

10.3.2.1.14. თუ SQL-92 სტანდარტით განსაზღვრული DECLARE CURSOR ბრძანების FOR UPDATE [OF სვეტის_სახელი [,...n]] არგუმენტში მითითებული არ არის 'სვეტის_სახელი', მაშინ კურსორში:

- ა. შესაძლებელი იქნება კურსორის ყველა სვეტის შეცვლა

- ბ. შეუძლებელი იქნება კურსორის ყველა სვეტის შეცვლა
- გ. შესაძლებელი არ იქნება კურსორის ყველა სვეტის შეცვლა

10.3.2.1.15. Transact-SQL სტანდარტით განსაზღვრულ DECLARE CURSOR ბრძანებაში LOCAL არგუმენტი მიუთითებს, რომ შეიქმნება

- ა. გლობალური კურსორი, რომელიც ხილული იქნება მხოლოდ ამ კურსორის შემქმნელი პაკეტის, ტრიგერის, შენახული პროცედურის ან მომხმარებლის მიერ შექმნილი ფუნქციის შიგნით
- ბ. ლოკალური კურსორი, რომელიც ხილული იქნება მხოლოდ ამ კურსორის შემქმნელი პაკეტის, ტრიგერის, შენახული პროცედურის ან მომხმარებლის მიერ შექმნილი ფუნქციის შიგნით
- გ. ლოკალური კურსორი, რომელიც ხილული არ იქნება მხოლოდ ამ კურსორის შემქმნელი პაკეტის, ტრიგერის, შენახული პროცედურის ან მომხმარებლის მიერ შექმნილი ფუნქციის შიგნით

10.3.2.1.16. პაკეტის, ტრიგერის ან შენახული პროცედურის დამთავრებისთანავე ლოკალური კურსორი:

- ა. წაიშლება
- ბ. არ წაიშლება
- გ. შეიქმნება

10.3.2.1.17. Transact-SQL სტანდარტით განსაზღვრულ DECLARE CURSOR ბრძანებაში GLOBAL არგუმენტი მიუთითებს, რომ შეიქმნება გლობალური კურსორი, რომელიც:

- ა. არ იარსებებს მიმდინარე შეერთების დახურვამდე
- ბ. იარსებებს მიმდინარე შეერთების დახურვამდე
- გ. იარსებებს მიმდინარე შეერთების გახსნამდე

10.3.2.1.18. Transact-SQL სტანდარტით განსაზღვრულ DECLARE CURSOR ბრძანებაში FORWARD_ONLY არგუმენტი მიუთითებს, რომ:

- ა. არ შეიქმნება მიმდევრობითი კურსორი
- ბ. შეიქმნება გადახვევადი კურსორი
- გ. შეიქმნება მიმდევრობითი კურსორი

10.3.2.1.19. Transact-SQL სტანდარტით განსაზღვრულ DECLARE CURSOR ბრძანებაში SCROLL მიუთითებს, რომ:

- ა. არ შეიქმნება გადახვევადი კურსორი
- ბ. შეიქმნება გადახვევადი კურსორი
- გ. შეიქმნება მიმდევრობითი კურსორი

10.3.2.1.20. Transact-SQL სტანდარტით განსაზღვრულ DECLARE CURSOR ბრძანებაში STATIC მიუთითებს, რომ:

- ა. შეიქმნება სტატიკური კურსორი
- ბ. არ შეიქმნება სტატიკური კურსორი
- გ. შეიქმნება დინამიკური კურსორი

10.3.2.1.21. Transact-SQL სტანდარტით განსაზღვრულ DECLARE CURSOR ბრძანებაში KEYSSET არგუმენტი მიუთითებს, რომ:

- ა. შეიქმნება საგასაღებო კურსორი
- ბ. არ შეიქმნება საგასაღებო კურსორი
- გ. ხანდახან შეიქმნება საგასაღებო კურსორი

10.3.2.1.22. Transact-SQL სტანდარტით განსაზღვრულ DECLARE CURSOR ბრძანებაში DYNAMIC მიუთითებს, რომ:

- ა. არ შეიქმნება დინამიკური კურსორი
- ბ. შეიქმნება დინამიკური კურსორი
- გ. შეიქმნება სტატიკური კურსორი

10.3.2.1.23. თუ Transact-SQL სტანდარტით განსაზღვრულ DECLARE CURSOR ბრძანებაში FAST_FORWARD არგუმენტი მიუთითებულა READ_ONLY არგუმენტთან ერთად, მაშინ:

- ა. მოხდება შექმნილი კურსორის ოპტიმიზება მონაცემებთან ნელი მიმართვის მიზნით
- ბ. არ მოხდება შექმნილი კურსორის ოპტიმიზება მონაცემებთან სწრაფი მიმართვის მიზნით
- გ. მოხდება შექმნილი კურსორის ოპტიმიზება მონაცემებთან სწრაფი მიმართვის მიზნით

10.3.2.1.24. Transact-SQL სტანდარტით განსაზღვრულ DECLARE CURSOR ბრძანებაში FAST_FORWARD არგუმენტი:

- ა. არ შეიძლება გამოყენებულ იქნეს FORWARD_ONLY და OPTIMISTIC არგუმენტებთან ერთად
- ბ. შეიძლება გამოყენებულ იქნეს FORWARD_ONLY და OPTIMISTIC არგუმენტებთან ერთად
- გ. არ შეიძლება გამოყენებულ იქნეს READ_ONLY, FORWARD_ONLY და OPTIMISTIC არგუმენტებთან ერთად

10.3.2.1.25. Transact-SQL სტანდარტით განსაზღვრულ DECLARE CURSOR ბრძანებაში OPTIMISTIC არგუმენტი მიუთითებს, რომ კურსორში:

- ა. იკრძალება იმ სტრიქონების შეცვლა ან წაშლა, რომლებიც ცხრილში შეიცვალა კურსორის გახსნის შემდეგ
- ბ. არ იკრძალება იმ სტრიქონების შეცვლა ან წაშლა, რომლებიც ცხრილში შეიცვალა კურსორის გახსნის შემდეგ
- გ. იკრძალება იმ სტრიქონების შეცვლა ან წაშლა, რომლებიც ცხრილში შეიცვალა კურსორის გახსნამდე

10.3.2.1.26. Transact-SQL სტანდარტით განსაზღვრულ DECLARE CURSOR ბრძანებაში TYPE_WARNING არგუმენტი თუ მიუთითებულა, მაშინ სერვერი მომხმარებელს:

- ა. არ შეატყობინებს კურსორის ტიპის შეცვლის შესახებ, თუ ის არათავსებადია SELECT მოთხოვნის ტიპთან
- ბ. შეატყობინებს კურსორის ტიპის შეცვლის შესახებ, თუ ის არათავსებადია SELECT მოთხოვნის ტიპთან
- გ. შეატყობინებს კურსორის ტიპის შეცვლის შესახებ, თუ ის არათავსებადია INSERT მოთხოვნის ტიპთან

კურსორის გახსნა

10.3.3.1.1. კურსორის გახსნის და მონაცემებით შესავსებად გამოიყენება:

- ა. CLOSE ბრძანება
- ბ. OPEN ბრძანება
- გ. INSERT ბრძანება

10.3.3.1.2. თუ საჭიროა გლობალური კურსორის გახსნა, მაშინ OPEN ბრძანებაში:

- ა. არ უნდა მივუთითოთ GLOBAL არგუმენტი
- ბ. უნდა მივუთითოთ LOCAL არგუმენტი
- გ. უნდა მივუთითოთ GLOBAL არგუმენტი

მონაცემების წაკითხვა

10.3.4.1.1. კურსორიდან მონაცემების წასაკითხად გამოიყენება:

- ა. FETCH ბრძანება
- ბ. INSERT ბრძანება
- გ. OPEN ბრძანება

10.3.4.1.2. FETCH ბრძანების FIRST არგუმენტი მიუთითებს, რომ:

- ა. არ გაიცემა კურსორის შედეგობრივი ნაკრების პირველი სტრიქონი, რომელიც მიმდინარე გახდება
- ბ. გაიცემა კურსორის შედეგობრივი ნაკრების პირველი სტრიქონი, რომელიც მიმდინარე გახდება
- გ. გაიცემა კურსორის შედეგობრივი ნაკრების მეორე სტრიქონი, რომელიც მიმდინარე გახდება

10.3.4.1.3. FETCH ბრძანების LAST არგუმენტი მიუთითებს, რომ:

- ა. არ გაიცემა კურსორის შედეგობრივი ნაკრების უკანასკნელი სტრიქონი, რომელიც მიმდინარე გახდება
- ბ. გაიცემა კურსორის შედეგობრივი ნაკრების პირველი სტრიქონი, რომელიც მიმდინარე გახდება
- გ. გაიცემა კურსორის შედეგობრივი ნაკრების უკანასკნელი სტრიქონი, რომელიც მიმდინარე გახდება

10.3.4.1.4. FETCH ბრძანების NEXT არგუმენტი მიუთითებს, რომ:

- ა. გაიცემა კურსორის შედეგობრივი ნაკრების მიმდინარე სტრიქონის შემდეგ მოთავსებული სტრიქონი, რომელიც მიმდინარე გახდება
- ბ. არ გაიცემა კურსორის შედეგობრივი ნაკრების მიმდინარე სტრიქონის შემდეგ მოთავსებული სტრიქონი, რომელიც მიმდინარე გახდება
- გ. გაიცემა კურსორის შედეგობრივი ნაკრების მიმდინარე სტრიქონის წინ მოთავსებული სტრიქონი, რომელიც მიმდინარე გახდება

10.3.4.1.5. FETCH ბრძანების PRIOR არგუმენტი მიუთითებს, რომ:

- ა. გაიცემა კურსორის შედეგობრივი ნაკრების მიმდინარე სტრიქონის უკან მოთავსებული სტრიქონი, რომელიც მიმდინარე გახდება
- ბ. გაიცემა კურსორის შედეგობრივი ნაკრების მიმდინარე სტრიქონის წინ მოთავსებული სტრიქონი, რომელიც მიმდინარე გახდება
- გ. არ გაიცემა კურსორის შედეგობრივი ნაკრების მიმდინარე სტრიქონის წინ მოთავსებული სტრიქონი, რომელიც მიმდინარე გახდება

10.3.4.1.6. FETCH ბრძანების ABSOLUTE { n | @nvar } არგუმენტი გასცემს სტრიქონს კურსორის მთლიან შედეგობრივ ნაკრებში მისი:

- ა. ლოგიკური რიგითი ნომრის მიხედვით
- ბ. ფარდობითი რიგითი ნომრის მიხედვით
- გ. აბსოლუტური რიგითი ნომრის მიხედვით

10.3.4.1.7. FETCH ბრძანების ABSOLUTE { n | @nvar } არგუმენტში n ან @nvar შეიძლება იყოს:

- ა. მხოლოდ უარყოფითი
- ბ. როგორც დადებითი, ისე უარყოფითი
- გ. მხოლოდ დადებითი

10.3.4.1.8. თუ FETCH ბრძანების ABSOLUTE { n | @nvar } არგუმენტში მითითებულია დადებითი მნიშვნელობა, მაშინ სტრიქონი:

- ა. გადაითვლება ნაკრების დასაწყისიდან
- ბ. გადაითვლება ნაკრების ბოლოდან
- გ. გადაითვლება ნაკრების შუიდან

10.3.4.1.9. თუ FETCH ბრძანების ABSOLUTE { n | @nvar } არგუმენტში მითითებულია უარყოფითი მნიშვნელობა, მაშინ სტრიქონი:

- ა. გადაითვლება ნაკრების შუიდან
- ბ. გადაითვლება ნაკრების ბოლოდან
- გ. გადაითვლება ნაკრების დასაწყისიდან

10.3.4.1.10. თუ FETCH ბრძანების ABSOLUTE { n | @nvar } არგუმენტში მითითებულია ნულოვანი მნიშვნელობა, მაშინ სტრიქონი:

- ა. ხანდახან გაიცემა
- ბ. გაიცემა
- გ. არ გაიცემა

10.3.4.1.11. FETCH ბრძანების RELATIVE { n | @nvar } არგუმენტი გასცემს სტრიქონს, რომელიც მდებარეობს მიმდინარე სტრიქონიდან n სტრიქონის შემდეგ, თუ n:

- ა. უარყოფითია
- ბ. დადებითია
- გ. ნულოვანია

10.3.4.1.12. FETCH ბრძანების RELATIVE { n | @nvar } არგუმენტი გასცემს სტრიქონს, რომელიც მდებარეობს მიმდინარე სტრიქონიდან n სტრიქონით წინ, თუ n:

- ა. უარყოფითია
- ბ. დადებითია
- გ. ნულოვანია

10.3.4.1.13. თუ FETCH ბრძანების RELATIVE { n | @nvar } არგუმენტში მითითებულია ნულოვანი მნიშვნელობა, მაშინ გაიცემა:

- ა. წინა სტრიქონი
- ბ. მიმდინარე სტრიქონი
- გ. მომდევნო სტრიქონი

10.3.4.1.14. FETCH ბრძანების INTO @variable_name [...n] არგუმენტი მიუთითებს იმ ცვლადების სიას, რომელიც:

- ა. შეიცავს დასაბრუნებელი სტრიქონის სვეტების არაშესაბამის მნიშვნელობებს
- ბ. არ შეიცავს დასაბრუნებელი სტრიქონის სვეტების შესაბამის მნიშვნელობებს
- გ. შეიცავს დასაბრუნებელი სტრიქონის სვეტების შესაბამის მნიშვნელობებს

10.3.4.1.15. FETCH ბრძანების INTO @variable_name [...n] არგუმენტში ცვლადების მითითების მიმდევრობა:

- ა. არ უნდა შეესაბამებოდეს კურსორში სვეტების მიმდევრობას
- ბ. უნდა შეესაბამებოდეს კურსორში სვეტების მიმდევრობას
- გ. უნდა შეესაბამებოდეს ინდექსში სვეტების მიმდევრობას

10.3.4.1.16. FETCH ბრძანების INTO @variable_name [...n] არგუმენტში ცვლადის ტიპი:

- ა. უნდა ემთხვეოდეს სტრიქონის ტიპს
- ბ. არ უნდა ემთხვეოდეს სვეტის ტიპს
- გ. უნდა ემთხვეოდეს სვეტის ტიპს

10.3.4.1.17. თუ FETCH ბრძანების INTO @variable_name [...n] არგუმენტი მითითებული არ არის, მაშინ მონაცემები:

- ა. ეკრანზე გამოჩნდება
- ბ. ფაილში ჩაიწერება
- გ. ბაზაში ჩაიწერება

მონაცემების შეცვლა

10.3.5.1.1. კურსორის საშუალებით მონაცემების შესაცვლელად გამოიყენება:

- ა. DELETE ბრძანება
- ბ. UPDATE ბრძანება
- გ. INSERT ბრძანება

10.3.5.1.2. კურსორის საშუალებით მონაცემების შეცვლის ერთი ოპერაციის შედეგად:

- ა. არ შეიძლება რამდენიმე სვეტის შეცვლა, მაგრამ ყველა შესაცვლელი სვეტი უნდა ეკუთვნოდეს ერთ ცხრილს
- ბ. შეიძლება რამდენიმე სვეტის შეცვლა, მაგრამ ყველა შესაცვლელი სვეტი არ უნდა ეკუთვნოდეს ერთ ცხრილს
- გ. შეიძლება რამდენიმე სვეტის შეცვლა, მაგრამ ყველა შესაცვლელი სვეტი უნდა ეკუთვნოდეს ერთ ცხრილს

10.3.5.1.3. კურსორის საშუალებით მონაცემების შეცვლისას სვეტს:

- ა. არ მიენიჭება ავტომატური მნიშვნელობა, თუ მითითებულია DEFAULT საკვანძო სიტყვა
- ბ. მიენიჭება ავტომატური მნიშვნელობა, თუ მითითებულია DEFAULT საკვანძო სიტყვა
- გ. მიენიჭება ავტომატური მნიშვნელობა, თუ მითითებულია NULL საკვანძო სიტყვა

10.3.5.1.4. კურსორის საშუალებით მონაცემების შეცვლისას სვეტს:

- ა. მიენიჭება NULL მნიშვნელობა, თუ მითითებულია NULL საკვანძო სიტყვა

- ბ. არ მიენიჭება NULL მნიშვნელობა, თუ მითითებულია NULL საკვანძო სიტყვა
- გ. მიენიჭება NULL მნიშვნელობა, თუ მითითებულია DEFAULT საკვანძო სიტყვა

მონაცემების წაშლა

10.3.6.1.1. კურსორიდან მონაცემების წასაშლელად გამოიყენება:

- ა. UPDATE ბრძანება
- ბ. INSERT ბრძანება
- გ. DELETE ბრძანება

კურსორის დახურვა

10.3.7.1.1. კურსორის დახურვა:

- ა. ათავისუფლებს მისთვის გამოყოფილ რესურსებს და შლის კურსორში მოთავსებულ სტრიქონებს
- ბ. არ ათავისუფლებს მისთვის გამოყოფილ რესურსებს და შლის კურსორში მოთავსებულ სტრიქონებს
- გ. ათავისუფლებს მისთვის გამოყოფილ რესურსებს და არ შლის კურსორში მოთავსებულ სტრიქონებს

10.3.7.1.2. კურსორის დახურვის დროს:

- ა. არ მოიხსნება კურსორის მუშაობის დროს დაყენებული ბლოკირება
- ბ. მოიხსნება კურსორის მუშაობის დროს დაყენებული ბლოკირება
- გ. მოიხსნება კურსორის მუშაობის დროს მოხსნილი ბლოკირება

10.3.7.1.3. კურსორი, რომელიც დაიხურა, მაგრამ არ გაათავისუფლდა:

- ა. არ შეიძლება განმეორებით გაიხსნას
- ბ. შეიძლება მხოლოდ ერთხელ გაიხსნას
- გ. შეიძლება განმეორებით გაიხსნას

10.3.7.1.4. კურსორის დასახურად გამოიყენება:

- ა. DELETE ბრძანება
- ბ. CLOSE ბრძანება
- გ. UPDATE ბრძანება

კურსორის გაათავისუფლება

10.3.8.1.1. კურსორის გაათავისუფლება:

- ა. იწვევს მის წაშლას მონაცემთა ბაზიდან
- ბ. არ იწვევს მის წაშლას მონაცემთა ბაზიდან
- გ. იწვევს მის შექმნას მონაცემთა ბაზიდან

10.3.8.1.2. კურსორის გასათავისუფლებლად გამოიყენება:

- ა. CLOSE ბრძანება
- ბ. DELETE ბრძანება
- გ. DEALLOCATE ბრძანება

თავი 11. ტრანზაქცია და დაბლოკვა

შესავალი

11.1.1.1.1. ტრანზაქცია არის პროცესი, როცა:

- ა. არ სრულდება მასში შემავალი არც ერთი ბრძანება
- ბ. სრულდება მასში შემავალი ბრძანებების ნაწილი
- გ. სრულდება მასში შემავალი ყველა ბრძანება ან არც ერთი

11.1.1.1.2. ტრანზაქცია შეიძლება შედგებოდეს:

- ა. როგორც ერთი, ისე ასობით ბრძანებისაგან
- ბ. მხოლოდ ერთი ბრძანებისაგან
- გ. მხოლოდ ათი ბრძანებისაგან

11.1.1.1.3. თუ ყველა ბრძანება წარმატებით შესრულდა, მაშინ:

- ა. მოხდება ტრანზაქციის უკუქცევა
- ბ. მოხდება ტრანზაქციის ფიქსირება
- გ. არ მოხდება ტრანზაქციის ფიქსირება

11.1.1.1.4. თუ ტრანზაქციის რომელიმე ბრძანება ვერ შესრულდა, მაშინ:

- ა. არ მოხდება ტრანზაქციის უკუქცევა ანუ გაუქმდება ყველა ცვლილება
- ბ. მოხდება ტრანზაქციის ფიქსირება
- გ. მოხდება ტრანზაქციის უკუქცევა ანუ გაუქმდება ყველა ცვლილება

11.1.1.1.5. ტრანზაქციის უკუქცევის შემთხვევაში სისტემა:

- ა. აღდგება საწყის მდგომარეობაში, რომელიც ჰქონდა ტრანზაქციის დაწყებამდე
- ბ. არ აღდგება საწყის მდგომარეობაში, რომელიც ჰქონდა ტრანზაქციის დაწყებამდე
- გ. აღდგება საწყის მდგომარეობაში, რომელიც ჰქონდა ტრანზაქციის დამთავრების მომენტში

11.1.1.1.6. ინფორმაცია სისტემის საწყისი მდგომარეობის შესახებ:

- ა. ინახება ტრიგერების ჟურნალში
- ბ. ინახება ტრანზაქციების ჟურნალში
- გ. არ ინახება ტრანზაქციების ჟურნალში

11.1.1.1.7. ტრანზაქციის შესრულების დროს მონაცემთა ბაზის მართვის სისტემამ უნდა დაიცვას შემდეგი მოთხოვნები:

- ა. ატომარულობა, შეთანხმებულობა, იზოლირებულობა და მდგრადობა
- ბ. შეთანხმებულობა, იზოლირებულობა და მხოლოდ წაკითხვადობა
- გ. შეთანხმებულობა, იზოლირებულობა და მხოლოდ ჩაწერადობა

11.1.1.1.8. ატომარულობის თანახმად:

- ა. არ უნდა შესრულდეს ტრანზაქციაში მოთავსებული ყველა მოქმედება ან არც ერთი
- ბ. უნდა შესრულდეს ტრანზაქციაში მოთავსებული ყველა მოქმედება ან არც ერთი
- გ. უნდა შესრულდეს ტრანზაქციაში მოთავსებული მხოლოდ ერთი მოქმედება

11.1.1.1.9. ტრანზაქციის შესრულების შემდეგ მონაცემები:

- ა. უნდა იმყოფებოდეს შეთანხმებულ მდგომარეობაში, ე.ი. დაცული არ უნდა იყოს

მთლიანობის შეზღუდვა

ბ. არ უნდა იმყოფებოდეს შეთანხმებულ მდგომარეობაში, ე.ი. დაცული უნდა იყოს მთლიანობის შეზღუდვა

გ. უნდა იმყოფებოდეს შეთანხმებულ მდგომარეობაში, ე.ი. დაცული უნდა იყოს მთლიანობის შეზღუდვა

11.1.1.1.10. შეთანხმებულობის მოთხოვნა შეიძლება დაცული იყოს:

ა. როგორც ტრანზაქციის თითოეული ბრძანებისთვის, ისე მთლიანად ტრანზაქციისთვის

ბ. მხოლოდ ტრანზაქციის თითოეული ბრძანებისთვის

გ. მთლიანად ტრანზაქციისთვის

11.1.1.1.11. სხვადასხვა ტრანზაქციის მიერ მონაცემების ცვლილება:

ა. არ უნდა იყოს ერთმანეთისაგან იზოლირებული

ბ. უნდა იყოს ერთმანეთისაგან იზოლირებული

გ. უნდა იყოს ერთმანეთთან მჭიდრო კავშირში

11.1.1.1.12. იზოლირებულობის მოთხოვნის მიხედვით ერთი ტრანზაქციის მიერ მონაცემების ცვლილება:

ა. უნდა იყოს დამოკიდებული მეორე ტრანზაქციის მიერ მონაცემების ცვლილებაზე

ბ. არ უნდა იყოს დამოკიდებული მეორე ტრანზაქციის მიერ მონაცემების ცვლილებაზე

გ. არ უნდა იყოს დამოკიდებული ამავე ტრანზაქციის მიერ მონაცემების ცვლილებაზე

11.1.1.1.13. იზოლირებულობის მოთხოვნის მიხედვით ტრანზაქციას შეუძლია მონაცემებს მიმართოს მხოლოდ მაშინ, როცა ამ მონაცემებთან სხვა ტრანზაქცია:

ა. მუშაობს

ბ. ხანდახან მუშაობს

გ. არ მუშაობს

11.1.1.1.14. იზოლირებულობის მოთხოვნის მიხედვით ტრანზაქციას:

ა. არ შეუძლია ნახოს სხვა ტრანზაქციის მუშაობის შუალედური შედეგები

ბ. არ შეუძლია ნახოს სხვა ტრანზაქციის მუშაობის საბოლოო შედეგები

გ. შეუძლია ნახოს სხვა ტრანზაქციის მუშაობის შუალედური შედეგები

11.1.1.1.15. იზოლირებულობის მოთხოვნის მიხედვით თუ ტრანზაქცია ერთსა და იმავე მონაცემს რამდენიმეჯერ კითხულობს, მაშინ ეს მონაცემები:

ა. ხანდახან უნდა შეიცვალოს

ბ. უნდა შეიცვალოს

გ. არ უნდა შეიცვალოს

11.1.1.1.16. მდგრადობის მოთხოვნის მიხედვით ტრანზაქციის წარმატებით დამთავრების შემდეგ:

ა. ხდება მისი ფიქსირება და სისტემა წინა მდგომარეობაში ვერ დაბრუნდება

ბ. არ ხდება მისი ფიქსირება და სისტემა წინა მდგომარეობაში ვერ დაბრუნდება

გ. ხდება მისი ფიქსირება და სისტემა წინა მდგომარეობაში დაბრუნდება

11.1.1.1.17. მდგრადობის მოთხოვნის მიხედვით ცვლილებები დაფიქსირებული:

ა. არ იქნება იმ შემთხვევაშიც, თუ ტრანზაქციის დამთავრებისთანავე ადგილი ექნა

კომპიუტერის, ოპერაციული სისტემის ან სერვერის შეცდომას

ბ. იქნება იმ შემთხვევაშიც, თუ ტრანზაქციის დამთავრებისთანავე ადგილი ექნა კომპიუტერის, ოპერაციული სისტემის ან სერვერის შეცდომას

გ. იქნება იმ შემთხვევაშიც, თუ ტრანზაქციის დამთავრებისთანავე ადგილი არ ექნა კომპიუტერის, ოპერაციული სისტემის ან სერვერის შეცდომას

11.1.1.1.18. სერვერი, მომდევნო გაშვებისას:

ა. არ შეასრულებს მონაცემების აღდგენას ტრანზაქციების ჟურნალის გამოყენებით

ბ. შეასრულებს მონაცემების აღდგენას ტრანზაქციების ჟურნალის გამოყენებით

გ. შეასრულებს მონაცემების აღდგენას ტრიგერების ჟურნალის გამოყენებით

11.1.1.1.19. თუ საჭიროა მონაცემების აღდგენა ტრანზაქციის შემდეგ, მაშინ აღდგენა:

ა. უნდა შევასრულოთ მონაცემთა ბაზის ან ტრიგერების ჟურნალის სარეზერვო ასლიდან

ბ. არ უნდა შევასრულოთ მონაცემთა ბაზის ან ტრანზაქციების ჟურნალის სარეზერვო ასლიდან

გ. უნდა შევასრულოთ მონაცემთა ბაზის ან ტრანზაქციების ჟურნალის სარეზერვო ასლიდან

11.1.1.1.20. ჩვეულებრივ, სერვერი:

ა. ავტომატურად ბლოკავს იმ მონაცემებს, რომლებთანაც ტრანზაქცია მუშაობს

ბ. ავტომატურად არ ბლოკავს იმ მონაცემებს, რომლებთანაც ტრანზაქცია მუშაობს

გ. ავტომატურად ბლოკავს იმ მონაცემებს, რომლებთანაც ტრანზაქცია არ მუშაობს

11.1.1.1.21. მცირე ზომის ტრანზაქციების გამოყენების შემთხვევაში სერვერის მუშაობის ეფექტურობა იზრდება დიდი ზომის ტრანზაქციების გამოყენებასთან შედარებით, რადგან:

ა. სერვერი ავტომატურად არ ბლოკავს იმ მონაცემებს, რომლებთანაც ტრანზაქცია მუშაობს

ბ. სერვერი ავტომატურად ბლოკავს იმ მონაცემებს, რომლებთანაც ტრანზაქცია არ მუშაობს

გ. სერვერი ავტომატურად ბლოკავს იმ მონაცემებს, რომლებთანაც ტრანზაქცია მუშაობს

11.1.1.1.22. დიდი ზომის ტრანზაქციების გამოყენების შემთხვევაში:

ა. მცირე დროით ხდება მონაცემების დაბლოკვა და, შესაბამისად, ადგილი აქვს ხანგრძლივ მოცდენებს

ბ. ხანგრძლივი დროით ხდება მონაცემების დაბლოკვა და, შესაბამისად, ადგილი აქვს ხანგრძლივ მოცდენებს

გ. ხანგრძლივი დროით ხდება მონაცემების დაბლოკვა და, შესაბამისად, ადგილი აქვს ხანმოკლე მოცდენებს

11.1.1.1.23. დაბლოკვა არის მონაცემების დამუშავების ზოგიერთ ოპერაციაზე:

ა. იშვიათად დადებული შეზღუდვა

ბ. ხანგრძლივად დადებული შეზღუდვა

გ. დროებით დადებული შეზღუდვა

11.1.1.1.24. რომელი მსჯელობაა სწორი:

ა. შეიძლება დაიბლოკოს მხოლოდ ერთი სტრიქონი

ბ. შეიძლება დაიბლოკოს როგორც ცხრილის ერთი სტრიქონი, ისე მთელი მონაცემთა ბაზა

გ. არ შეიძლება დაიბლოკოს როგორც ცხრილის ერთი სტრიქონი, ისე მთელი მონაცემთა ბაზა

11.1.1.1.25. რომელი მსჯელობაა სწორი:

- ა. არსებობს სხვადასხვა სახის ბლოკირებები, რომლებსაც ბლოკირებების მენეჯერი მართავს
- ბ. არ არსებობს სხვადასხვა სახის ბლოკირებები, რომლებსაც ბლოკირებების მენეჯერი მართავს
- გ. არსებობს სხვადასხვა სახის ბლოკირებები, რომლებსაც ბლოკირებების მენეჯერი არ მართავს

11.1.1.1.26. რომელი მსჯელობაა სწორი:

- ა. ტრანზაქციები მონაცემებს არ ბლოკავს ატომარულობის, შეთანხმებულობის, იზოლირებულობის და მდგრადობის მოთხოვნების შესრულების მიზნით
- ბ. ტრანზაქციები მონაცემებს ბლოკავს მხოლოდ იზოლირებულობის და მდგრადობის მოთხოვნების შესრულების მიზნით
- გ. ტრანზაქციები მონაცემებს ბლოკავს ატომარულობის, შეთანხმებულობის, იზოლირებულობის და მდგრადობის მოთხოვნების შესრულების მიზნით

11.1.1.1.27. არსებობს მონაცემებთან მიმართვის შემდეგი პრობლემები:

- ა. მხოლოდ ფანტომების კითხვის პრობლემა
- ბ. უკანასკნელი შეცვლის პრობლემა, „ჭუჭყიანი“ კითხვის პრობლემა, არაგამეორებადი კითხვის პრობლემა, ფანტომების კითხვის პრობლემა
- გ. მხოლოდ არაგამეორებადი კითხვის პრობლემა

11.1.1.1.28. როცა რამდენიმე მომხმარებელი ერთდროულად ცვლის ერთი სტრიქონის მონაცემებს, მაშინ მონაცემების ნაწილი იკარგება, რადგან ყოველი მომდევნო ტრანზაქცია:

- ა. ცვლის მომდევნო ტრანზაქციის მიერ შესრულებულ ცვლილებებს
- ბ. არ ცვლის წინა ტრანზაქციის მიერ შესრულებულ ცვლილებებს
- გ. ცვლის წინა ტრანზაქციის მიერ შესრულებულ ცვლილებებს

11.1.1.1.29. „ჭუჭყიანი“ კითხვის პრობლემას ადგილი აქვს მაშინ, როცა

- ა. მონაცემების შეცვლის მომენტში სხვა მომხმარებელი არ წაიკითხავს ამ მონაცემებს
- ბ. მონაცემების შეცვლის მომენტში სხვა მომხმარებელი წაიკითხავს ამ მონაცემებს
- გ. მონაცემების წაკითხვის მომენტში სხვა მომხმარებელი წაიკითხავს ამ მონაცემებს

11.1.1.1.30. „ჭუჭყიანი“ კითხვის პრობლემის თავიდან ასაცილებლად, მონაცემების წაკითხვა:

- ა. უნდა შესრულდეს მხოლოდ მათი დამუშავების შემდეგ
- ბ. არ უნდა შესრულდეს მხოლოდ მათი დამუშავების შემდეგ
- გ. უნდა შესრულდეს მხოლოდ მათი დამუშავების წინ

11.1.1.1.31. არაგამეორებადი კითხვის პრობლემა წამოიჭრება მაშინ, როცა ტრანზაქცია:

- ა. არც ერთხელ არ კითხულობს ერთსა და იმავე მონაცემს
- ბ. ორჯერ კითხულობს ერთსა და იმავე მონაცემს
- გ. რამდენიმეჯერ კითხულობს ერთსა და იმავე მონაცემს

11.1.1.1.32. პირველი ტრანზაქციის შესრულების დროს თუ მეორე ტრანზაქციამ მონაცემები შეცვალა, მაშინ:

- ა. პირველი ტრანზაქცია მონაცემების განმეორებით წაკითხვისას სხვა მნიშვნელობებს არ

მიიღებს

ბ. პირველი ტრანზაქცია მონაცემების განმეორებით წაკითხვისას სხვა მნიშვნელობებს მიიღებს

გ. მეორე ტრანზაქცია მონაცემების განმეორებით წაკითხვისას სხვა მნიშვნელობებს მიიღებს

11.1.1.1.33. ფანტომების კითხვის პრობლემას ადგილი აქვს მაშინ, როცა პირველი ტრანზაქცია ცხრილიდან ირჩევს სტრიქონებს, მეორე ტრანზაქცია კი ახდენს ამავე:

ა. ცხრილში სტრიქონების ჩასმას მეორე ტრანზაქციის მუშაობის დამთავრებამდე

ბ. ცხრილში სტრიქონების წაკითხვას პირველი ტრანზაქციის მუშაობის დამთავრებამდე

გ. ცხრილში სტრიქონების ჩასმას პირველი ტრანზაქციის მუშაობის დამთავრებამდე

11.1.1.1.34. არსებობს ბლოკირების:

ა. 4 დონე

ბ. 2 დონე

გ. 3 დონე

11.1.1.1.35. ნულოვანი დონე არის დაბლოკვის ყველაზე:

ა. ნაკლებად მკაცრი დონე და მოითხოვს სისტემური რესურსების მაქსიმუმს

ბ. მეტად მკაცრი დონე და მოითხოვს სისტემური რესურსების მინიმუმს

გ. ნაკლებად მკაცრი დონე და მოითხოვს სისტემური რესურსების მინიმუმს

11.1.1.1.36. დაბლოკვის ნულოვან დონეზე ხდება:

ა. მონაცემების „დაბინძურების“ აკრძალვა

ბ. ფანტომების აკრძალვა

გ. „ჭუჭყიანი“ კითხვის აკრძალვა

11.1.1.1.37. დაბლოკვის პირველ დონეზე ხდება:

ა. არაგამეორებადი კითხვის აკრძალვა

ბ. „ჭუჭყიანი“ კითხვის აკრძალვა

გ. მონაცემების „დაბინძურების“ აკრძალვა

11.1.1.1.38. დაბლოკვის მეორე დონეზე ხდება:

ა. „ჭუჭყიანი“ კითხვის აკრძალვა

ბ. მონაცემების „დაბინძურების“ აკრძალვა

გ. არაგამეორებადი კითხვის აკრძალვა

11.1.1.1.39. დაბლოკვის მესამე დონეზე ხდება:

ა. ფანტომების აკრძალვა

ბ. „ჭუჭყიანი“ კითხვის აკრძალვა

გ. მონაცემების „დაბინძურების“ აკრძალვა

11.1.1.1.40. დაბლოკვის ნულოვანი დონე ითხოვს, რომ მხოლოდ:

ა. ორ ტრანზაქციას შეეძლოს მონაცემების შეცვლა

ბ. ერთ ტრანზაქციას შეეძლოს მონაცემების შეცვლა

გ. ერთ ტრანზაქციას არ შეეძლოს მონაცემების შეცვლა

11.1.1.1.41. დაბლოკვის ნულოვანი დონის შემთხვევაში თუ მეორე ტრანზაქციას უნდა მონაცემების შეცვლა, მაშინ ის:

- ა. უნდა დაელოდოს პირველი ტრანზაქციის დამთავრებას
- ბ. არ უნდა დაელოდოს პირველი ტრანზაქციის დამთავრებას
- გ. უნდა დაელოდოს მეორე ტრანზაქციის დამთავრებას

11.1.1.1.42. დაბლოკვის პირველი დონის შემთხვევაში თუ ტრანზაქციამ დაიწყო მონაცემების შეცვლა, მაშინ სხვა ტრანზაქციებს:

- ა. არ შეეძლება ამ მონაცემების წაკითხვა მანამ, სანამ პირველი ტრანზაქცია დაიწყება
- ბ. შეეძლება ამ მონაცემების წაკითხვა მანამ, სანამ პირველი ტრანზაქცია არ დამთავრდება
- გ. არ შეეძლება ამ მონაცემების წაკითხვა მანამ, სანამ პირველი ტრანზაქცია არ დამთავრდება

11.1.1.1.43. დაბლოკვის მეორე დონის შემთხვევაში თუ ტრანზაქცია კითხულობს მონაცემებს, მაშინ სხვა ტრანზაქციას:

- ა. არ შეუძლია ამ მონაცემების შეცვლა
- ბ. შეუძლია ამ მონაცემების შეცვლა
- გ. არ შეუძლია ამ მონაცემების წაკითხვა

11.1.1.1.44. დაბლოკვის მესამე დონის შემთხვევაში თუ ტრანზაქცია მონაცემებს მიმართავს, მაშინ სხვა ტრანზაქცია:

- ა. ვერ წაკითხავს ამ მონაცემებს
- ბ. შეცვლის ამ მონაცემებს
- გ. ვერ შეცვლის ამ მონაცემებს

11.1.1.1.45. დაბლოკვის მეოთხე დონის რეალიზება:

- ა. არ სრულდება გასაღებების დიაპაზონის ბლოკირებების გამოყენებით
- ბ. სრულდება გასაღებების დიაპაზონის ბლოკირებების გამოყენებით
- გ. სრულდება გასაღებების დიაპაზონის ბლოკირებების წაკითხვით

11.1.1.1.46. დაბლოკვის მეოთხე დონის შემთხვევაში დაიბლოკება ცხრილის ის სტრიქონები, რომლებიც:

- ა. ლოგიკურ პირობას არ აკმაყოფილებს
- ბ. ლოგიკურ პირობას აკმაყოფილებს
- გ. ფიზიკურ პირობას აკმაყოფილებს

ტრანზაქციების მართვა

11.2.1.1.1. შეერთების დახურვის დროს:

- ა. ავტომატურად იხურება ტრანზაქცია
- ბ. ავტომატურად არ იხურება ტრანზაქცია
- გ. ხელით იხურება ტრანზაქცია

11.2.1.1.2. რომელი მსჯელობაა სწორი:

- ა. არსებობს ორი სახის ტრანზაქცია: ავტომატური და არააშკარა (ნაგულისხმევი)
- ბ. არსებობს სამი სახის ტრანზაქცია: აშკარა, ავტომატური და არააშკარა (ნაგულისხმევი)
- გ. არსებობს ერთი სახის ტრანზაქცია: აშკარა

11.2.1.1.3. ტრანზაქცია არის ლოკალური თუ ის სრულდება:

- ა. რამდენიმე მონაცემთა ბაზის შიგნით
- ბ. ორი მონაცემთა ბაზის შიგნით
- გ. ერთი მონაცემთა ბაზის შიგნით

11.2.1.1.4. განწილებულია ტრანზაქცია, რომელიც მიმართავს:

- ა. ერთ მონაცემთა ბაზას
- ბ. რამდენიმე მონაცემთა ბაზას, რომლებიც შეიძლება სხვადასხვა სერვერზე იყოს განთავსებული
- გ. რამდენიმე მონაცემთა ბაზას, რომლებიც არ შეიძლება სხვადასხვა სერვერზე იყოს განთავსებული

აშკარა ტრანზაქციები

11.2.2.1.1. აშკარა ტრანზაქციების გამოყენების შემთხვევაში:

- ა. აშკარად უნდა მიუთითოთ ტრანზაქციის მხოლოდ დაწყება
- ბ. აშკარად არ უნდა მიუთითოთ ტრანზაქციის დაწყება და დამთავრება
- გ. აშკარად უნდა მიუთითოთ ტრანზაქციის დაწყება და დამთავრება

11.2.2.1.2. BEGIN TRANSACTION ბრძანება განსაზღვრავს ტრანზაქციის:

- ა. დასაწყისს
- ბ. დასასრულს
- გ. შუა ნაწილს

11.2.2.1.3. ტრანზაქციის დაწყების დროს ტრანზაქციების ჟურნალში:

- ა. არ ფიქსირდება შესაცვლელი მონაცემების საწყისი მნიშვნელობები და ტრანზაქციის დაწყების მომენტი
- ბ. ფიქსირდება შესაცვლელი მონაცემების საწყისი მნიშვნელობები და ტრანზაქციის დაწყების მომენტი
- გ. ფიქსირდება შესაცვლელი მონაცემების საწყისი მნიშვნელობები და არ ფიქსირდება ტრანზაქციის დაწყების მომენტი

11.2.2.1.4. BEGIN TRANSACTION ბრძანების 'ტრანზაქციის_სახელი' არგუმენტი, ჩვეულებრივ, გამოიყენება მხოლოდ:

- ა. ჩადგმულ ტრანზაქციებთან სამუშაოდ ყველაზე მაღალი დონის ტრანზაქციის სახელდებისთვის
- ბ. ჩადგმულ ტრანზაქციებთან სამუშაოდ ყველაზე დაბალი დონის ტრანზაქციის სახელდებისთვის
- გ. ტრანზაქციის სახელის უარყოფისთვის

11.2.2.1.5. BEGIN TRANSACTION ბრძანების WITH MARK ['აღწერა'] არგუმენტი საშუალებას:

- ა. გვაძლევს სპეციალური გზით მოვახდინოთ ტრანზაქციების მარკირება ტრანზაქციების ჟურნალში
- ბ. არ გვაძლევს სპეციალური გზით მოვახდინოთ ტრანზაქციების მარკირება ტრანზაქციების ჟურნალში
- გ. გვაძლევს სპეციალური გზით მოვახდინოთ ტრანზაქციების მარკირება ტრიგერების

ჟურნალში

11.2.2.1.6. რომელი მსჯელობაა სწორი:

- ა. ტრანზაქციის მარკირება საჭირო არ არის სარეზერვო ასლიდან ტრანზაქციების ჟურნალის აღდგენისათვის, მონაცემთა ბაზის დასაბრუნებლად იმ მდგომარეობაში, რომელშიც ის იყო ტრანზაქციის დაწყებამდე ან მისი დამთავრების შემდეგ
- ბ. ტრანზაქციის მარკირება საჭიროა სარეზერვო ასლიდან ტრანზაქციების ჟურნალის აღდგენისათვის, მონაცემთა ბაზის დასაბრუნებლად იმ მდგომარეობაში, რომელშიც ის იყო ტრანზაქციის დაწყების შემდეგ ან მის დამთავრებამდე
- გ. ტრანზაქციის მარკირება საჭიროა სარეზერვო ასლიდან ტრანზაქციების ჟურნალის აღდგენისათვის, მონაცემთა ბაზის დასაბრუნებლად იმ მდგომარეობაში, რომელშიც ის იყო ტრანზაქციის დაწყებამდე ან მისი დამთავრების შემდეგ

11.2.2.1.7. COMMIT TRANSACTION ბრძანებება განსაზღვრავს ტრანზაქციის:

- ა. დასაწყისს
- ბ. დასასრულს
- გ. შუა ნაწილს

11.2.2.1.8. თუ ტრანზაქციის შესრულების დროს ადგილი:

- ა. ჰქონდა შეცდომებს, მაშინ შესრულებული ცვლილებები დაფიქსირდება
- ბ. არ ჰქონდა შეცდომებს, მაშინ შესრულებული ცვლილებები დაფიქსირდება
- გ. არ ჰქონდა შეცდომებს, მაშინ შესრულებული ცვლილებები არ დაფიქსირდება

11.2.2.1.9. ROLLBACK TRANSACTION ბრძანებების შესრულება იწვევს ტრანზაქციის:

- ა. შეწყვეტას და უკუქცევას
- ბ. დაფიქსირებას
- გ. მხოლოდ შეწყვეტას

11.2.2.1.10. ტრანზაქციის უკუქცევის დროს შესრულებული ცვლილებები:

- ა. უქმდება და არ აღდგება სისტემის პირვანდელი მდგომარეობა
- ბ. არ უქმდება და აღდგება სისტემის პირვანდელი მდგომარეობა
- გ. უქმდება და აღდგება სისტემის პირვანდელი მდგომარეობა

11.2.2.1.11. ROLLBACK TRANSACTION ბრძანებების 'შენახვის_წერტილის_სახელი' არგუმენტი:

- ა. არის ტრანზაქციის საკონტროლო წერტილის დასასრული
- ბ. არ არის ტრანზაქციის საკონტროლო წერტილის სახელი
- გ. არის ტრანზაქციის საკონტროლო წერტილის სახელი

11.2.2.1.12. გარკვეულ წერტილამდე ტრანზაქციის უკუქცევა საშუალებას:

- ა. გვაძლევს გავაუქმოთ მხოლოდ ტრანზაქციის ნაწილი ანუ საკონტროლო წერტილის შექმნის შემდეგ გაკეთებული ცვლილებები
- ბ. არ გვაძლევს გავაუქმოთ მხოლოდ ტრანზაქციის ნაწილი ანუ საკონტროლო წერტილის შექმნის შემდეგ გაკეთებული ცვლილებები
- გ. გვაძლევს გავაუქმოთ მხოლოდ ტრანზაქციის ნაწილი ანუ საკონტროლო წერტილის შექმნამდე გაკეთებული ცვლილებები

ავტომატური ტრანზაქციები

11.2.3.1.1. ჩვეულებრივ, სერვერი:

- ა. არ მუშაობს ტრანზაქციის ავტომატურად დაწყების რეჟიმში
- ბ. მუშაობს ტრანზაქციის ავტომატურად დაწყების რეჟიმში
- გ. მუშაობს ტრანზაქციის ხელით დაწყების რეჟიმში

11.2.3.1.2. ავტომატურად დაწყების რეჟიმში თითოეული ბრძანება:

- ა. განიხილება, როგორც ცალკეული ტრანზაქცია
- ბ. არ განიხილება, როგორც ცალკეული ტრანზაქცია
- გ. განიხილება, როგორც მრავლობითი ტრანზაქცია

11.2.3.1.3. თუ საჭიროა ტრანზაქციის შექმნა, რომელიც რამდენიმე ბრძანებას შეიცავს, მაშინ ტრანზაქცია:

- ა. აშკარად არ უნდა მივუთითოთ
- ბ. ავტომატურად უნდა მივუთითოთ
- გ. აშკარად უნდა მივუთითოთ

11.2.3.1.4. ტრანზაქციის ავტომატური განსაზღვრის რეჟიმის დასაყენებლად გამოიყენება ბრძანება:

- ა. SET IMPLICIT_TRANSACTION ON
- ბ. SET IMPLICIT_TRANSACTION OFF
- გ. SELECT

არააშკარა ტრანზაქციები

11.2.4.1.1. ტრანზაქციის არააშკარა (ნაგულისხმევი) დაწყების რეჟიმში მუშაობის დროს სერვერი ავტომატურად იწყებს ახალ ტრანზაქციას, როგორც კი:

- ა. დაიწყება წინა ტრანზაქცია
- ბ. დამთავრდება წინა ტრანზაქცია
- გ. დამთავრდება მომდევნო ტრანზაქცია

11.2.4.1.2. მომხმარებელი არააშკარა ტრანზაქციის დასაწყებად:

- ა. არაფერს არ მიუთითებს
- ბ. სპეციალურ ბრძანებას მიუთითებს
- გ. SELECT ბრძანებას მიუთითებს

11.2.4.1.3. არააშკარა ტრანზაქცია გრძელდება მანამ, სანამ მომხმარებელი:

- ა. აშკარად არ მიუთითებს ტრანზაქციის მხოლოდ უკუქცევის ბრძანებას
- ბ. აშკარად არ მიუთითებს ტრანზაქციის უკუქცევის ან ფიქსირების ბრძანებას
- გ. აშკარად არ მიუთითებს ტრანზაქციის მხოლოდ ფიქსირების ბრძანებას

11.2.4.1.4. ტრანზაქციის არააშკარა განსაზღვრის რეჟიმის დასაყენებლად გამოიყენება ბრძანება:

- ა. SELECT
- ბ. SET IMPLICIT_TRANSACTION OFF
- გ. SET IMPLICIT_TRANSACTION ON

განაწილებული ტრანზაქციები

11.2.5.1.1. როცა საჭიროა სხვადასხვა მონაცემთა ბაზაში მოთავსებულ რესურსებთან მიმართვა:

- ა. აუცილებელი არაა განაწილებული ტრანზაქციის გამოყენება
- ბ. აუცილებელია განაწილებული ტრანზაქციის გამოყენება
- გ. აუცილებელია არაგანაწილებული ტრანზაქციის გამოყენება

11.2.5.1.2. განაწილებული ტრანზაქცია შედგება რამდენიმე ცალკეული ტრანზაქციისაგან, რომლებიც:

- ა. ლოკალურად სრულდება მხოლოდ ერთ მონაცემთა ბაზაში
- ბ. გლობალურად სრულდება ცალკეულ მონაცემთა ბაზაში
- გ. ლოკალურად სრულდება ცალკეულ მონაცემთა ბაზაში

11.2.5.1.3. რესურსების მენეჯერი ეწოდება:

- ა. მონაცემების წყაროს, რომელსაც მომხმარებელი არ მიმართავს
- ბ. მონაცემების წყაროს, რომელსაც მომხმარებელი მიმართავს
- გ. მონაცემების წყაროს, რომელიც მომხმარებელს მიმართავს

11.2.5.1.4. რესურსების მენეჯერი ასრულებს:

- ა. ლოკალური ტრანზაქციების ფიქსირებას, უკუქცევასა და რესურსების სხვა მენეჯერებთან თავისი მოქმედებების კოორდინირებას
- ბ. გლობალური ტრანზაქციების ფიქსირებას, უკუქცევასა და რესურსების სხვა მენეჯერებთან თავისი მოქმედებების კოორდინირებას
- გ. ლოკალური ტრანზაქციების ფიქსირებას, უკუქცევას და არ ასრულებს რესურსების სხვა მენეჯერებთან თავისი მოქმედებების კოორდინირებას

11.2.5.1.5. ტრანზაქციების მენეჯერი ახდენს ლოკალური რესურსების მენეჯერების მუშაობის კოორდინირებას და:

- ა. არ იძლევა იმის გარანტიას, რომ ყველა ლოკალური ტრანზაქცია დაფიქსირებული ან უკუქცეული იქნება
- ბ. იძლევა იმის გარანტიას, რომ ყველა ლოკალური ტრანზაქცია დაფიქსირებული ან უკუქცეული იქნება
- გ. იძლევა იმის გარანტიას, რომ ზოგიერთი ლოკალური ტრანზაქცია დაფიქსირებული ან უკუქცეული იქნება

11.2.5.1.6. რომელი მსჯელობაა სწორი:

- ა. ზოგჯერ შეიძლება ტრანზაქციის ერთი ნაწილის ფიქსირება და მეორე ნაწილის უკუქცევა
- ბ. შეიძლება ტრანზაქციის ერთი ნაწილის ფიქსირება და მეორე ნაწილის უკუქცევა
- გ. არ შეიძლება ტრანზაქციის ერთი ნაწილის ფიქსირება და მეორე ნაწილის უკუქცევა

ჩადგმული ტრანზაქციები

11.2.6.1.1. ჩადგმული ტრანზაქციები ეწოდება ტრანზაქციებს, რომელთა შესრულება:

- ა. არ ინიცირდება (იწყება) აქტიური ტრანზაქციის კოდიდან
- ბ. ინიცირდება (იწყება) აქტიური ტრანზაქციის კოდიდან
- გ. ინიცირდება (იწყება) არააქტიური ტრანზაქციის კოდიდან

11.2.6.1.2. ჩადგმული ტრანზაქციების გამოყენება:

- ა. მისაწვდომია მხოლოდ აშკარა ტრანზაქციებში
- ბ. მისაწვდომი არაა მხოლოდ აშკარა ტრანზაქციებში
- გ. მისაწვდომია მხოლოდ არააშკარა ტრანზაქციებში

11.2.6.1.3. ავტომატური ან არააშკარა ტრანზაქციების შესრულებისას, ახალი ტრანზაქციის დაწყებამდე, წინა ტრანზაქცია:

- ა. დამთავრებული არ უნდა იყოს
- ბ. დამთავრებული უნდა იყოს
- გ. სანახევროდ უნდა იყოს დამთავრებული

11.2.6.1.4. ჩადგმული ტრანზაქციების ძირითადი დანიშნულებაა იმ ტრანზაქციების უზრუნველყოფა, რომლებიც:

- ა. სრულდება ჩადგმული ინდექსების მიერ
- ბ. არ სრულდება ჩადგმული პროცედურების მიერ
- გ. სრულდება ჩადგმული პროცედურების მიერ

11.2.6.1.5. ჩადგმული ტრანზაქციის შესაქმნელად:

- ა. უნდა დავიწყოთ ახალი ტრანზაქცია და დაიხუროს წინა ტრანზაქცია
- ბ. უნდა დავიწყოთ ახალი ტრანზაქცია, წინა ტრანზაქციის დახურვის გარეშე
- გ. არ უნდა დავიწყოთ ახალი ტრანზაქცია, წინა ტრანზაქციის დახურვის გარეშე

11.2.6.1.6. ზედა დონის ტრანზაქციის დამთავრება:

- ა. გადაიდება ჩადგმული ტრანზაქციის დამთავრებამდე
- ბ. არ გადაიდება ჩადგმული ტრანზაქციის დამთავრებამდე
- გ. გადაიდება ჩადგმული ტრანზაქციის დაწყებამდე

11.2.6.1.7. თუ ყველაზე დაბალი დონის ტრანზაქცია წარუმატებლად დამთავრდა და უკუქცეულია, მაშინ:

- ა. ქვედა დონის ყველა ტრანზაქცია უკუიქცევა პირველი დონის ტრანზაქციის ჩათვლით
- ბ. ზედა დონის ყველა ტრანზაქცია უკუიქცევა პირველი დონის ტრანზაქციის ჩათვლით
- გ. ზედა დონის ყველა ტრანზაქცია არ უკუიქცევა პირველი დონის ტრანზაქციის ჩათვლით

11.2.6.1.8. თუ ქვედა დონეზე რამდენიმე ტრანზაქცია წარმატებით დამთავრდა (მაგრამ არ დაფიქსირდა), ხოლო საშუალო დონეზე წარუმატებლად, მაშინ:

- ა. უკუიქცევა ყველა დონის ტრანზაქცია იმ ტრანზაქციების ჩათვლით, რომლებიც წარმატებით არ დამთავრდა
- ბ. არ უკუიქცევა ყველა დონის ტრანზაქცია იმ ტრანზაქციების ჩათვლით, რომლებიც წარმატებით დამთავრდა
- გ. უკუიქცევა ყველა დონის ტრანზაქცია იმ ტრანზაქციების ჩათვლით, რომლებიც წარმატებით დამთავრდა

11.2.6.1.9. როცა ყველა დონის ტრანზაქცია წარმატებით დამთავრდება, მაშინ ყველა ცვლილება:

- ა. დაფიქსირდება იმ შემთხვევაში, როცა წარმატებით დამთავრდება პირველი დონის ტრანზაქცია

ბ. არ დაფიქსირდება იმ შემთხვევაში, როცა წარმატებით დამთავრდება პირველი დონის ტრანზაქცია

გ. დაფიქსირდება იმ შემთხვევაში, როცა წარმატებით არ დამთავრდება პირველი დონის ტრანზაქცია

თავი 12. ტრიგერები

შესავალი

12.1.1.1.1. ტრიგერი არის შენახული პროცედურის სპეციალური ტიპი, რომელიც სერვერის მიერ:

- ა. ავტომატურად გაიშვება ამა თუ იმ ცხრილზე მოქმედებების შესრულების დროს
- ბ. ავტომატურად არ გაიშვება ამა თუ იმ ცხრილზე მოქმედებების შესრულების დროს
- გ. ხელით გაიშვება ამა თუ იმ ცხრილზე მოქმედებების შესრულების დროს

12.1.1.1.2. თითოეული ტრიგერი დაკავშირებული:

- ა. არ არის კონკრეტულ ცხრილთან
- ბ. არის კონკრეტულ ცხრილთან
- გ. არის კონკრეტულ ინდექსთან

12.1.1.1.3. ცხრილში მონაცემების შეცვლის წინ სერვერი ავტომატურად გაუშვებს ტრიგერს, და თუ მისი შესრულება:

- ა. წარმატებით დამთავრდა, მაშინ არ შესრულდება ცხრილის მონაცემების ცვლილება
- ბ. წარუმატებლად დამთავრდა, მაშინ შესრულდება ცხრილის მონაცემების ცვლილება
- გ. წარმატებით დამთავრდა, მაშინ შესრულდება ცხრილის მონაცემების ცვლილება

12.1.1.1.4. ტრიგერის მიერ შესრულებული მოქმედებები:

- ა. არ განიხილება, როგორც ერთი ტრანზაქცია
- ბ. განიხილება, როგორც ერთი ტრანზაქცია
- გ. განიხილება, როგორც ორი ტრანზაქცია

12.1.1.1.5. ტრიგერები არ უნდა გამოვიყენოთ მარტივი შემოწმებების შესასრულებლად, რისთვისაც:

- ა. შეიძლება UNIQUE მთლიანობის შეზღუდვის გამოყენება
- ბ. არ შეიძლება CHECK მთლიანობის შეზღუდვის გამოყენება
- გ. შეიძლება CHECK მთლიანობის შეზღუდვის გამოყენება

12.1.1.1.6. ტრიგერები არ უნდა გამოვიყენოთ იმ მოქმედებების შესასრულებლად, რომლებიც შეიძლება შესრულდეს:

- ა. შენახული პროცედურებით ან Transact-SQL-ის პაკეტით
- ბ. მხოლოდ შენახული პროცედურებით
- გ. მხოლოდ შენახული Transact-SQL-ის პაკეტით

12.1.1.1.7. რომელი მსჯელობაა სწორი:

- ა. არსებობს ტრიგერების ორი ტიპი: INSERT TRIGGER და SELECT TRIGGER
- ბ. არსებობს ტრიგერების სამი ტიპი: INSERT TRIGGER, UPDATE TRIGGER და DELETE TRIGGER
- გ. არსებობს ტრიგერების ოთხი ტიპი: INSERT TRIGGER, UPDATE TRIGGER, DELETE TRIGGER და SELECT TRIGGER

12.1.1.1.8. INSERT TRIGGER ტიპის ტრიგერები გაიშვება:

- ა. UPDATE ბრძანებით მონაცემების ჩასმის მცდელობის დროს

- ბ. SELECT ბრძანებით მონაცემების ჩასმის მცდელობის დროს
- გ. INSERT ბრძანებით მონაცემების ჩასმის მცდელობის დროს

12.1.1.1.9. UPDATE TRIGGER ტიპის ტრიგერები გაიშვება:

- ა. DELETE ბრძანებით მონაცემების წაშლის მცდელობის დროს
- ბ. UPDATE ბრძანებით მონაცემების შეცვლის მცდელობის დროს
- გ. INSERT ბრძანებით მონაცემების ჩასმის მცდელობის დროს

12.1.1.1.10. DELETE TRIGGER ტიპის ტრიგერები გაიშვება:

- ა. UPDATE ბრძანებით მონაცემების შეცვლის მცდელობის დროს
- ბ. INSERT ბრძანებით მონაცემების ჩასმის მცდელობის დროს
- გ. DELETE ბრძანებით მონაცემების წაშლის მცდელობის დროს

12.1.1.1.11. ტექსტური ბლოკების დამუშავების ბრძანებების შესრულებისას, როგორცაა WRITETXT, READTXT და UPDATETXT ტრიგერი:

- ა. არ გაიშვება
- ბ. გაიშვება
- გ. აიკრძალება

12.1.1.1.12. რომელი მსჯელობაა სწორი:

- ა. ტრიგერის ქცევას არც ერთი პარამეტრი არ განსაზღვრავს:
- ბ. ტრიგერის ქცევას ერთი AFTER პარამეტრი განსაზღვრავს
- გ. ტრიგერის ქცევას ორი AFTER და INSTEAD OF პარამეტრები განსაზღვრავს

12.1.1.1.13. AFTER ტრიგერი სრულდება მისი გამომწვევი ბრძანებების წარმატებით შესრულების:

- ა. შუაში
- ბ. წინ
- გ. შემდეგ

12.1.1.1.14. თუ რაიმე მიზეზის გამო ბრძანებების შესრულება წარუმატებლად დამთავრდა, მაშინ ტრიგერი:

- ა. შესრულდება
- ბ. არ შესრულდება
- გ. ხანდახან შესრულდება

12.1.1.1.15. მონაცემების ცვლილება მოთხოვნის შესრულების შედეგად და ტრიგერის შესრულება ხდება:

- ა. ორი ტრანზაქციის ტანში
- ბ. ერთი ტრანზაქციის ტანში
- გ. სამი ტრანზაქციის ტანში

12.1.1.1.16. თუ მოხდება ტრანზაქციის უკუქცევა, მაშინ:

- ა. უკუიქცევა მოთხოვნის შესრულების შედეგად გაკეთებული ცვლილებებიც
- ბ. არ უკუიქცევა მოთხოვნის შესრულების შედეგად გაკეთებული ცვლილებებიც
- გ. უკუიქცევა მოთხოვნის შესრულების შედეგად გაუკეთებელი ცვლილებებიც

12.1.1.1.17. AFTER-ტრიგერები განისაზღვრება მხოლოდ:

- ა. ცხრილებისთვის და არ განისაზღვრება წარმოდგენებისთვის
- ბ. წარმოდგენებისთვის და არ განისაზღვრება ცხრილებისთვის
- გ. ცხრილებისთვის და განისაზღვრება წარმოდგენებისთვის

12.1.1.1.18. თითოეული INSERT, UPDATE და DELETE ბრძანებისათვის შეგვიძლია განვსაზღვროთ:

- ა. მხოლოდ ერთი ტრიგერი
- ბ. რამდენიმე AFTER-ტრიგერი
- გ. მხოლოდ ორი ტრიგერი

12.1.1.1.19. INSTEAD OF ტრიგერი გამოიძახება ბრძანების შესრულების:

- ა. უკან
- ბ. წინ
- გ. ნაცვლად

12.1.1.1.20. INSTEAD OF-ტრიგერები შეგვიძლია განვსაზღვროთ:

- ა. როგორც ცხრილებისთვის, ისე წარმოდგენებისთვის
- ბ. მხოლოდ ცხრილებისთვის
- გ. მხოლოდ წარმოდგენებისთვის

12.1.1.1.21. თითოეული INSERT, UPDATE და DELETE ბრძანებისათვის:

- ა. არ შეგვიძლია განვსაზღვროთ მხოლოდ თითო INSTEAD OF-ტრიგერი
- ბ. შეგვიძლია განვსაზღვროთ მხოლოდ ორი INSTEAD OF-ტრიგერი
- გ. შეგვიძლია განვსაზღვროთ მხოლოდ თითო INSTEAD OF-ტრიგერი

12.1.1.1.22. ავტომატურად ყველა ტრიგერი:

- ა. AFTER-ტრიგერია
- ბ. DELETE-ტრიგერია
- გ. INSTEAD OF-ტრიგერია

